საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 160 (2274) | ხუთშაბათი, 8 აგვისტო, 1996 წელი. | ფასი 30, თბილისის გარეთ 35 თეთრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარკომანიის გავრცელებისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო კომისია მუშაობს, ეროვნული სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა

ორმოცდაათიანი წლების დამდეგის დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ჭალადიდელის ერთი მშვენიერი ლექსი გვასწავლეს: „მახსოვს პირველად სასწავლებელში"...

მართალი გითხრათ, არ ვიცი, დღესაც თუ ასწავლიან, თუ არ ასწავლიან, რატომ არ ასწავლიან... მე კი თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგაც შემომრჩა მეხსიერებაში: „მერწმუნე, რომა გამოცდილია, თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია".

იმას მოგახსენებთ, რამაც ეს სტრიქონები გამახსენა:

დიდმა სადღეისო ჭირმა, რომელსაც, კაცმა რომ თქვას, არავითარი კავშირი პოეზიასთან, ლექსთან არა აქვს — ნარკომანიამ..

ალეკო ასლანიშვილის წერილს „საქართველო „ნემსზე ზის"..." გთავაზობთ მე-3 გვერდზე.

ქართული კინოხელოვნება ცოცხლობს, უნიკალური ქართული ხასიათები კვლავ ძალუმად მოსჩქეფს ეკრანიდან. ახალი ურთიერთობებიც ყალიბდება კინოწარმოებაში, ახალი ტიპის შემოქმედნი: თემურ ბაბლუანი, ბუბა ხოტივარი, გოდერძი ჩოხელი, ნანა ჯორჯაძე...

ნანა ჯორჯაძის ფილმის „შეყვარებული კულინარის ათას ერთი რეცეპტი" წარმატება საერთაშორისო ასპარეზზე, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ამ ფილმით დაინტერესება ყველა ჩვენგანის გამარჯვებაა, ეს კინონაწარმოები იმ დროს შეიქმნა, როდესაც წესით მუზები დუმან...

ვილენ მარდალეიშვილის წერილს „ყველაფერი „ადამ და ევადან" იწყება"... წაიკითხავთ მე-6 გვერდზე.

სურათზე: „შეყვარებული კულინარის ათას ერთი რეცეპტის" გადასაღებ მოედანზე.

გროზნო ცეცხლის რკალში

ყველაფერი სხვა დეტალებია

ორი დღეა, ჩეჩნეთის დედაქალაქში ბრძოლები მიმდინარეობს. გუშინდელ საღამომდე გროზნოს ცენტრი ბოევიკების მიერ იყო ბლოკირებული. ისინი ცეცხლს უშენდნენ ადმინისტრაციული შენობების კომპლექსს და დრო და დრო შეტევაზე გადასვლას ცდილობდნენ.

საღამოს ფედერალურმა ძალებმა დაიკავეს ქალაქის ცენტრი.

მოლაპარაკების იმედი პრაქტიკულად არავის აქვს.

პასუხგაუცემელი რჩება ბევრი კითხვა და მათ შორის — რატომ არაფერი იღონა ფედერალურმა სარდლობამ, რომელმაც იცოდა, რომ ბოევიკები ქალაქში შედიოდნენ.

კითხვები და პარალელები.

აგვისტო — ტერორიზმის თვე.

ჩვენთან — ზეიმის წინ, კონსტიტუციაზე საზეიმო ხელმოწერის დღეს თავდასხმა სახელმწიფოს მეთაურზე.

რუსეთში — პრეზიდენტ ელცინის ინაუგურაციის წინა დღეს ფართომასშტაბიანი ოპერაცია გროზნოში.

ყველაფერი სხვა — სად უტევენ ბოევიკები, სად უტევენ ბოევიკებს — დეტალებია.

ეს ომიც დამთავრდება.

რუსეთში კითხვებზე პასუხის გაცემის დრო დგება.

პირველი მიღება

ხანმოკლე შვებულებიდან გუშინ დაბრუნებულმა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო კონცერნ „კრუპპ-ჰოშინ-ინტერნეიშენლის" დელეგაცია, რომელსაც ფირმა „კრუპის" სავაჭრო სახლის გამგეობის თავმჯდომარე რეინჰარდ კვინტი ხელმძღვანელობს.

ფირმის ექსპერტები პრიორიტეტს ანიჭებენ რკინიგზის, ნავსადგურების რეკონსტრუქციაში მონაწილეობას, პარტნიორული ურთიერთობის განვითარებას რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასთან. მათი ინტერესი განაპირობა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების შთამბეჭდავმა მაჩვენებლებმა.

საქართველოს პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა ჩვენს ქვეყანაში ფირმა „კრუპის" წარმომადგენლობის დაარსების იდეას და გამოთქვა მოსაზრება, ორმხრივი მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელიც დაამუშავებს და განახორციელებს კონკრეტულ პროექტებს.

პოლიტიკურად—მიუღებელი, ზნეობრივად—დასაგმობი

საქართველოს პროკურატურის განცხადება

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს საზოგადოებრიობაში ტერორისტ იგორ გიორგაძის საკითხი კვლავ მთელი სიმწვავით დაისვა, საქართველოს პროკურატურა უფლებამოსილია განაცხადოს:

ტერორისტებისათვის თავშესაფარის მიცემა, რომელ ქვეყანასაც უნდა ეხებოდეს ეს, მიუღებელია პოლიტიკურად და დასაგმობია ზნეობრივად. ასეთი ქმედება ვერ თავსდება იმ ვალდებულებათა ჩარჩოებში, რომლებიც ამ ბოლო დროს მსოფლიოს რვა წამყვანი ქვეყნის ხელმძღვანელებმა იკისრეს.

აქედან გამომდინარე, იგორ გიორგაძის და მასთან დაკავშირებულ ტერორისტთა ჯგუფის ბედი, პრაქტიკულად, გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, თუ ეს ასე არ მოხდება, სერიოზული საფრთხე ემუქრება საქართველოს პრეზიდენტს მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში გამართული უმაღლესი დონის შეხვედრებთან დაკავშირებით.

საქართველოს პროკურატურა, რომელმაც შესაბამისი მასალები დროულად მიაწოდა თავის რუს კოლეგებს, დარწმუნებულია, რომ მოძმე რუსეთის ხელისუფლება მიიღებს ერთადერთ სწორ, თუმცა, დაგვიანებულ გადაწყვეტილებას.

1996 წლის 7 აგვისტო.

„წუხელის გოგოც დაბადებულა..."

ნათლიობა ნიკო ლეკიშვილს ეკუთვნის

6 აგვისტოს, 13 საათზე, აფხაზეთის კოდორის ხეობიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო რადიოგრამა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ აჟარის საშუალო სკოლის პედაგოგ ნატო გულბანს დაეწყო მძიმე მშობიარობა, მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიშვილის მითითებით ვერტმფრენით ხეობაში გაემგზავრა საგანგებო ჯგუფი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზურაბ ერქვანიასა და საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის ხელმძღვანელობით.

მიუხედავად რთული პირობებისა, შესრულდა ღამის რეისი, რომელშიც თავი გამოიჩინა ვერტმფრენის ეკიპაჟმა — შამილ ქორთოშიძემ, გოჩა ვარდიძემ და გურამ ჯაღალანიამ.

სოფელ აჟარაში ჩასვლისთანავე ექიმთა ჯგუფმა სწრაფი დახმარება აღმოუჩინა მშობიარე ქალს — ლაშა არღვლიანის ოჯახს გოგონა შეემატა.

კოდორის ხეობის მოსახლეობამ კმაყოფილებით აღიქვა ეს დახმარება და თანადგომა, მათ მადლობა გადაუხადეს ცნობილ სპეციალისტებს — მეან-გინეკოლოგს დავით ხეროდინაშვილს, მეან-გინეკოლოგს თენგიზ ასათიანს, ანესთეზიოლოგ-რეანიმატორს დავით კორკოტაშვილს და ოპერატორს დავით ჯიმშელეიშვილს.

ნუ გეშინია, ლტოლვილო!

6-7 აგვისტოს, სენაკის რაიონში გამართული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო შენაერთების სამეთაურო-საშტაბო წვრთნის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ სამხედრო წვრთნა, რომელიც არმიის განვითარების ყველაზე აპრობირებული და საჭირო ფორმაა, ეწყობა საქართველოს შეიარაღებული ძალების გეგმაზომიერი მშენებლობის მიზნით. გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოში მანევრებს სხვა მიზანიც აქვს — დაარწმუნოს როგორც რეგიონის ადგილობრივი მოსახლეობა, ისე მის ტერიტორიაზე მცხოვრები ათიათასობით ლტოლვილი აფხაზეთიდან, რომ ქართული არმიას შეუძლია უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. ეს მით უფრო აქტუალურია დღეს, როცა ჯერ კიდევ არ არის მიღწეული მორიგება სამშვიდობო ძალების მანდატში საქართველოს მხარის მიერ წამოყენებული შესაბამისი ცვლილებების შეტანის თაობაზე, რასაც რეალურად შეიძლება მოჰყვეს კონფლიქტის ზონიდან მათი გაყვანის საკითხის დაყენება.

საქინფორმი.

კარგად გვქონია საქმე

საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში შადმან ვალავიმ განაცხადა, რომ მისი აზრით, 6-7 თვის შემდეგ საქართველოში მოხდება საბოლოო ეკონომიკური სტაბილიზაცია და საქართველოს ეროვნულ ბანკს აღარ დასჭირდება სავალუტო ინტერვენციების განხორციელება ფინანსურ ბირჟაზე ლარის სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

ამოწურეს თავიანთი შესაძლებლობანი

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით შექმნილმა საპარლამენტო კომისიამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ორი წლის წინათ აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში შემოყვანილმა რუსეთის სამშვიდობო ძალებმა თავის დროზე მოახდინეს დაპირისპირებულ მხარეთა გამიჯვნა, მაგრამ, ამჟამად, მათ ამოწურეს თავიანთი შესაძლებლობები.

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში, ფაქტობრივად, შეწყდა ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები, ქართული მხარე მაინც აგრძელებს არაოფიციალურ კონსულტაციებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესთან ბორის პასტუხოვთან.

„იბერია".

ბორის ელცინი ემზადება

მოსკოვის ოლქის სანატორიუმ „ბარვიხაში" სამკვირიანი დასვენების შემდეგ ბორის ელცინი მუშაობას შეუდგა. ხვალ მან სახელმწიფოსა და ერის ერთგულების ფიცი უნდა დადოს მისი ინიციატივით 1993 წლის რეფერენდუმზე მიღებული კონსტიტუციის საგანგებოდ მომზადებულ ეგზემპლარზე. „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, რომ ცერემონია დაახლოებით ერთ საათს გასტანს, ხოლო ელცინი ათწუთიანი სიტყვით გამოვა.

ბორის ელცინს პრეზიდენტის პოსტზე დადგომის ცერემონიის დროს გადაეცემა სპეციალური პირველი ხარისხის ორდენი „მამულის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის", როგორც პრეზიდენტის ძალაუფლების ერთ-ერთი სიმბოლო. ეს ორდენი არ არის სახელმწიფო ჯილდო, მოჭრილია ერთადერთ ეგზემპლარად და ახალ პრეზიდენტს ექნება უფლებამოსილების გასვლამდე. შემდეგაც მის მემკვიდრეთ გადაეცემა.

ინფორმაცია

„ბრიტანული კულტურის კუნძული"

საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოს ინიციატივით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეიქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია „ბრიტანული საბჭო". მის გახსნას დაესწრნენ დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში სტივენ ნეში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ უკლება, უნივერსიტეტის რექტორი როინ მეტრეველი, სხვა ოფიციალური პირები.

ესპანეთის ცის ქვეშ

თითქმის ორი კვირაა ესპანეთში წარმატებით მიმდინარეობს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გასტროლები. დაგეგმილია 32 კონცერტი, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში. გასტროლები 16 სექტემბრამდე გასტანს.

ჯაბა იოსელიანის „მოლარეს" 12 წელიწადი მიუსაჯეს

მთაწმინდის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ვახტანგ თალაკვაძე, სახელმწიფო ბრალმდებელი — დავით ჯინჯოლავა, ადვოკატი — გია ქაჯაია) დაადგინა განაჩენი განსასჯელ ალექსანდრე ბოჭორიშვილის მიმართ.

ბოჭორიშვილს, პროფესიით იურისტს, სახელმწიფო მეთაურის ყოფილ მთავარ სახელმწიფო მრჩეველს, (რომელსაც საზოგადოებაში ჯ. იოსელიანის „მოლარედ" იცნობდნენ), ბრალი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე, 186-ე და 252-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში (ცეცხლსასროლი იარაღის, მათ შორის, — ავტომატურის, ფეთქებად ნივთიერებათა და საბრძოლო მასალების უკანონოდ შენახვა, ტარება, შეძენა, გასაღება; ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება; ნარკოტიკულ საშუალებათა, სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გასაღება).

სასამართლომ ბოჭორიშვილი წარდგენილ ბრალდებებში მთლიანად ცნო დამნაშავედ და მიუსაჯა მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდითა და ქონების კონფისკაციით.

არ გაგლიჯონ მიშიკო აბაშვილი!

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საზღვარგარეთ ბავშვთა გაშვილების საკითხი მტკივნეულ პრობლემადაც იქცა. სადღეისოდ, საქართველოში არსებული დებულების თანახმად, საზღვარგარეთ გაშვილებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი გამგეობა, მას შემდეგ, რაც განცხადება განიხილება განათლების და იუსტიციის სამინისტროებში.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ახლო მომავალში გამოვა კანონი, რომლის თანახმადაც, ბავშვის გაშვილებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო. ავთანდილ ჯორბენაძის აზრით, ბავშვები, უწინარესად, საქართველოს მოქალაქეთა ოჯახებმა უნდა იშვილონ.

სოხუმის დაბომბვის ინიციატორებს პასუხისმგებლობა არ აცდებათ

აფხაზეთში საომარი მოქმედების დროს ქალაქ სოხუმს დაუნდობლად მასირებულად უშენდნენ არტილერიისა და ამოუცნობი ავიაციის ცეცხლს. ნანგრევებად იქცა ბევრი საცხოვრებელი სახლი და სახელმწიფო დაწესებულების შენობა. ასობით სოხუმელი ბოროტმოქმედთა ბარბაროსული თავდასხმების მსხვერპლი გახდა. რუსეთის სამხედრო სარდლობამ, გარკვეულ როლს ასრულებდა რა აფხაზეთის კონფლიქტში, თავდაცვის მინისტრის პ. ს. გრაჩოვის სახით, ქალაქის დაბომბვებში დაადანაშაულა ქართველი მფრინავები. დღესაც არ გამოუვლენიათ ავიადაბომბვების ავტორები.

ქალაქ სოხუმის მერიის პრესსამსახური იმედოვნებს, რომ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები, რომლებიც იძიებენ აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ფაქტებს, ფართომასშტაბიან ბრძოლას ეწევიან დამნაშავეობის წინააღმდეგ, რუს კოლეგებთან ერთად არ დაიშურებენ ძალ-ღონეს ქალაქ სოხუმის დაბომბვათა ინიციატორების დადგენისა და პასუხისგებაში მიცემისათვის.

ქალაქ სოხუმის მერიის პრესსამსახური.

ეროვნულმა ბანკმა 30 ათასი ლარი გაყიდა

6 აგვისტოს ეროვნულ ბანკში გაიმართა ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონი 7 დღის კრედიტის ვადით. სამი ბანკი ყიდდა, სამი — ყიდულობდა. ეროვნულმა ბანკმა გაყიდა 30 ათასი ლარი.

დაფიქსირებული განაკვეთია წლიური 16 პროცენტი.

მინისტრი უარყოფს

გუშინდელ „რეზონანსში" გამოქვეყნდა დავით გარეჩილაძის წერილი — „ქართველთა რაოდენობა სამშობლოში მცირდება".

როგორც ავტორი წერს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს არაოფიციალური მონაცემებით (თუ სამინისტროს მონაცემებია, რატომაა არაოფიციალური?!), უკანასკნელ წლებში საქართველო 850 ათასმა ქართველმა დატოვა სოციალურ-ეკონომიკური და სხვა პირობების გამო; მხოლოდ ჰოლანდიაში საქართველოს 180 ათასი მოქალაქე იმყოფება; რომ დღეისათვის ქართველთა რაოდენობა საქართველოში 2-2,5 მილიონს არ აჭარბებს.

ამასთან დაკავშირებით, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა ვალერი ვაშაკიძემ განაცხადა, რომ ბოლო წლების მანძილზე, გასაგები მიზეზების გამო, საქართველოდან წასულია 820-850 ათასი საქართველოს მოქალაქე (და არა ქართველი), ხოლო გაზეთის კორესპონდენტის მიერ დასახელებული სხვა ციფრები ყალბია.

ჩოგბანი

ჰაჰ, დრონი, დრონი...

თბილისი. 6 აგვისტო. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი, 20.000 მაყურებელი. უეფას თასის გათამაშების მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი: „დინამო" (თბილისი) — „მიოლდე" (ნორვეგია) 2:1 (2:0).

„დინამო": ზოიძე, (კაპიტანი), კობიაშვილი, ლობჟანიძე, კუდინოვი, ჩელაძე, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე, ჯამარაული, ცქიტიშვილი, ქაზილაშვილი, იაშვილი. შემცვლელებად შემოვიდნენ კერძევაძე, ანჩაბაძე და დიდავა. მწვრთნელი **დავით ყიფიანი.**

„მიოლდე": ბაკე, სტრეინდი, სინგსაასი, პედერსენი, ო. სტავრუმი, ფოსტერვოლდი, ოლსენი, რუდი (კაპიტანი), ა. სტავრუმი, ჰესტადი, სუნდგოტი. შემცვლელებად შემოვიდნენ რეკდალი, საეტრი და ვენაასი. მწვრთნელი **აგე ჰარეიდე.**

მსაჯები: ჰიუ დალასი, რობერტ განი, კევინ ტერნერი, მაიკლ პიკოკი (შოტლანდია). **უეფას დელეგატი** კაი სორენსენი (დანია).

გოლები: გოგიჩაიშვილი (მე-13 წუთზე), იაშვილი (მე19 წუთზე), ო. სტავრუმი (68-ე წუთზე).

გააფრთხილეს: ფოსტერვოლდი, გოგიჩაიშვილი, ჩელაძე და ლობჟანიძე (ამ უკანასკნელმა წლევანდელ გათამაშებაში მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და საპასუხო შეხვედრას 20 აგვისტოს გამოტოვებს).

იყო დრო, როცა სკანდინავიელებს მათი საფეხბურთო სისუსტის გამო ევროტურნირების წილისყრისას მომავალ მეტოქეებად ვნატრობდით. ასეთი ბედნიერება დინამოელებს აქამდე მხოლოდ ერთხელ ხვდათ წილად, 70-80-იანი წლების მიჯნაზე, და მაშინ ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა — „დინამო"-„ბკ კოპენჰაგენი" (დანია) — 4:1, 2:1.

ახლა დრონი იცვალნენ და განვლილი სამშაბათის ხვატიან საღამოს ქართველ გულშემატკივართა წინაშე თანამედროვე ევროპული სტილით მოთამაშე ნორვეგიული კლუბი წარსდგა.

შეხვედრის პირველი ნახევარი მასპინძელთათვის იღბლიანად დაიწყო — ნორვეგიელთა კართან კიკნაძის აქტიური ძალისხმევით შექმნილი ორივე ხელსაყრელი მომენტი გოლებით დასრულდა და მე-20 წუთზე ტაბლოზე დინამოელთა სოლიდური უპირატესობა აღიბეჭდა — 2:0. მაგრამ მხოლოდ ტაბლოზე. თვალშისაცემი იყო რომ მჭიდრო მეურვეობით სტუმრებმა ტექნიკური თბილისელები ჩვეული კალაპოტიდან ამოაგდეს, ხოლო გრძელი გადაცემებითა და „მეორე სართულზე" ოსტატური თამაშით სასურველ წონასწორობას მიაღწიეს. ამას დაემატა ჯამარაულის მეტისმეტი ინდივიდუალიზმი და გოგიჩაიშვილის პასიურობა, რამაც ნახევარმცველისა და თავდასხმის მოქმედებას თავისებური დაღი დაამჩნია. ეს არც იყო შემთხვევითი — ინგლისში გასინჯვაზე ერთკვირიანმა გამგზავრებამ ორივეს დაუკარგვინა ფიზიკური კონდიციები და სპორტული ფორმიდან ამოაგდო. ასეა თუ ისე, პირველი 45 წუთის შედეგი (და არა თამაშის შინაარსი) ჩვენი გუნდის ქომაგებს ოპტიმისტურად განგვაწყობდა...

მეორე ტაიმის საწყისი 20 წუთი ის მონაკვეთი აღმოჩნდა, რომელიც დინამოელებმა ღირსეულად, მათთვის დამახასიათებელ, მასპინძლისათვის შესაფერის შეტევებში გაატარეს და ვალდებულნიც იყვნენ გაეზარდათ ანგარიში, მაგრამ იაშვილმა (ორჯერ) და კერძევაძემ ახლო მანძილიდან ეს ვერ მოახერხეს. სასჯელმაც არ დააყოვნა — ამ შტურმის პოგერიებას მარჯვენა ფრთიდან განხორციელებული კონტრიერიში, ჩაწოდება და ოლე ერიკ სტავრუმის ზუსტი თავური მოჰყვა — 2:1.

ამის შემდეგ ზოიძემ იყოჩაღა, თორემ შეიძლებოდა ყველაფერი უარესად დასრულებულიყო. მან პირისპირ გასული რუდის დარტყმა მოიგერია. ბოლო შანსი დინამოელებს 83-ე წუთზე მიეცათ, როცა ანჩაბაძე მეტოქის მცველთან შეტაკების შემდეგ ნორვეგიელთა საჯარიმო მოედანზე დაეცა, მაგრამ ეს ეპიზოდი პენალტით არ დაგვირგვინებულა.

ამრიგად, ორი კვირის შემდეგ საქართველოს ჩემპიონი ვიკინგების ქვეყანას ერთბურთიანი მარაგით ეწვევა. საკმარისი იქნება თუ არა იგი საერთო წარმატების მისაღწევად, ძნელი სათქმელია. ერთი კი ფაქტია — ევროპულ ფეხბურთში წინასწარ განწირული კლუბები სანთლით საძებარია და ყველასთან თავდაუზოგავი ბრძოლაა საჭირო.

გია პლატონიშვილი.

პარლამენტარი სრულიად გულახდილად

რა უნდა ვუთხრათ...

ნომრის სტუმარი
საქართველოს
პარლამენტის წევრი, სახელმწიფო
ენის ქვეკომიტეტის
თავმჯდომარე
მანანა [illegible]

— ქალბატონო მანანა, ამასწინათ ბონში ქართულ-გერმანული სიმპოზიუმი გაიმართა. თქვენ მომხსენებელი იყავით. რას გვეტყოდით ამ სიმპოზიუმის შესახებ.

— საქართველოსთან მეგობრობის 22 საზოგადოება არის გერმანიაში. მათი გაერთიანების შედეგად გენშერის, ლაფონტენისა და შევარდნაძის მეურვეობით შეიქმნა საზოგადოებრივი ორგანიზაცია: „საქართველოს მეგობრები გერმანიაში“. სწორედ ამ საზოგადოებამ მოიწვია სიმპოზიუმი, რომლის თემა იყო: „ქართული კულტურა, როგორც სტაბილიზაციის ფაქტორი კავკასიაში“. სიმპოზიუმი უმაღლეს დონეზე ჩატარდა. ჰანს დიტრიხ გენშერმა თავის გამოსვლაში საგანგებოდ აღნიშნა: „განსაკუთრებულია გერმანელთა დამოკიდებულება დიდი კულტურის მქონე ქართველი ხალხისადმი, რომელიც დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოს აშენებს. ამ ხალხს პრეზიდენტად ჰყავს ჩემი მეგობარი ედუარდ შევარდნაძე. მის წინაშე ვალშია გერმანია. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი ქვეყანა კვლავაც ხელს შეუწყობს საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებს, დაეხმარება საქართველოს აღორძინებას“.

სიმპოზიუმს მიესალმნენ გერმანიის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებიც, მინისტრები, საზოგადოების პრეზიდენტი. სიმპოზიუმს სიტყვებით მიმართეს საქართველოს ელჩმა გერმანიაში კოტე გაბაშვილმა, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ელდარ შენგელაიამ. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კულტურის მინისტრი ვალერი ასათიანი. ქვეყნის პოლიტიკური კურსის შესახებ მოხსენება ჰქონდა პეტრე მამრაძეს, ჰაინც ფენრიხმა ქართული კულტურის ისტორიულ როლზე ისაუბრა, დალი ფანჯიკიძემ — გერმანული ლიტერატურის ქართულ თარგმანებზე, შტეფი იუნგერმა — გერმანულად თარგმნილ ქართულ ლიტერატურაზე; იყო მოხსენებები ქართული სამართლის, ქართული არქიტექტურის, ეკოლოგიის, ქართულ-გერმანულ სავაჭრო ურთიერთობათა პერსპექტივების შესახებ. ჩემი მოხსენება თხუთმეტსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურაში სულიერ ღირებულებათა ძიების თემას ეხებოდა. ვფიქრე, რომ ეს თემა ახლობელი უნდა ყოფილიყო გერმანული ლიტერატურის ტრადიციებზე ნაზიარები აუდიტორიისათვის.

გასაოცარი ინტერესი და სითბო გამოიჩინეს ჩვენმა გერმანელმა მეგობრებმა: ჩვენსავე სასტუმროში იყო სხდომათა დარბაზიც. სიმპოზიუმის წინა საღამოს სასტუმროს ვესტიბიული გაივსო ჩამოსულებით. ჩვენ ტურისტთა ჯგუფები გვეგონა, მერე გაირკვა, რომ ესენი არიან გერმანიის სხვადასხვა ქალაქებიდან სიმპოზიუმზე დასასწრებად თავისი ხარჯითა და თავისი სურვილით ჩამოსული სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, რომელთაც ერთმანეთთანაც და ჩვენთანაც აკავშირებთ საქართველოს სიყვარული, მისი პრობლემებითა და მისი კულტურით დაინტერესება. ქართული ლიტერატურის ცოდნით გამაოცეს ფიზიკოსებმა, ეკონომისტებმა, აღარაფერს ვამბობ ჰუმანიტარებზე.

16 ივნისს, სიმპოზიუმის დამთავრების შემდეგ კელნში გაიმართა გალა კონცერტი, რომელსაც ესწრებოდნენ გენშერი, გერმანიის სხვა ხელისუფალნი, გერმანიაში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, სხვადასხვა კუთხეებიდან საგანგებოდ ჩამოსული საზოგადოება. ეს იყო ტრიუმფი ქართული კულტურისა. საქართველოს საელჩომ თავდაუზოგავი შრომით მოახერხა ამ დიდი ზეიმის მოწყობა. საკონცერტო დარბაზის ფოიეში გამოფენილი XIX საუკუნის ქართველ მანდილოსანთა 100 პორტრეტი მნახველთა აღტაცებას იწვევდა. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ქართველები: ანანიაშვილი, ისაკაძე, თორაძე, სოტკილავა, ქასრაშვილი, ათანელიშვილი, საქართველოს კვარტეტი, „სუხიშვილები“, „რუსთავი“. ფეხზე წამომდგარმა დარბაზმა თვითგამოხატვის ყოველგვარი ნორმები დაივიწყა. ზღვარდაუდებელი აღტაცების ასეთ გამოვლინებას ჩემს დღეში არ შევსწრებივარ.

— ქალბატონო მანანა, ეგებ გაგვესაუბროთ დღევანდელ პარლამენტზეც, რომელიც ერთ-ერთი პარლამენტარის თქმით, „პრივატიზებულია“ შევარდნაძის მიერ.

— არც კი ვიცი, სერიოზულად რა გიპასუხოთ ამაზე. აქციათა საკონტროლო პაკეტი არ უხსენებიათ?

ახლა ხუმრობის გარეშე: პარტიამ, რომლის ლიდერი იყო ედუარდ შევარდნაძე, მანდატების დიდი რაოდენობა მოიპოვა. ეს პარტიისა და მისი ლიდერისადმი ხალხის ნდობის დადასტურებაა და ამას ყველა უნდა შეეგუოს.

ხედავს ყველა, რომ დღევანდელ პარლამენტში მუშაობისა და ურთიერთობის სტილი სრულიად განსხვავებულია. ეს არის პარლამენტარიზმის ბევრად უფრო მაღალი დონე. აგრესიას და პოპულისტურ შოუს ინტენსიური შრომა ჩაენაცვლა. ამიტომაც შევძელით მოკლე ხანში 57 კანონისა და 217 დადგენილების მიღება. კომიტეტები მუშაობენ, ანუ თავის ნამდვილ დანიშნულებას შეესაბამებიან. ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირს“ კონსტრუქციული თანამშრომლობა აქვს სხვა ფრაქციებთან, მათ შორის ოპოზიციურთანაც.

— ბოლო დროს ნაკლებად გხედავთ მიკროფონთან.

— ეს ბუნებრივია. დისკუსიები ხდება ფრაქციების სხდომებზე, კომიტეტებში (საგარეო საქმეთა კომიტეტში ვარ). სადაც საკმაოდ ხშირად მიწევს აზრის გამოთქმა. პლენარულ სხდომებზე კი ძირითადად კომიტეტებისა და ფრაქციების ხელმძღვანელები წარმოაჩენენ საკითხს.

ინტენსიური მუშაობა არის ფრაქციის პოლიტიკურ საბჭოშიც, რომლის წევრიც გახლავართ. დღევანდელ პარლამენტში პირადად მე უფრო ვარ დატვირთული. პარლამენტში შეიქმნა სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტი, რომლის თავმჯდომარეობაც დამეკისრა. შესამუშავებელია სახელმწიფო ენის კანონპროექტი. ვეცნობით სხვა ქვეყნების შესაბამის კანონებს. რა თქმა უნდა, იმიტომ არა, რომ რომელიმე მათგანი მოვირგოთ. მაგრამ გათვალისწინება გვმართებს ყველაფრისა. ვსწავლობთ პრესის, ტელევიზიის ენას. სექტემბერში ქვეკომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე განვიხილავთ ამ შესწავლის შედეგებს და გვინდა, გზები ვეძიოთ, ერთად წავეშველოთ ჩვენს ენას. ვაფიქსირებთ პარლამენტართა მეტყველებაშიც ენის ნორმების დარღვევას. მოგეხსენებათ, ეთერის საშუალებით მცდარი ენობრივი ფორმები ეფინება მთელ საქართველოს და მიმბაძველიც ბევრი უჩნდება. მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურისა და ტერმინოლოგიის განყოფილებებთან. ქართული ენის სახელმწიფო კომისიასთანაც, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი ხელმძღვანელობს, გვექნება თანამშრომლობა. ჩვენს ენას მიხედვა, მზრუნველობა და პატრონობა სჭირდება.

საქართველოს პარლამენტი გაერთიანებულია მართლმადიდებელი ქვეყნების პარლამენტთაშორის ასამბლეაში, რომელშიც 18 ქვეყანა შედის. ასამბლეის ყოველწლიური შეკრებები ეძღვნება სხვადასხვა პრობლემას, მაგალითად: „მართლმადიდებლობის კულტურულ-საგანმანათლებლო მისია“, „მართლმადიდებლობის სოციალური როლი“ და სხვა. საქართველოს ამ სფეროში თავისი სათქმელი ბევრი აქვს. მოხსენებების სახით მუშაობაში მონაწილეობა მიხდება ასამბლეის შეკრების დღეებში, დანარჩენ პერიოდშიც მაქვს დატვირთვა, როგორც ასამბლეის კომიტეტის წევრს.

ამის გარდა, პარლამენტში შეიქმნა სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტებთან ურთიერთობის მუდმივმოქმედი დელეგაციები. ესპანეთ-პორტუგალიის საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელობა დამავალეს. დელეგაციის 11 წევრს დიდი შრომა გვმართებს. საჭიროა, საფუძვლიანად გავეცნოთ ამ ქვეყნების პოლიტიკურ ვითარებას, საზოგადოებრივი ყოფის სპეციფიკას, ისტორიას, კულტურას.

— თქვენი თარგმნილი ესპანური ლიტერატურის ნიმუშები გამოქვეყნდა რამდენჯერმე...

— დიახ, ეს იყო ხიმენესი, გენიალური მწერალი, ნობელიანტი. მალე გამოვა ქართულად მისი წიგნი, რომელიც საოცრად პოპულარულია მთელ ესპანურენოვან სამყაროში. ეს არის სიყვარულის, სათნოებისა და ჰარმონიის დამამკვიდრებელი წიგნი. ესპანელ პარლამენტარებთან ურთიერთობაშიც ეგებ შემოიტანოს რაღაც ენით უთქმელი ნიუანსი ამ წიგნმა.

—ქალბატონო მანანა, აფხაზეთის გამო კიდევ ერთი მოლაპარაკება დამთავრდა. პრობლემის მოგვარება ჭიანურდება და ეს პროტესტსა და აღშფოთებას იწვევს. აგერ, ბატონი გერმანე ფაცაცია საერთოდ გავიდა აფხაზეთის დეპუტაციიდან.

— ვიცი, წავიკითხე მისი ინტერვიუ. მე ახლობლად მიმაჩნია ეს პიროვნება. არ ვიცი, ეგებ თვითონაც გრძნობდეს ამას. ვხედავ, რა ტკივილს დაატარებს, მისი სულის ფორიაქს ვგრძნობ. მისმა ინტერვიუმ შემძრა. ეს არის ლოდინით გატანჯული ადამიანის სასოწარკვეთა. „ჩემში გრძნობებმა იძალაო“,- თავადაც ამბობს. მისი გადაწყვეტილების შეფასებას, ან მის გამტყუნებას არ ვაპირებ. მე მესმის მისი. ამბობს, რომ დევნილთა სახეების ცქერამ დაღალა, რომ აღარ იცის, რა უპასუხოს დევნილებს. თვითონვე სწორად აანალიზებს თავის განცდებს: ჩვენ იმ მდგომარეობამდე მივედით, როდესაც ადამიანისთვის ყველაფერი სულერთიაო.

ადრე რამდენჯერმე გავესაუბრე კიდეც ბატონ გერმანეს, მშობლები აფხაზეთში როცა ჰყავდა ჩატოვებული. უმცროსი ძმის ბედი აფიქრებდა.

ისე, სასხვათაშორისოდ შევიარე „იმელში“ მის ოთახში, სასხვათაშორისოდვე გამოველაპარაკე, თანაგრძნობის გამხელაც ვერ შევკადრე.

გულწრფელად მშურს ჩეჩნებისა,-ამბობს. თურმე რა ძვირად უღირდათ თავისუფლება. ჩვენ რომ მათსავით გვებრძოლა, ასე სამარცხვინოდ არ გამოვიქცეოდით აფხაზეთიდანო. ეგებ ზუსტად ვერ ვიმეორებ მის ნათქვამს, დაახლოებით ასეა. მინდა, რაკი სიტყვამ მოიტანა, შევეხმიანო.

სიმართლეს ბრძანებს და ეს სიმართლეა სწორედ ჩვენი უბედურების მიზეზიც. თავადვე ამბობს, არც აფხაზეთში ვიყავით ერთიანი და არც აქ ვართ ერთიანნი. ვაი, რომ ესეც სიმართლეა და ამან მოიტანა მთელი ჩვენი გასაჭირი. რა უნდა ვუთხრათ და, [illegible] ეს უნდა ვუთხრათ ჩვენს განაწამებ ლტოლვილებს, ოღონდ ისიც უნდა დავაზუსტოთ, რომ ჩეჩნეთის უკან მხარდამჭერი დიდი ძალა დგას, ჩვენ კი ჩეჩნებიც გვიტევდნენ და ბევრი სხვაც. არც ფუნდამენტალიზმი დაგვაკლდა. სამხრეთის ქვეყნებიდან შემოხეტებულებიც გვახსოვს აფხაზეთში და მრავალი სხვაც. ჩვენ მარტო ვიყავით. მარტო კი არა, ნახევარი საქართველო ვიყავით. ქვეყნის შიგნით ხომ ღალატი იყო ყოველ ნაბიჯზე.

აპრილში პარლამენტში ყველას გვახსოვს გენერალური პროკურორისა და მისი მოადგილის მოხსენებები. გვახსოვს უშიშროების ყოფილი მინისტრის ირაკლი ბათიაშვილის გამოსვლაც. ღალატისა და უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მოქმედების რა სურათი დაიხატა! ეს მოხსენებები, ვფიქრობ, ბროშურებად უნდა გამოქვეყნდეს და დროდადრო უნდა წაიკითხოს ლტოლვილმაც და ჩვენც ყველამ, გავიხსენოთ, ვინ რა მოღვაწეობას ეწეოდა იმ პერიოდში. გვარების დიდი ნაწილი არ დასახელებულა, მაგრამ ჩვენ ხომ ყველას გვახსოვს წინა პარლამენტში ვინ რა სიტუაციაში როგორ ძაბავდა პროცესებს, ვინ რუსეთში დაიარებოდა ვიზიტად, ვინ — ქობალიასთან.

გავიხსენოთ, ძმათა მკვლელი ომით დაქცეულ ქვეყანაში როგორ იქნა ინსპირირებული სეპარატიზმი, რამდენხანს მზადდებოდა იგი და როგორ შემოადგა გზების დასაცავად ჩასული ჯარი აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს. და ეს მაშინ მოხდა, როცა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ჯერ არც სახელმწიფოს მეთაური იყო და არც მთავარსარდალი. თან სამოქალაქო ომი იყო გაჩაღებული და რუსეთთან ურთიერთობა — დაძაბული. სახელმწიფო საბჭოს ოთხი წევრიდან ვეტოს უფლება ჰქონდა ყოველს. იმ სამს კი სამი ხმა ჰქონდა ერთად. აღარაფერს ვამბობ მათ უკან მდგომ შეიარაღებულ ხალხზე.

ასე, „მეგობრობა-მეგობრობაში“ რამდენიმე ხდებოდა ქვეყნისათვის სასიკეთო ზღუდეებში მოქცევა მათი მოღვაწეობისა. გახსოვთ ჯაბა იოსელიანის მონაწილეობა მოლაპარაკებებში და სიკეთისკენ წარმართვა იმ დამანგრეველი ენერგიისა.

ისიც გავიხსენოთ, რამდენჯერ გადაგვარჩინა ედუარდ შევარდნაძემ სამოქალაქო ომის ახალი ძალით აფეთქებას. ჩვენ ხომ მშვენივრად გვახსოვს იარაღიანი კაცებით გაჭედილი პარლამენტის ვესტიბიული, როცა სიგუა პრემიერად არ დაამტკიცა პარლამენტმა. ახლა სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ? რა უძლოდა ამას პარლამენტში და იმ დღეს რას ასცდა ქვეყანა? სახელმწიფოს მეთაურმა რა ძალებს დაახევინა უკან ხალხის ასეთი მხარდაჭერის წყალობით? იმაზეც ვიფიქროთ, რას გვიქადდა კიტოვან-ფისუნის ახალი ლაშქრობა.

აფხაზეთი ბევრად ადრე დავკარგეთ, ვიდრე ჩვენ გვგონია. რა ვუთხრათ და, აი ეს უნდა ვუთხრათ ლტოლვილებს. ჩვენი ხელით დავაქციეთ ქვეყანა, როცა მოსახლეობის 17 პროცენტმა ფაქტობრივი უმრავლესობა მოიპოვა, როცა ქართულმა დეპუტაციამ ხელისუფლების სათავეში არძინბას მოსვლას დაუჭირა მხარი, როცა აფხაზეთში მიტინგებზე ულვაშებგადაგრეხილი ჯოხარ დუდაევის პორტრეტები ვაფრიალეთ და პატრიარქის სახე გადავხაზეთ.

მაშინ დავკარგეთ აფხაზეთი.

უნდა ვუთხრათ, რომ ღალატი იყო. შემზარავი ღალატი. ბატალიონები მოიხსნა სოხუმის დაცემის დღეს. ოჩამჩირიდან მაშველი ჯარი ვერ კი არა - არ ჩავიდა სოხუმში. ლოთი ქობალია-იგორ გიორგაძის ალიანსიც გავიხსენოთ.

იბომბებოდა სოხუმი და ალმოდებული ქალაქიდან სახელმწიფოს მეთაური მიმართვებს უგზავნიდა დასავლეთის ხელისუფალთ. თავისი სიცოცხლის რისკითაც აიძულებდა მსოფლიოს დაფიქრებულიყო საქართველოს ბედზეც და დემოკრატიისა და სამართლიანობის ხვედრზეც.სოხუმის დაცემის ღამეს კი ქუჩაში იყო პირტიტველა ბიჭების გვერდით.

ჩვენ კი ჯერ ვხოცეთ და ვძარცვეთ ერთმანეთი, მერე ლტოლვილები ჭუბერის გზას გავუყენეთ. იმ ჯოჯოხეთურ გზაზეც ბევრი დაეცა მოძმის ტყვიით.

ვინც შტურმით ფიქრობს აფხაზეთის დაბრუნებას, ეს ყველაფერი გაიხსენოს და რა ძალების ამოქმედებაა შესაძლებელი, ისიც გაითვალისწინოს.

თანაც ეს უმძიმესი პროცესები მიმდინარეობდა ინფორმაციული ომის წაგების ფონზე. ჩვენივე პოლიტიკური სიბეცით ხელი შევუწყეთ ჩვენს მტერს ინფორმაციული ომის მოგებაში. უფრო ადრე ცხინვალისაკენ ავტობუსებით ჩვენი [illegible] მოვიგონეთ. მეორე დღესვე მთელი მსოფლიოს გაზეთების პირველ გვერდებზე დაიბეჭდა დიდი ფოტო: რუსის ჯარი ფარებით რკალად შემორტყმია და „მოძალადე“ ქართველთაგან იცავს ოსურ მოსახლეობას, ქალებსა და ბავშვებს. ჩვენი გაზეთებიდანაც ყველას კარგად გვახსოვს ეს ფოტო და რუსეთის საინფორმაციო არხებმა ხომ მთელ ქვეყანას მოფინეს.

იმ დღეებში გერმანიაში ვიყავი და ვიცი, რა გაოგნებული რეაქცია მოჰყვა ამას. გეტინგენის უნივერსიტეტის რამდენიმე პროფესორთან მქონდა საუბარი. ყველაფერი შევახსენე. თანაც, ესენი ჩემი მეგობრები იყვნენ. გაზეთში გამოქვეყნებულ „დოკუმენტურ ფოტოს“ მიჩვენებდნენ პასუხად. ეს პროვოკაცია იყო-მეთქი, რომ ვუთხარი, ამან კიდევ უფრო გააოგნა ისინი. ამის თქმით შენ კიდევ უფრო შეურაცხყოფ შენს ერსო. ავტობუსებმა ვინც [illegible], იმათ თუ გონება დაებინდათ ამდენს ერთად, ერის დანარჩენი ნაწილი რას შვებოდა?!

ამ ფაქტმა არა მხოლოდ ოსებს, აფხაზებსაც მოუტანა მსოფლიოს მხარდაჭერა. ამგვარი ინფორმაციებით მთელმა მსოფლიომ ირწმუნა, რომ საქართველოში უმრავლესობა ჩაგრავს უმცირესობას. ეს დასავლური სტერეოტიპია. პირუკუ პროცესს არ იცნობდა დღევანდელი მსოფლიო. ეს არსად არ ხდება. ეს მოხდა საქართველოში, აფხაზეთში.

არაფერი გაკეთებულაო. მე კი მგონია, რომ ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. ისიც გავიხსენოთ, ეს რა რთული პროცესი იყო და როგორ ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მივედით გაეროში შევარდნაძის ლამის საათნახევრიანი გამოსვლიდან ბუდაპეშტის სამიტამდე. რთული და ძნელი გზა იყო. რაც ადრე არ იყო შესაძლებელი, შესაძლო გახდა მოვლენათა შემდგომი განვითარების შედეგად. 52-მა ქვეყანამ აღიარა, რომ აფხაზეთში მოხდა ქართველთა გენოციდი.

„ლისი“-ში შეხვედრაზე ისეთი ამბავი შეიქმნა პარლამენტში, თითქოს ჩეჩენთა რაზმები სამტრედიასთან არ ყოფილიყვნენ მომდგარნი და თითქოს საქართველოს დაქცევის ისეთი სცენარი არ თამაშდებოდა, რომელსაც უკანონოდ განდევნილი პრეზიდენტის კანონიერი დაბრუნება ერქვა. სამოქალაქო ომი და აგრესიული სეპარატიზმი ქვეყნის საბოლოო დაშლით უნდა დაგვირგვინებულიყო.

არადა, მსოფლიომ მაშინ იბრუნა ჩვენკენ პირი, როცა ანტირუსული ისტერია შენელდა და ურთიერთობის მოგვარება დავიწყეთ რუსეთთან.

მსოფლიომ არა მხოლოდ ირწმუნა, დღეს გაეროს უშიშროების საბჭოს 14 რეზოლუცია გვიდასტურებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

რაში წაგვადგა ეს ყველაფერი, მეტყვით ალბათ.

კონფლიქტები ასე ნაბიჯ-ნაბიჯ გვარდება. უშედეგო მოლაპარაკებებიც კი ჩვენს სასარგებლოდ „მუშაობს“: პროცესი გრძელდება, საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევას შენელება არ უწერია; საერთაშორისო სტრუქტურების წინაშეც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ საქართველოს ხელისუფლება დღევანდელი მსოფლიო სტანდარტების კვალობაზე ცდილობს პრობლემის პოლიტიკურ მოგვარებას. ხოლო სეპარატისტთა პოზიციის ჯიუტი დაფიქსირება ახალი სანქციების, პრობლემის მოგვარების ახალი გზის ძიების აუცილებლობას წამოჭრის საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშეც და რუსეთის წინაშეც. სულ უფრო და უფრო ხდება ინტერნაციონალიზაცია აფხაზეთის პრობლემისა.

დრო ჩვენს საწინააღმდეგოდ მუშაობსო. მე კი ვფიქრობ, რომ პირიქითაა. დროის ფაქტორი მოვლენათა განვითარების შესაბამისად სხვადასხვაგვარად მოქმედებს ისტორიის მანძილზე. სექტემბერში თბილისში ჩამოდის ქართველთა გენოციდის შემსწავლელი გაეროს სპეციალური კომისია. გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისია სექტემბერში გენერალურ ასამბლეას წარუდგენს კოდექსს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობათა შესახებ. კოდექსში ერთ-ერთი უმძიმეს დანაშაულად არის მიჩნეული გენოციდი, კაცობრიობა სერიოზული ნაბიჯების მოწმე ხდება: იქმნება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ფართო უფლებამოსილებით. ოღონდ ეს ყველაფერი უშიშროების საბჭოს პრეროგატივაა და ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთს ამ საბჭოში ვეტოს უფლება აქვს.

და მაინც აფხაზეთის პრობლემის მოგვარებისთვის უმთავრესია ქართული სახელმწიფოს ძლიერება. ბევრი რამ გაკეთდა ამ მხრივ: ბანდების თარეში კარგა ხანია დამთავრდა; ქვეყანას აქვს კონსტიტუცია, შეიქმნა საკონსტიტუციო სასამართლო, პარლამენტში გაჩაღებულია კანონშემოქმედებითი მუშაობა; ევროკავშირთან ხელშეკრულებას ხელი მოეწერა, სტუმრის სტატუსიც მივიღეთ; საერთაშორისო სტრუქტურების აზრით, საქართველოში ჩატარდა ფულის უნიკალური რეფორმა; სავალუტო ფონდი, ევროკავშირის ამიერკავკასიის კომისია მიიჩნევს, რომ პოსტკომუნისტურ სივრცეში საქართველო ყველაზე აქტიურ ნაბიჯებს დგამს რეფორმების გზაზე; ამერიკის კონგრესში, ამიერკავკასიის კომისიაში სპეციალური „მოსმენა“ მიეძღვნა საქართველოში მიმდინარე რეფორმებს და დიდი მოწონება დაიმსახურა; ინვესტორები ერთვებიან ჩვენი ეკონომიკის აღორძინებაში, უცხოური სახელმწიფოები კრედიტებითა და პროექტებით გვეხმარებიან კრიზისიდან გამოსვლაში. ეკონომიკაში ძვრები დაიწყო.

ნავთობსადენი უკვე რეალობად იქცა. აზერბაიჯანის ნავთს — და ამდენად საქართველოზე გამავალ ნავთობსადენსაც — უკავშირდება მსოფლიოს მაგნატთა ეკონომიკური ინტერესები. და არა მხოლოდ ეკონომიკური. საქართველოს ერთიანობა და სტაბილურობა საერთაშორისო პოლიტიკის დაინტერესების საგანი ხდება.

ამუშავდა ე.წ. „კავკასიის ფაქტორი“. შევარდნაძის ინიციატივას „მშვიდობიანი კავკასია“ დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რადგან ბევრი ქვეყნის ინტერესებს მოიცავს. ქართულ-ოსური დიალოგიც რეალობად იქცა.

ძნელია, იმედი მისცე ადამიანს, როცა ასე ჭირს ყოველდღიურად თავის გატანა, როცა ასე დაბალია ხელფასი. მაგრამ მჯერა, რომ მთავარი სიძნელე უკან გვაქვს ჩამოტოვებული. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მოსახლეობამ იგრძნოს შვება. ეს დღეც დადგება.

არ იფიქროთ, ამას იმიტომ გეუბნებოდეთ, რომ საგანგებოდ და ანგარიშგასაწევად მივიჩნევ ლოდინით გადაღლილ-გატანჯული კაცის ნათქვამი: საქართველოს მოსახლეობა შევარდნაძის ინიციატივათა სუბიექტად ვეღარ გამოდგება, რადგან მასამდე ფიზიკურად ვეღარ მიაღწევსო. ანდა მისივე სხვა ნათქვამი: „ასე თუ გაგრძელდა, ჩვენი ისტორია [illegible] და საქართველო აღორძინდება.

პასუხისმგებლობას მოვიხსნით თუ არა, მას მაინც ვერსად გავექცევით. ისე კი, მე მგონია, აფხაზეთის ერთადერთ ლეგიტიმურ ორგანოს — ლტოლვილ უმაღლეს საბჭოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია და მნიშვნელოვანი მისიის ტვირთვა მართებს.

პასუხის მოთხოვნა უფრო ძნელია საკუთარი თავისთვის, ვიდრე სხვისთვის. ყოველმა ჩვენგანმა თუ პასუხი საკუთარ თავს კი არა, სხვას მოვთხოვეთ, გაგვიჭირდება ქვეყნის შენება. არადა, უნდა ვაშენოთ ყველამ ერთად, ისე ერთად და ისე გონიერულად, რომ ვერავითარი სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებმა ვეღარ მოახერხონ ჩვენივე ხელითა და ჩვენივე ცნობიერებით ჩვენი სახელმწიფოს დაშლა. მტერს რასა ვთხოვთ? მისი საქმე მტრობაა. ჩვენ თვითონ არ უნდა ვუმტროთ საკუთარ თავს. ერთმანეთის მტრობაც საკუთარი თავის მტრობაა და ქვეყნის მტრობაც არის.

ბევრჯერ ყოფილა შეცდომად მიჩნეული ქვეყნის სასიკეთოდ გადადგმული ნაბიჯები. ამ ნაბიჯთა გამართლება ან შელამაზება პრეზიდენტს არ სჭირდება. ეს მისი პრობლემა არ არის. ეს ვერდამნახავის პრობლემაა. მაგრამ ქვეყანას წაადგება ამ ნაბიჯების სწორად დანახვა.

მახსოვს, წინა პარლამენტში რა აღიაქოთი მოჰყვა სახელმწიფოს მეთაურის ვიზიტს ჩინეთში, როცა მილიარდნახევრიანი ქვეყანა პეკინის გრანდიოზულ მოედანზე პატივს მიაგებდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, პარლამენტში ოპოზიცია აგრესიას ანთხევდა და 9 აპრილის გმირებმა პლენარულ სხდომაზე სამგზავრო ბიზნესის ხარჯიც კი წამოაყვედრეს. „აბრეშუმის გზა“ არავის გახსენებია მაშინ. ეს ბევრად გვიან გახდა ნათელი.

დღეს „აბრეშუმის გზა“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც მსოფლიოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში მნიშვნელოვან ადგილს მიუჩენს ჩვენს ქვეყანას. ე.წ. „ტრასეკას“ პროექტი, რომელიც სატრანსპორტო დერეფნის შექმნას ითვალისწინებს, ფართო მასშტაბებს იძენს და მოიცავს გზების, ნავსადგურების, აეროპორტების მშენებლობას. პროექტის განხორციელებაში ერთვებიან კერძო სტრუქტურებიც. საქართველო დღევანდელი მსოფლიოსთვის შესაფერისი ფორმებით იბრუნებს თავის ტრადიციულ როლს ევროპასა და აზიას შორის საკომუნიკაციო შუამავლისას.

სწორედ ყოველივე ამის გამო ვხედავ, რომ მალე დაგვადგება საშველი. ეს ყველაფერი ერთად აფხაზეთის დაბრუნებას გარდაუვალობად აქცევს.

— ქალბატონო მანანა, ისევ თქვენს საქმიანობაზე მინდა გკითხოთ. დღეს მწვავედ დგას სკოლის პრობლემები. პრესაში კარგახნის წინ იყო ცნობა რომ თქვენ და თქვენმა კოლეგებმა ძველი ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო დაასრულეთ და რომ იგი განხილულ იქნა ლიტერატურის მეთოდსაბჭოს რამდენიმე სხდომაზე.

— ეს იყო ჩვენი „წვლილი ეროვნულ მოძრაობაში“. როგორც კი ქუჩებში მეგაფონიანთა ყვირილი გაისმა, მივხვდით, რომ ქვეყანას დაქცევა ელოდა, და ვიფიქრეთ, როგორც შეგვეძლო, ისე შევხიდებოდით. ასე მგონია, ჩვენს ლიტერატურაში რა უღრმესი და [illegible] სულიერი ფასეულობებიც დევს, ეს რომ არ მიეჩქმალა ტოტალიტარული რეჟიმის განათლების სისტემას, ჩვენი ახალგაზრდობა ქვეყნის ხსნისა და შენების სხვა გზას დაადგებოდა, სიბეცის მსხვერპლი არ გახდებოდა. 4 წელიწადია სახელმძღვანელო დასრულებულია. ახლა მეორე წიგნზე ვმუშაობთ. ოდესმე ალბათ შეძლებს ჩვენი ქვეყანა მის გამოცემას და მოიხმარს ალბათ. ყოველ შემთხვევაში, იგი უკეთესის შექმნის სურვილს მაინც აღუძრავს ვინმეს. ჩვენ, რაც შევძელით, ის გავაკეთეთ. [illegible]

ხიდები

„საქქალაქმშენპროექტი“ ძალას იკრებს

პოლიტიკური კატაკლიზმების დასრულებისთანავე, შესამჩნევი გახდა ის ნაბიჯები ეკონომიკის გაჯანსაღებისაკენ რომ გადაიდგა. ამ გზაზე კი მშენებლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რასაც მოწმობს თუნდაც საქართველოს პრეზიდენტის მიმდინარე წლის 22 ივლისის ბრძანებულება ურბანიზაციის პროცესის მართვის, ქალაქმშენებლობისა და მშენებლობის განხორციელების ხელშემწყობ ღონისძიებათა შესახებ. მართალია, ეს დარგი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებად არის მიჩნეული, მაგრამ მისი დღევანდელი მდგომარეობა საგრძნობლად განსხვავდება იმ როლისაგან, რომელიც მას აკისრია.

მრავალ მიზეზთა შორის ერთ-ერთი ალბათ სრულიად ახალი სისტემის პირობებში მუშაობის გამოცდილების არარსებობაა. ამ რეალობას გვერდი ვერც საქართველოს ქალაქმშენებლობისა და ტერიტორიული დაგეგმარების ინსტიტუტმა აუარა. იგი ჯერ სააქციო საზოგადოებად გარდაიქმნა და მოქმედების თავისუფლების მიღებისთანავე გენერალური დირექტორის გიორგი ანდრონიკაშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მიზნად დაისახა სამშენებლო პროექტირების სფეროში დასავლეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა.

სწორედ ამან განაპირობა გერმანიის არქიტექტორთა და ინჟინერთა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იპროდრეზდენთან“ ურთიერთობის დამყარება, რომელიც თავის ქვეყანაში ანალოგიურ სამსახურებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა, მისი დამფუძნებელი ფირმა „ლამაური“ კი ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესია. იგი ყოფილ გდრ-ში საქქალაქმშენპროექტის ანალოგიური საპროექტო ორგანიზაცია იყო, ხოლო გერმანიის გაერთიანების შემდეგ ის გზა განვლო, ქართველ კოლეგებს რომ აქვთ გადასალახი.

გერმანელთა ინტერესი ამ ორგანიზაციაში არსებულმა მძლავრმა ინტელექტუალურმა პოტენციალმა გამოიწვია. კერძოდ, არქიტექტორებმა, ინჟინრებმა, კონსტრუქტორებმა, რომელთა პროექტებითაც აშენებულია პარლამენტის შენობა, ეროვნული სტადიონი, სახელმწიფო უნივერსიტეტის თუ სამედიცინო ინსტიტუტის ახალი კომპლექსები.

ერთობლივი მუშაობითა და ერთმანეთის გამოცდილების გაზიარებით ვარაუდობს ორივე მხარე მუშაობის ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მთავარ ამოცანად კი დამკვეთის მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილება და მისი ინტერესების დაცვა გაიხადეს. სწორედ ამ ინტერესთა თანხვედრამ და, რაც მთავარია ურთიერთნდობამ განაპირობა წლეულს მათ შორის პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების დადება. იგი საქმიანობის ფართო სპექტრს ითვალისწინებს, კერძოდ, საქართველოს და სხვა ქვეყნებში პროექტებისა და პროგრამების განხორციელებას, რომელიც გერმანიის, ევროგაერთიანების, მსოფლიო ბანკის ან სხვა ინვესტორთა ხელშეწყობით იქნება წარმოდგენილი.

თანამშრომლობის სფეროები კი მოიცავს სამოქალაქო და რეგიონულ დაგეგმარებას, სოციალურ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნაგებობების, მიწისზედა და მიწისქვეშა ობიექტების, სამეურნეო ინფრასტრუქტურისა და სხვა ობიექტების პროექტირებას, აგრეთვე საკონსულტაციო მომსახურებას საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასებისა და ბაზრის გამოკვლევა-პროგნოზირებისათვის, საავტორო ზედამხედველობას, მენეჯმენტს და კონტროლს ახალ მშენებლობაში, რეკონსტრუქციასა თუ აღდგენაში, ამას გარდა დაგეგმილია სპეციალისტების გაცვლა-გამოცვლა, რათა შემდგომში გაადვილდეს ერთობლივი პროექტების განხორციელება და იმ კონკურსებში მონაწილეობის მიღება, არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპაშიც რომ გაიმართება. აქედან გამომდინარე, სააქციო საზოგადოება „საქქალაქმშენპროექტს“ „იპროდრეზდენთან“ ერთობლივი თანამშრომლობით ევროპაში გასვლისა და იქ საკუთარი თავის ღირსეულად წარმოჩენის საშუალება ეცემა. რაც არა მარტო ვიწრო უწყებრივი, არამედ საერთო სახელმწიფოებრივი საქმეა.

საქართველოში წლების მანძილზე ეს ერთ-ერთი წამყვანი საპროექტო ორგანიზაცია იმედია ფეხზე დადგება, ამის საფუძველს თუნდაც ზემოაღნიშნული ხელშეკრულება იძლევა. მართალია იგი 1997 წლის ბოლომდეა ძალაში, მაგრამ მისი გაგრძელება ორივე მხარის სრული ინტერესების დაკმაყოფილებამდეა ნავარაუდევი.

ამ სასარგებლო თანამშრომლობის გაღრმავება-განმტკიცებისათვის კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა. „საქქალაქმშენპროექტის“ ბაზაზე დაფუძნდა „იპროდრეზდენის“ წარმომადგენლობა ანუ ბიურო, რომლის პრეზენტაციაც ახლახან შედგა და მას ამ გერმანული საზოგადოების თავმჯდომარე გიუნტერ კორიტციც ესწრებოდა.

ბექა ჭედია.

ახალი ფორმაცია

თელეთი წელში გაიმართება

თბილისში, საბურთალოს რაიონში [illegible] „თელეთის“ [illegible] წოდებით რომ არის ცნობილი, რას არ შეიძენდა კაცი ოთხმოციანი წლების მიწურულს და ოთხმოცდაათიანის დასაწყისში. სოსისი და ძეხვი, ფრინველის ხორცი და კვერცხი, მაწონი და ხაჭო, ყველი და სულუგუნი და კიდევ მრავალი სხვა პროდუქტი ყოველთვის ახალი და შედარებით დაბალ ფასებში იზიდავდა თბილისელებს.

ბევრს სმენია ან წაუკითხავს, რომ ყველა ამ სიკეთის მოთავე და შემოქმედი ცეკავშირის სისტემაში იმხანად თვითდაფინანსების და თვითანაზღაურების პრინციპზე პირველად შექმნილი კოოპერატივი „თელეთი“ და მისი თავკაცი გიორგი ნაცვალაძე იყო.

სად არ მიიწვიეს გიორგი ნაცვალაძე. ამერიკის შეერთებულ შტატებში, კუბაში, ეგვიპტეში, ჰოლანდიაში, ბულგარეთში ყოფნის დღეებს მისთვის უქმად არ ჩაუვლია. ყოველი მხრიდან ჩამოჰქონდა საქმიანი და პერსპექტიული წინადადებები, წინ ლამაზი ჰორიზონტები ესახებოდა. მრავალი ადამიანიც აიყოლია მიზნების მისაღწევად. გაიმართა მერძეულობის ფერმა (350 სულ ჯიშიან საქონელზე), საღორე, საფრინველე ინკუბატორით, საკონდიტრო და ძეხვეულის საამქროები. რიგი იდგა სადღესასწაულო რიტუალების დარბაზისათვის, რომელიც გარდაბნის რაიონის სოფელ თელეთის თავზე დგას და კუმისის ტბას გადაჰყურებს. აბა, უვარდოდ როგორ იქნებოდა. „სოფი ლორენის ფეხად“ წოდებული ხავერდოვანი ვარდის ნერგები გიორგიმ ჰოლანდიიდან ჩამოიტანა და სპეციალურად აგებულ სათბურში დაიწყო ამ ლამაზი ყვავილის გამოყვანა. დღესაც მოჰყავს და აწვდის მას დედაქალაქის მცხოვრებლებს. სამწუხაროდ, დანარჩენ დარგებში საქმე შეფერხდა. თელეთელები იძულებული გახდნენ გაეუქმებინათ რიტუალების დარბაზი. ძნელი გამოცდა, რაც საქართველოს დაატყდა თავს, არც მათ ასცდა. ყველა ქარცეცხლში გამოიარა „თელეთმა“ და მისმა უცვლელმა თავმჯდომარემ. იგი არავის შეუშინდა, არ დაყარა ფარხმალი, როცა მასთან გასაძარცვად და დასანგრევად მივიდნენ.

ცეკავშირის ხელმძღვანელობა მონდომებით შეუდგა ფირმის საქმიანობის აღდგენას, ახალმა თავმჯდომარემ გიორგი ქათამაძემ მოინახულა „თელეთი“. აღარ ჩამოდიან აქ საქორწილო ნადიმების და დაბადების დღეების გასამართავად, ხალხის ნაკლებობაა საზკვების ობიექტებში და თბილისის სასურსათო მაღაზიაში — გაძნელდა მათი მომარაგება. 350 ძროხიდან 80 ძლივს ინახავენ (საკვების უკმარობის გამო), დიდი ხანია არ მუშაობს ინკუბატორი, უჭირს მეღორეობას...

— შეღავათიან კრედიტს გამოგიყოფთ, კვლავ მოსინჯე შენებურად, ხალხმა უნდა ირწმუნოს საბაზრო ეკონომიკის, მეწარმის გამარჯვების გარდაუვალობა, — შეაგულიანა ნაცვალაძე ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ.

განა უარის თქმა შეეძლო?

ასაკში შესული, ჭარმაგი კაცი ახალგაზრდული ენთუზიაზმით შეუდგა საქმეს.

გაიმართა მოლაპარაკება უკრაინელ მეფრინველეებთან. კიევიდან 4000 ერთდღიანი საბროილერო წიწილის ჩამოსაყვანად. ორი თვის განმავლობაში წიწილი 1-1,2 კილოგრამს აღწევს და [illegible] რებს, თუ არ იქნება დაბრკოლება საკვებით მომარაგებაში. მან ეს პრობლემაც მოაგვარა — მარნეულის პურპროდუქტების კომბინატის დირექტორმა სოსო ქარსელაძემ თავად მისცა პირობა, რომ არ [illegible].

და ბოლოს, მრავალთა შორის ერთ-ერთი მთავარი — ელექტროენერგიის შეუფერხებლად მიწოდების საკითხის მოგვარება. მართალია, ელენერგიის რიტმულ მიწოდებაზე თავის დროზე გააფორმა ხელშეკრულება გარდაბნის რაიონის ენერგომომარაგება-გასაღების სამსახურთან და დახარჯული ენერგიის საფასურსაც დაუგვიანებლად იხდის, მაგრამ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში, ნაცნობ ხელმძღვანელ მუშაკებთან მაინც შეიარა; ცენტრალური სადისპეტჩერო სამსახურიც არ დავიწყებია. ყველგან დაჰპირდნენ ელენერგიას არ მიაკლებდნენ. თავადაც სარეზერვოდ 35 კილოვატი სიმძლავრის სტაციონარული დანადგარი მოიმარაგა იმ შემთხვევისათვის, თუ ხანმოკლე გამორთვებს მაინც ექნებოდა ადგილი.

თვეზე მეტია, რაც „თელეთის“ საფრინველეში კიევიდან მიღებული წიწილები ხორცს ისხამს. მათ დღედაღამ თავს დასტრიალებენ გახარებული მომვლელები. კიდევ ცოტაც და იმედი გამართლდებოდა. მაგრამ... დენის ხანგრძლივმა და სისტემატურმა გამორთვებმა ფრინველის მასობრივი დაღუპვა გამოიწვია. ივლისში ენერგეტიკოსებმა 22-ჯერ შეუწყვიტეს დენი საფრინველეს. გამორთვა გრძელდებოდა ძირითადად ოთხიდან შვიდ საათამდე და ზოგჯერ მთელი დღე-ღამის განმავლობაშიც კი. ამ დროს საფრინველეში ითიშება სავენტილაციო სისტემა, სიბნელე ისადგურებს. ფრინველი ერთმანეთს აწყდება და იგუდება. უკვე დაიღუპა 650 ფრთა. ზარალი 1250 ლარს აღწევს. გიორგი ნაცვალაძემ რა არ იღონა, რომ ეს არ მომხდარიყო. როგორც კი პირველი ხანმოკლე გამორთვა მოხდა, მან ენერგეტიკოსები ადგილზე მიიწვია და დაათვალიერებინა საფრინველე. ამით, რომ იტყვიან, დაიმშვიდა ისინი, მათაც კიდევ ერთხელ აღუთქვეს, რომ მომავალში არ [illegible]. როგორც ჩანს, ვერ შეძლეს ან არ მოინდომეს. არავინ იცის როგორ წავა საქმე აგვისტოში, ამ თვის ბოლოს გამოზრდილი ბროილერების სარეალიზაციოდ გაყვანა უნდა დაიწყოს.

მე ვიყავი კოოპერატივ „თელეთის“ საფრინველეში და როცა ვნახე ის, რაც გადარჩა, აღფრთოვანება ვერ დავმალე. რა არ შეუძლია მონდომებულ კაცს, თუ ოდნავი ხელშეწყობა მაინც ექნება... განა ამ ზაფხულს ისე [illegible], რომ ერთ პატარა მომხმარებელს ელექტროენერგია რიტმულად ვერ მივაწოდოთ?

— ალბათ, არაფერი არ გამოვა ამჯერადაც — ჩაიქნია ხელი გიორგი ნაცვალაძემ და სინანულით გააგრძელა. — ძნელია დღეს მეწარმის საქმიანობა. იგი არსაიდან არ არის გარანტირებული. მე უკვე ასაკოვანი ვარ და მოვესწარი კარგსაც და ცუდსაც. მინდოდა ახალგაზრდებისთვის საქმით დამემტკიცებინა, რომ ნამდვილი მუშაობის და ინიციატივის დრო დადგა...

ნუთუ, მართლა არაფერი გამოვა გიორგი ნაცვალაძეს?

ამირან მითაგვარია.

P.S. სანამ ეს მასალა გამოსაქვეყნებლად მზადდებოდა, გიორგი ნაცვალაძემ დაგვირეკა, რომ აგვისტოს დასაწყისიდან ელექტროენერგიას შეუფერხებლად აწვდიან და იმედოვნებენ ასეც გაგრძელდება. კარგია, როცა საქმე გამოსწორებისაკენ მიდის.

ნარკომანია

საქართველო „ნემსზე ზის...“

ვიდრე ჩვენს ქვეყანას საძირკველი მორყეული ჰქონდა, ბევრიც ევაგლახა, რაგინდ შრომა ჩაეყარა, ამ ბოროტების წინააღმდეგ ფარსა და კედელს ვერ ააგებდა. თანაც, სულ წელიწადი გავიდა, მეტი ხომ არა, რაც ერთი ანგარიშგასაწევი სახელმწიფო ორგანიზაცია (ანგარიშგასაწევი — თოფ-იარაღით, მუშტით, პირქუში მიზნებით) თვითონ იყო ნარკომანთა ბუდე.

ახლა სახელმწიფომ საძირკველი მოიმაგრა (ანუ სახელმწიფო სახელმწიფოს დაემსგავსა) და ამ ზღუდის აშენებაც დაიწყო...

ამას წინათ ეროვნული უშიშროების საბჭოზე და მთავრობის სხდომაზე საქართველოში ნარკომანიის გავრცელებისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სახელმწიფო პროგრამა დაამტკიცეს.

მთავარ მიზნად პირველ ეტაპზე ნარკოტიკების უკანონო მოხმარებისა და ბრუნვის ტემპის ზრდის შეჩერებაა დასახული.

შემდეგ — მისი ეტაპობრივი შემცირება.

საბოლოოდ — ძალთა მობილიზება ამ სენის სალიკვიდაციოდ.

ნარკომანიის, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლა მიჩნეულია ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განუყოფელ, ერთ-ერთ უმთავრეს საკვანძო პრობლემად.

ამ ბრძოლის საკითხებს უმნიშვნელოვანესი ადგილი დაეთმო საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების მიერ ქვეყანაში სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ძირითადი სტრატეგიის განსაზღვრისას და განხორციელებისას.

ეროვნული პროგრამა ითვალისწინებს:

ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფას, სათანადო სამართლებრივი ბაზის შექმნას, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, ნარკომანიის გავრცელების პროფილაქტიკას, ნარკომანიით დაავადებულთა მკურნალობას და სოციალურ რეაბილიტაციას, მუშაობის იდეოლოგიურ უზრუნველყოფას, არასახელმწიფო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, პრობლემის მეცნიერულ კვლევას და რეკომენდაციების დამუშავებას...

ერთი სიტყვით, ეს არის ღრმად გააზრებული, მართლაც პრაქტიკულად სამოქმედო პროგრამა, რომელმაც უთუოდ უნდა გამოიღოს შედეგი.

მაგრამ დღეს, საბაზრო ეკონომიკის პირობებში (როგორ არ მიყვარს ეს გამოთქმა! უფრო ზუსტად, მისადაგებულად ითქმა სჯობს — კაპიტალიზმის პირობებში!) ნებისმიერ პროგრამასა და მიზანდასახულობას ფულის დასტა უნდა განამტკიცებდეს, და ფინანსთა მინისტრს პრეზიდენტმა სპეციალური დავალება მისცა: მომდევნო 5 წლის ბიუჯეტის შედგენისას გაითვალისწინოს ამ პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა.

პრეზიდენტისვე ბრძანებულებით ეროვნული უშიშროების საბჭოსთან შეიქმნა ნარკომანიის გავრცელებისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო კომისია შინაგან საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრების კახა თარგამაძისა და ავთანდილ ჯორბენაძის თავმჯდომარეობით. კომისიაში გაერთიანებული არიან აგრეთვე სხვა მინისტრები, სხვადასხვა დაინტერესებული უწყების, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

6 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ კომისიის პირველი სხდომა გაიმართა.

მას გამოკვეთილად სამუშაო შეკრების სახე ჰქონდა: მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფების (ასეთი ორი ჯგუფია შექმნილი) ინფორმაციების მოსმენა, სამუშაო გეგმებისა და მიმართულებების განხილვა და ა.შ. მიიღეს ჯანდაცვის სამინისტროს წინადადება ნარკომანიის, ვენერიულ დაავადებათა და შიდსის — ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული მოვლენების — წინააღმდეგ პროფილაქტიკური ბრძოლის ძალისხმევის გაერთიანების შესახებ.

რაც მთავარია, კომისიის ყველა წევრი გამსჭვალული იყო ერთი აზრით: თუ ნარკომანიას ვერ მოვერიეთ, საქართველო დაიღუპება. ამიტომ კომისიამ უნდა გააკეთოს იმაზე მეტი, რაც შეუძლია და რაც არ შეუძლია. და ეს უნდა გააკეთოს არა პრეზიდენტის ან უშიშროების საბჭოს წინაშე პასუხიმგებლობის რიდით, არამედ მოქალაქეობრივი ვალით, შინაგანი მოწოდებით, საქართველოს მომავალზე ფიქრითა და ზრუნვით.

სტატისტიკა:

ბოლო ხანს საქართველოში ნარკომანობისათვის პასუხისმგებაში მიცემულია 8 000-ზე მეტი კაცი.

დაკავებულია უცხო ქვეყნების 1200 მოქალაქე, რომლებიც აქ ასაღებდნენ ნარკოტიკებს.

1995 წელს საქართველოში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებით აღიძრა 1267 სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის 260 — რეალიზაციის ფაქტზე. ჩამორთმეულია 14 კილოგრამი ოპიუმი, 1,5 ტონა კანაფი.

1996 წელს უკვე აღძრულია 726 სისხლის სამართლის საქმე, აქედან 125 — ნარკოტიკების კონტრაბანდისა და რეალიზაციისათვის. ჩამორთმეულია 17 კილოგრამი ოპიუმი, 310 გრამი ჰეროინი, 135 კილოგრამი მარიხუანა, აგრეთვე კოკაინი, მეტადონი, დიდი რაოდენობის სხვა ძლიერმოქმედი პრეპარატები. განადგურებულია 3 ტონამდე კანაფი.

დღეს საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულია ნარკოტიკების 5 ათასი მომხმარებელი. მაგრამ ეს ციფრი რეალურ ვითარებას არ ასახავს. სინამდვილეში მათი რაოდენობა რამდენჯერმე მეტია — 100 ათასამდე კაცს აღწევს.

მესტიაში, მხოლოდ 3 ოჯახიდან, ამოღებულია 1,5 ტონა კანაფი, რომლისგანაც 115 კილოგრამი მარიხუანა დამზადდებოდა.

ნარკომანთა შორის ინტენსიურად მატულობს შიდსით დაავადება: დღეისთვის საქართველოში რეგისტრირებული შიდსით ინფიცირებული 17 მოქალაქიდან 7 ნარკომანია. უახლოეს მომავალში საქართველოში მოსალოდნელია შიდსის სწრაფი გავრცელება. იგი მოედება მოსახლეობის ყველა ფენას, პირველ რიგში — ნარკომანებს. ამ მხრივ ნარკომანები გადააჭარბებენ ჰომოსექსუალისტებს.

სხდომის შემდეგ ერთ-ერთი მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსს, პოლიციის პოლკოვნიკ ჯემალ ჯანაშიას ვთხოვეთ გამოეკვეთა ნარკომანიის გავრცელებისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი მიმართულებები. აი, რა თქვა მან:

როცა ეროვნული პროგრამის განხორციელებისათვის მუშაობას შევუდექით, ყურადღება გავამახვილეთ სამი მიმართულებით:

პირველი: საქართველოში დიდი რაოდენობით მოიხმარება ნარკოტიკები. 100 ათასამდე კაცი, რომელიც ასე თუ ისე, გარკვეულ უკანონო შეხებაშია ნარკოტიკთან, უზარმაზარი რიცხვია ჩვენი ქვეყნისათვის.

მეორე: საქართველოში უკვე ისახება, თანაც აშკარად სოლიდური მასშტაბით, საერთაშორისო ნარკობიზნესი. ამაზე მიგვანიშნებს საერთაშორისო სპეცსამსახურებიდან მიღებული და ჩვენი საკუთარი ინფორმაციები.

მესამე: საქართველოში სწრაფი ტემპით ვითარდება მცენარეული ნარკოტიკების შინაწარმოება. სვანეთში უკვე ყალიბდება შინა ბაზარი. იქიდან ხშირად ჩამოდის და რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში ვრცელდება დიდი პარტიები. კანაფი, ოპიუმის ყაყაჩო, მხოლოდ ველურად კი აღარ იზრდება, მას უკვე ამუშავებენ: თოხნიან, სასუქები შეაქვთ. სვანეთის გარდა ასეთი ნათესები გვხვდება სამცხე-ჯავახეთში, მცხეთა-მთიანეთში, კახეთში. ამ საქმეს ახლავე უნდა მოვუაროთ, თორემ მერე გვიანი იქნება: მოსახლეობამ თუ გემო გაუგო სარგებელს ამ საქმიდან, ვეღარ შეაჩერებ!

მინისტრის ბრძანებით ეროვნული პროგრამა განიხილება ყველა სამხარეო ადმინისტრაციაში. პროგრამა და მისი განხორციელების გეგმა გაეგზავნა ყველა უწყებასა და ორგანიზაციას, ვინც კი რამენაირად დაკავშირებულია ამ პრობლემასთან.

უკვე შემუშავებული გვაქვს კანონის პროექტი ქვეყანაში ნარკომანიის გავრცელებისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ. მოვითხოვთ ნარკოტიკების რეალიზაციისა და კონტრაბანდისთვის საქართველოში არსებული სანქციების უმაღლეს ზომას. არ ვიცი, მომავალში ჩვენში სიკვდილით დასჯა შენარჩუნებული იქნება თუ არა, მაგრამ რა უმაღლესი ზომაც დარჩება, ის უნდა შეეფარდოს.

ვფიქრობთ, დავამკვიდროთ ახალი ინსტიტუტი — კავშირის ოფიცრისა. ეს საშუალებას მოგვცემს ოპერატიული მუშაკები ჩავრთოთ ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებში. ეს მსოფლიო პრაქტიკაა.

ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად უკვე დავიწყეთ ზრუნვა ისეთი ნორმატიული აქტების შესამუშავებლად, როგორიც არის ნარკომანის გამოვლენა, აღრიცხვაზე აყვანა, იძულებითი მკურნალობა, მხოლოდ ასე შეიძლება ამ სფეროში წესრიგსა და სისტემურობაზე ლაპარაკი.

უნდა აღდგეს ნარკომანთა იძულებითი მკურნალობის დაწესებულება. შევარჩიეთ კიდეც ადგილი ტყიბულის ტერიტორიაზე.

სერიოზულ მნიშვნელობას ვანიჭებთ საბაჟო სამსახურთან ურთიერთობას. ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში საბაჟო სამსახურს ამოაქვს იმდენი ნარკოტიკი, რამდენიც — პოლიციას და უშიშროებას. ჩვენთან კი ეს თანაფარდობა დარღვეულია.

და ბოლოს, დიდ იმედს ვამყარებთ მთელი ჩვენი ბრძოლის იდეოლოგიურ უზრუნველყოფაზე.

იმით მინდა დავასრულო, რითაც დავიწყე: მადლობა ღმერთს, რომ ჩვენმა ქვეყანამ უკვე მოიკრიბა ძალა და სისტემური ბრძოლა დაიწყო ისეთი ბოროტების წინააღმდეგ, როგორიც ნარკომანია და ნარკობიზნესია.

ეს იმედს გვისახავს, რომ საქართველო „ნემსიდან ჩამოვა“.

ალეკო ასლანიშვილი.

სამართალი

გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩება

პასუხს ყველა აგებს

„თავისუფალი პრესის“ ზოგიერთ წარმომადგენელს რატომღაც ძალიან ეწყინა, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ლოთი ქობალიასა და სხვათა სასამართლო პროცესიდან ერთ-ერთი რეპორტაჟი ასე დავასათაურეთ: — „რაც მოასწრეს, დაიტაცეს“... რა ვქნათ, ამჯერადაც უნდა გავაწბილოთ ჩვენი გამჩხრეკები. ბოლო დღეებში იმდენმა მოწმემ დაადასტურა იმ დატაცებაგატაცების ფაქტები, რომ მათ გვერდს ვერ ავუვლით.

რევაზ უჩანეიშვილი გამსახურდიასეულ მომარაგების სამმართველოში განყოფილების უფროსად დანიშნეს. ხუმრობით ვაჭრობის მინისტრსაც ეძახდნენ. ჩამოაყენეს ზუგდიდში ვაგონებით შაქრის ფხვნილი, მოიტანეს განაწილების ფურცელი და დაიწყეს გაცემა რაიონების მიხედვით. „ვაჭრობის მინისტრმა“ არ იცოდა, — საიდან მოვიდა ეს შაქრის ფხვნილი, რამდენი მოვიდა, სად მიდიოდა, კონკრეტულად ვის ეძლეოდა... თუ სადმე სამართალი იყო, შაქრის ფხვნილი პირველ რიგში აფხაზეთიდან გამოძევებულთათვის უნდა მიეცათ, მაგრამ...

— ლტოლვილებს აძლევდნენ შაქრის ფხვნილს?

— არ ვიცი, ალბათ, გამგეობები აძლევდნენ...

სხვისი იყო ის შაქრის ფხვნილი, სხვისი. იარაღით დაეპატრონენ და იარაღით გაანაწილეს. ბოლოს ვაგონები მიატოვეს და მოსახლეობას დაატაცებინეს.

ზუგდიდიდანვე მთელი კოლონა — 15 სატვირთო ავტომანქანა გააგზავნეს ფოთში. მიადგნენ პორტს, მერე — ფქვილით დატვირთულ გემს. პირთამდე გაძეძგეს მანქანები, შიგ ჩაუსხდნენ შეიარაღებული პირები და მოაყენეს კოლონა ზუგდიდში თავიანთ შტაბს. მოწმედ ჩამოსულმა მძღოლებმა ეს ყველაფერი დაადასტურეს, მაგრამ ის ვერ თქვეს: ამის შემდეგ ფქვილი ვის მისცეს, ვის აჩუქეს, ვის მიჰყიდეს...

აბაშიდან ჩამოვიდა პოლიციის უფროსის იმჟამინდელი მოადგილე ელგუჯა ჯვარელია. იქ სოსო ჟღენტის ბიჭები შევიდნენ, მილიციას იარაღიც წაართვეს და სამსახურებრივი მანქანებიც. დღესაც არავინ იცის, სად გაქრა ის მანქანები...

ფოთის პორტის ტვირთების გადაზიდვების განყოფილების უფროსი პეტრე ჯგუბურია კი, ალბათ, უკვე მეათედ ადასტურებს, რომ ლოთი ქობალიას შეიარაღებულმა ფორმირებებმა 7.000 ტონა ლითონი გემებით თურქეთში გაზიდეს... არმატურა ეკუთვნოდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას, მაგრამ ვის ადარდებდა, რუსთავი დაიქცეოდა თუ აშენდებოდა?

არც ზუგდიდის საცხენოსნო კომპლექსის დაზარალება ადარდებდა ვინმეს. აქედან ორი ჯიშიანი, წმინდა სისხლის ცხენი „ბრასლეტი“ და „კუსტიკი“ წაიყვანეს. ცხენები ბათუმის გზას გაუყენეს, მავანსა თუ მავანს აჩუქეს. ჩააკითხეს ბათუმში ამ ცხენებს. ეს მერე, როცა უკვე ლოთი ქობალიას მოსვენება არ მისცეს. „კუსტიკი“ ცოცხალი აღარ დახვდათ, „ბრასლეტი“ კი დააბრუნეს...

ასეთ დატაცებებს ოპონენტები უმნიშვნელოდ, წვრილმანად თვლიან. ჯერ ერთი, ეს წვრილმანი არ არის, მეორეც, ზღვის დალევა კოვზითაც შეიძლება. განა რა ჰქონდა ამდენი საძარცვი აფხაზეთის ომის ცეცხლში გახვეულ, შემდეგ კი დამარცხებულ საქართველოს?

იმასაც გვისაყვედურებენ, კარგი, ეს სამეგრელოში, მაგრამ კახეთში, ქართლში, გურიაში, იმერეთში, თბილისში ვინ დაიტაცა, ვიღამ გაანიავა ყველაფერიო?

„საქართველოს რესპუბლიკა“ არც ამაზე ხუჭავს თვალს. სწორედ ამ დღეებში სერიოზული მამხილებელი სტატიები იბეჭდება ხელისუფლების უმაღლესი რანგის წარმომადგენლებზეც კი. ასე რომ, პასუხს ყველა აგებს.

ამჯერად კი, კონკრეტულად საქმე გვაქვს ლოთი ქობალიას შეიარაღებულ ფორმირებებთან...

მუშტიკრივი შუა ქუჩაში

როგორც ყველგან, ზუგდიდის ნავთობბაზაშიც შედიოდა ნავთობპროდუქტები და შემდეგ გამგეობის განკარგულებით ნაწილდებოდა საწარმო-დაწესებულებებზე. ეწვივნენ ერთხელ ამ ნავთობბაზას ლოთი ქობალიას „ბიჭები“, მიიტანეს რაღაც განრიგი და წაიღეს ორი ტონა ბენზინი. მეორედაც მიადგნენ, აღარ იყო ბენზინი და უარი უთხრეს. ეს როგორ გაგვიბედეთო, უარი როგორ გვკადრეთო და ნავთობბაზის დირექტორს თორნიკე ბერაიას სულ მუშტები უღერეს.

მოკლე ხანში თავად ლოთი ქობალია გადაეყარა თორნიკე ბერაიას ქუჩაში, — გამგეობის წინ. შენ მე ვინა გგონივარ, ჩემი გამოგზავნილი ბიჭები ხელცარიელი როგორ გამოუშვი, არც აცხელა, არც აცივა და თორნიკე ბერაიას სილა გააწნა. ესეც არ აკმარა, სამსახურის ბეჭედი წაართვა და თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანებაც ზედ მიაყოლა.

ქობალია თავისას არ გაიტანდა?

თბილისში ნავთობპროდუქტების მთავარ სამმართველოში სპეციალური წერილი აფრინეს და ბერაია სამსახურს გამოამშვიდობეს.

სასამართლო პროცესზე მოწმედ მოწვეულმა თორნიკე ბერაიამ თქვა, დღესაც ვეძებ სამართალს, მაგრამ დაკარგულ თანამდებობას არავინ მიბრუნებსო. იქნებ ახლა მაინც გამოჩნდეს მისი გულშემატკივარი?

დღეს განსასჯელები (და „თავისუფალი პრესის“ წარმომადგენლები) გაიძახიან, დაკავებულთა ადამიანური უფლებები ირღვევაო. ძალიან მალე დაავიწყდათ, თავად რას სჩადიოდნენ — ხალხს სამსახურიდან აძევებდნენ, ქუჩაში მუშტიკრივს უმართავდნენ, უკანონოდ ხსნიდნენ, და უკანონოდაც ნიშნავდნენ...

როცა სამტრედია აიღეს, მილიციის ძველი უფროსი გაათავისუფლეს და ზვიად ძიძიგურის ბრძანებით გია ცხვირავაშვილი დანიშნეს.

— საერთოდ, ვინ ნიშნავს მილიციის უფროსს? — ჰკითხეს სასამართლო პროცესზე მოწმე გია ცხვირავაშვილს.

— შინაგან საქმეთა მინისტრი.

— მერე, თქვენ ვისი ბრძანებით დაინიშნეთ?

— ზვიად ძიძიგურის...

საოცარი ამბავია: მილიციის უფროსად თავიანთ კაცი დანიშნეს და მაინც საქმე სამათხოვროდ გაუხდეს. მილიციიდან იარაღი უკვე წაეღოთ. ამ იარაღის დასაბრუნებლად ბარე ცხრაჯერ მივიდა გია ცხვირავაშვილი ზვიად ძიძიგურთან, მაგრამ ამაოდ. იარაღი ვერ მიიღო. უიარაღო მილიცია კი, ყაჩაღსა და მკვლელს კი არა, უბრალო ჯიბგირსა და ხულიგანსაც ბუზს ვერ აუფრენს.

რა ვიფიქროთ? ხელს აძლევდათ განიარაღებული მილიცია, პროკურატურა, უშიშროება? ალბათ, აძლევდათ!

ვინ გაწირა ჟიული შარტავა?

მოწმე ვიქტორ გობრონიძე 1992 წლის 31 დეკემბრიდან სატრანსპორტო პოლიციის სამხედრო განყოფილების უფროსად მუშაობდა. მან გაიხსენა ეპიზოდი, როცა გია გულუას რაზმი დაცემული სოხუმიდან გამოდიოდა. ლოთი ქობალიას „ბიჭებმა“ რაზმს იარაღი აჰყარეს, თავად გულუა კი დაატყვევეს.

— ვისგან მიიღეთ სოხუმის დატოვების ბრძანება? — ჰკითხა ლოთი ქობალიამ მოწმეს.

— არავისგან. აფხაზი სეპარატისტები გვიტევდნენ, ჩვენ ბრძოლებით ვიხევდით უკან.

— მაინც, როდის გამოხვედით სოხუმიდან?

— სოხუმიდან გამოვედით მაშინ, როცა იქ უკვე აღარავინ იყო. მარტო ჟიული შარტავა დარჩა.

— არ გიფიქრიათ მასთან დარჩენა?

— ჩვენ არ გვევალებოდა მისი დაცვა.

— კაცი მიატოვეთ და მერე მოკლეს, — ახლა ჯამბულ ბოკუჩავამ უსაყვედურა მოწმეს.

— თქვენც მიატოვეთ, — უთხრა მოსამართლე ალექსანდრე ალადაშვილმა განსასჯელს.

— ის ჩემი ცეკობარი არ იყო და...

დიახ, ჟიული შარტავა არ იყო ჯამბულ ბოკუჩავას ცეკობარი, არც ლოთი ქობალიასი, არც აკაკი ელიავასი...

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა განსასჯელები, ხანდახან მათი ადვოკატებიც და საზოგადოებრივი დამცველებიც საყვედურობენ აფხაზეთის ომის მონაწილეებს, განსაკუთრებით სამთავრობო ჯარების ხელმძღვანელებს იმის გამო, რომ ჟიული შარტავა გაწირეს, მიატოვეს, სეპარტისტებს მოაკვლევინეს...

ნათქვამია, გაღმა შეედავე და გამოღმა შეგრჩებაო.

მთელმა საქართველომ ნახა ის ვიდეოფირი, სადაც ჟიული შარტავა სისხლგამშრალი, ყელგამოწეული ეხვეწება ტელეფონით აქეთ თავისი მებრძოლებით მხართეძოზე წამოწოლილ აკაკი ელიავას: — მოგვეხმარეთ, გვიშველეთ! ცივი უარი, მტკიცე ულტიმატუმი: — ეს გაანთავისუფლეთ, ის გაუშვით. მანდედან გამოდით. იქ წადით... რა დროს ეგენია. სოხუმი ეცემა, საქართველო მარცხდება! კვლავ ცივი უარი, კვლავ მტკიცე ულტიმატუმი.

როგორც ჩანს, ეს ვიდეოფირი „არ უნახავთ“ არც განსასჯელებს და არც მათ ქომაგებს. ამიტომ იმ კითხვის პასუხად, თუ ვინ გაწირა ჟიული შარტავა, 6 აგვისტოს სასამართლო პროცესზე მოიტანეს ის კასეტა და განსასჯელებსა და დარბაზში მსხდომთაც ჩაურთეს ვიდეოფირი. აჩვენეს ის ეპიზოდი, სადაც ჟიული შარტავა ტელეფონით ემუდარებოდა შველას აკაკი ელიავას... მაგრამ ამაოდ!

ბადრი იაშვილი.

პრეზიდენტი კლინტონი:

ტერორიზმი ყველა ქვეყნის უშიშროებას ემუქრება

ეს განაცხადა ვაშინგტონის უნივერსიტეტში გამოსვლისას აშშ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა და თქვა, რომ შეერთებულმა შტატებმა უკვე შეიმუშავა ტერორიზმის წინააღმდეგ სამ ფრონტზე ბრძოლის სტრატეგია. პირველი მათგანი — საერთაშორისო — ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ მდებარეობს, სადაც ამერიკის სპეცსამსახურები აფართოებენ თანამოქმედებას და ინფორმაციის გაცვლას სხვა ქვეყნების სამართალდამცველ ორგანოებთან.

„ჩვენი სტრატეგიის მეორე ნაწილი ის არის, რომ ამერიკის სამართალდამცველ ორგანოებს მივანიჭოთ ყველა ფართო უფლებამოსილებანი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“, — თქვა პრეზიდენტმა.

და ბოლოს, ტერორიზმთან ჩვენი ბრძოლის მესამე ფრონტი გადის აეროპორტებსა და თვითმფრინავებში, — დასძინა პრეზიდენტმა.

როგორც ცნობილია, პრეზიდენტი კლინტონი მოითხოვს უცხოეთის კომპანიებს აეკრძალოთ საქმიანი ოპერაციები ლიბიასა და ირანში, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ მიღებულ იქნება სანქციები.

ბუნებრივია, ამას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. კერძოდ, საფრანგეთის საქმიანი წრეები ოფიციალური სიფრთხილით რეაგირებენ სანქციების მუქარაზე იმ კომპანიების მიმართ, რომელთაც ინვესტიციები აქვს ირანსა და ლიბიაში. საფრანგეთში ეს მუქარა ეხება უწინარეს ყოვლისა ნავთობის ჯგუფს „ტოტალს“, რომელსაც 600 მილიონი დოლარი უნდა დაებანდებინა ირანის ოფშორული ნავთობის საბადოს განვითარებაში.

პარიზის საქმიან წრეებში ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ ვაშინგტონის ანტიირანული დემარში დაძაბულობას იწვევს მსოფლიო ნავთობის ბაზარზე, რომელმაც კრიზისს ნავთობის ფასების ზრდით უპასუხა. მაგრამ ბილ კლინტონი მტკიცედ ადგას ტერორიზმთან საყოველთაო ბრძოლის პოზიციას და სულ უფრო მეტ მომხრეს იკრებს.

აშშ საელჩო გვატყობინებს

საზღვარგარეთ

ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები

უშიშროების საბჭო ფრენას უკრძალავს ლიბიის პრეზიდენტს

1992 წლის აპრილში საბჭომ შემოიღო სანქციები, რომლებიც წყვეტდნენ ლიბიის ყველა საჰაერო კავშირებს. ეს გამოიწვია კადაფის უარმა ეთანამშრომლა შეერთებულ შტატებთან და დიდ ბრიტანეთთან მათთვის ლიბიის ორი მოქალაქის გადაცემის საკითხში, რომლებიც ეჭვმიტანილნი იყვნენ კომპანია „პან-ამის“ 103 რეისის თვითმფრინავის აფეთქებაში და, აგრეთვე, ეთანამშრომლა საფრანგეთთან „იუტას“ ავიაკომპანიის თვითმფრინავში მომხდარი აფეთქების გამოძიებაში. სანქციები ძალაში იქნება მანამ, სანამ ლიბია არ დათანხმდება ითანამშრომლოს სამ აღნიშნულ სახელმწიფოსთან, არ გადაიხდის კომპენსაციას და „კონკრეტული საქმეებით“ არ ცხადყოფს, რომ მან შეწყვიტა ტერორისტული საქმიანობა და ტერორისტული ჯგუფებისადმი დახმარება. 1993 წლის ნოემბერში საბჭომ გაამკაცრა თავდაპირველი სანქციები. გაუყინა ტრიპოლის კაპიტალები და ემბარგო დაუწესა ლიბიის ნავთობის მრეწველობისათვის მოწყობილობის შეტანას.

ამა წლის 31 ივლისს უშიშროების საბჭომ „დაბეჯითებით ურჩია“ ლიბიის ხელმძღვანელს მუამარ კადაფის არ შეეცადოს თვითმფრინავით ლიბიიდან გაფრენას ან ლიბიაში დაბრუნებას გაეროს სანქციის საწინააღმდეგოდ.

კადაფიმ საბჭოს შეატყობინა, რომ განზრახული აქვს გამოიყენოს ლიბიის ავიაკომპანიის თვითმფრინავი, როცა მას დასჭირდება მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში გაფრენა და, რომ იმ სახელმწიფოთა მეთაურებს, რომელთაც სურთ ლიბიაში ჩასვლა, უფლება აქვთ გამოიყენონ საკუთარი თვითმფრინავები ნაცვლად სახმელეთო ტრანსპორტისა.

საჰაერო გაფრენების თაობაზე კადაფის წერილის საპასუხოდ საბჭომ აღნიშნა, რომ იგი კადაფის განზრახვას მიიჩნევს როგორც „მიუღებელს“, ლიბიის მიმართ შემოღებული ფრენის აკრძალვისადმი „აშკარად შეუსაბამოს“ და „დაბეჯითებით ურჩევს ლიბიის ხელმძღვანელობას თავი შეიკავოს ამ განზრახვის შესრულებისაგან“. ასეთი მოქმედება გამოიწვევს დამატებითი სანქციების შემოღებას, ნათქვამია უშიშროების საბჭოს განცხადებაში.

საბჭოს წარმომადგენელმა ალან დეჟამემ (საფრანგეთი) თქვა, რომ დახურულ სხდომაზე საბჭომ კვლავ დაადასტურა 748 რეზოლუციის დებულებები ლიბიის წინააღმდეგ სანქციების შემოღების თაობაზე. საბჭოს წევრებმა შეგვახსენეს ამ რეზოლუციის პირობები, რომელთა შესაბამისად სახელმწიფოები ვალდებული არიან „უარი უთხრან ნებისმიერ საჰაერო საშუალებას აფრინდეს, დაჯდეს ან გადაიფრინოს მათ ტერიტორიაზე, თუ იგი აპირებს დაჯდეს ლიბიის ტერიტორიაზე ან იქიდან აფრინდა“. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ ჰუმანიტარული მიზეზებით, — შეატყობინა დეჟამემ რეპორტიორებს საბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ.

გაფრთხილება საბჭოს მხრივ მოჰყვა იმას, რომ ივნისში კადაფი გადაფრინდა კაიროში არაბულ სახელმწიფოთა ხელმძღვანელების შეხვედრაზე.

გამომგონებლები — ტერორიზმთან ბრძოლაში

ახალი ანტიტერორისტული ზომები

31 ივლისს აშშ ვიცე-პრეზიდენტმა გორმა გამოაცხადა, რომ ამერიკის პატენტების სამმართველო აპირებს დააჩქაროს ტერორიზმის შემაკავებელი ან თავიდან ასაცილებელი გამოგონებათა განხილვა.

დალასის საერთაშორისო აეროპორტის მუშაკებთან შეხვედრაზე, რომელიც მიზნად ისახავდა აეროპორტის უსაფრთხოების სისტემის გაცნობას და მისი გაუმჯობესების თაობაზე აეროპორტის მუშაკთა შეხედულებების მოსმენას, ვიცე-პრეზიდენტმა ალბერტ გორმა განაცხადა, რომ პრეზიდენტ კლინტონს და მას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ებრძოლონ ტერორიზმს მიუხედავად იმისა, თუ სად იჩენს თავს იგი, მაგრამ განსაკუთრებით კი იქ, სადაც იგი საფრთხეს უქმნის ამერიკელებს. დღევანდელი განცხადება, — თქვა მან, — იმის გარანტიაა, რომ ტერორიზმთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდები განხილულ იქნება პირველ რიგში და ისინი, ვინც იბრძვის ამ ბოროტების წინააღმდეგ, მიიღებენ ამ ბრძოლის ყველაზე საიმედო საშუალებებს.

წინა კვირაში პრეზიდენტმა კლინტონმა დაავალა ვიცე-პრეზიდენტ გორს სათავეში ჩაუდგეს საჰაერო ტრანსპორტზე უსაფრთხოების ახლადშექმნილ კომისიას, რომელიც იმუშავებს აეროპორტებსა და საჰაერო ხომალდებში უსაფრთხოების საკითხებზე და ავიადისპეტჩერების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე. ვიცე-პრეზი[illegible] საკითხებზე მუშაობა ჯერ [illegible] წლის წინათ დაიწყო ფ[illegible]რი მთავრობის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების ფართომასშტაბიანი კამპანიის ჩარჩოებში.

„ამერიკის შეერთებული შტატების საჰაერო ტრანსპორტზე უსაფრთხოების დონე ყველაზე მაღალია მსოფლიოში. მაგრამ ჩვენ ვერ შევჩერდებით და არც შევჩერდებით ამაზე. ეს კომისია იმუშავებს საჰაერო ტრანსპორტზე უსაფრთხოებისადმი ახალი მიდგომის შემუშავებაზე“ — თქვა გორმა.

საქართველოში აშშ საელჩოს საინფორმაციო ბლოკის მასალები იბეჭდება შემოკლებით.

ჩვენი პარიზელი კორესპონდენტისგან

კორუფცია და მეხუთე რესპუბლიკის მართლმსაჯულება

ლიონის მეორე ინსტანციის სასამართლომ ალან კარინიონს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და იმავ საღამოს, გრენობლის ყოფილი მერი საკუთარი ფეხით გამოცხადდა ვილფრანშის საპატიმროში, სადაც იგი დაელოდება საკასაციო სასამართლოს განაჩენს. ამ უკანასკნელმა ბერნარ ტაპის სარჩელი უკუაგდო და ბუშ-დე-რონის და ევროპარლამენტის დეპუტატს ისღა დარჩენია, ევროპის სასამართლოს მიმართოს. ჟაკ ტუბონმა, იუსტიციის მინისტრმა და სახელმწიფო ბეჭდის მცველმა უმალ აღძრა საქმე საკონსტიტუციო საბჭოსა და პრემიერ-მინისტრის წინაშე (კონსტიტუციის შესაბამისად) ტაპისათვის დეპუტატობის მანდატის აყრის თაობაზე.

არანაკლები სკანდალია ატეხილი საფრანგეთის ეროვნული სარკინიგზო კომპანიის (SNCF) ყოფილი პრეზიდენტის, ლოიკ ლე ფლოშ-პრიჟანის გარშემო. ეს უკანასკნელი 5 ივლისს, ღამის პირველ საათზე დააპატიმრეს და ცნობილი „ლა სანტეს“ სატუსაღოში მიაბრძანეს. მას ბრალად ედება საზოგადოებრივი ქონების გაფლანგვა და ნდობის ბოროტად გამოყენება. 1988-1993 წლებში, როცა კომპანია „ელფ-აკიტენს“ (საფრანგეთის ნავთობპროდუქტების უმსხვილესი კონსორციუმი) თაოსნობდა, ბიდერმანის ჯგუფს (საფრანგეთის უმსხვილესი საფეიქრო კონცერნი) „დახმარების“ სახით 787 მილიონი ფრანკი (დაახლოებით 161 მილიონი დოლარი) გადაურიცხა (დაკითხვაზე თავი იმართლა, მთავრობის მითითებას ვასრულებდიო და გულისხმობდა სოციალისტურ მთავრობას), რაც მართლმსაჯულებას საეჭვოდ მიაჩნია. აღსანიშნავია, რომ თვით ბატონი ბიდერმანი, მაისის ბოლოდან დატუსაღებული, სულ ცოტა ხნის უკან გამოუშვეს, ხოლო თვითონ ლე ფლოშ-პრიჟანი იძულებული შეიქმნა, მას მერე, რაც დროებითი პატიმრობა გაუგრძელეს, გადადგომის წერილით მიემართა პრეზიდენტ შირაკისათვის.

ბოლო კვირის ყველაზე დიდი სკანდალი მაინც ხმელთაშუაზღვისპირეთის მარგალიტის, ქალაქ კანის მერის მიშელ მუიოს წილად მოდის.

უკვე 15 დღეზე მეტია, რაც კინოფესტივალების ქალაქის პირველი მაგისტრატი დრაგინიანის (ალპ-მარიტიმის დეპარტამენტი) ციხეში ათევს ღამეს. მას ბრალად ედება ე. წ. „პასიური კორუფცია“, რაც გამოიხატა შემდეგში: კანის ერთ-ერთი ფეშენებელური სასტუმროს „კარლტონის“ მესვეურებმა, არსებული ფინანსური სიძნელეებისაგან თავის დაღწევის მიზნით (საკუთრივ „კარლტონ-კლუბის“ შტაბ-ბინა ლონდონშია) მოინდომეს თავიანთ კაზინოში ფულის ავტომატების დამონტაჟება. მსგავს აქციას, როგორც წესი, ქალაქის მუნიციპალიტეტმა უნდა მისცეს მწვანე შუქი. ჰოდა, რესპუბლიკური პარტიის ერთგულმა წევრმა მიშელ მუიომ ამ გარიგებაში 3 მილიონი ფრანკი (600 ათასი დოლარი) მოითხოვა. „კარლტონ კლუბის“ მესვეურებმა, არც აციეს, არც აცხალეს, კანის მერი უმალ „ჩააგირავეს“ ადგილობრივი სასამართლო პოლიციის შესაბამის სამსახურებთან. ეს უკანასკნელნი დაუკავშირდნენ „სკოტლანდიარდელ“ კოლეგებს, რადგან სწორედ ლონდონში უნდა გადაეცათ მიშელ მუიოს ემისრებისათვის ფულით დატენილი ჩემოდანი. აღნიშნული ოპერაცია, როგორც მოგვიანებით გაირკვა, საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, ჟან-ლუი დებრეს უშუალო მეთვალყურეობით მიმდინარეობდა. ოპერაციის შედეგად დააპატიმრეს „მატერიალური სამხილით“ მუიოს სამი ემისარი, აგრეთვე მისი საკუთარი ვაჟი (რომელიც 48 საათის პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს), მერის კაბინეტის დირექტორი და პირადი მდივანი. კანის მერის დამცველები ყველაფერს პოლიტიკურ ინტრიგებს აბრალებენ და გადაკვრით მიუთითებენ, რომ საფრანგეთის დღევანდელ სახელმწიფო მეთაურს მაინცდამაინც არ მოსდიოდა თვალში „ხმაურიანი და თავმომწონე სიუდისტი“, რომელიც უ. დ. ფ.-ის (ფრანგთა კავშირი: რესპუბლიკური პარტიის ცენტრისტული ფრაქცია) დღევანდელი თავმჯდომარის, ბალადიურის მთავრობის ყოფილი თავდაცვის მინისტრის, ფრანსუა ლეოტარის ერთ-ერთი ახლო მეგობარი და თანამზრახველია.

დაკითხვაზე მიშელ მუიომ „აღიარა“, რომ ამ შემთხვევაში მას არ ამოძრავებდა პირადი გამდიდრების სურვილი, არამედ უნდოდა „საჩუქარი“ გაეკეთებინა რესპუბლიკური პარტიისათვის.

არაკანონიერი შემოსავლებით პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას არაერთგზის გაუჩენია თავსატეხი სამართალდამცავი ორგანოებისათვის. თავის დროზე მსგავს აფიორაში იყო გაბმული ანრი ემანუელი, სოციალისტური პარტიის ყოფილი პირველი მდივანი და ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარე სოციალისტების მმართველობის პერიოდში.

არანაკლებ საფიქრალში ჩააგდო რ. პ. რ.-ის (გაერთიანება რესპუბლიკისათვის: დღევანდელი მმართველი მემარჯვენე პარტია) მესვეურები სასამართლო გამომძიებელმა ერიკ ალფენმა, როცა იგი ო-დე-სენის დეპარტამენტის საბინაო ოფისის ყალბი ფაქტურების საქმის გამოძიებას შეუდგა (აქვე აღვნიშნავთ, რომ დღეს სასამართლო გამომძიებელი საფრანგეთში ლამის ღმერთთან გაიგივებული მცნებაა, რომელიც შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობს. ასე მაგალითად, ერთ სასამართლო გამომძიებელს საჭირო შემთხვევაში ძალუძს მობილიზაცია გაუკეთოს 1500 პოლიციელს და ა. შ.). იმდროინდელი საბინაო ოფისის შეფი, ხოლო გამოძიების პერიოდში ზემოაღნიშნული დეპარტამენტის გენერალური საბჭოს მრჩეველი დიდიე შულერი (იგი დიდად მეგობრობდა მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრთან შარლ პასკუასთან) დღეს ცოლ-შვილითურთ უკვალოდ არის გამქრალი, თუმცა საერთაშორისო ორდერი მის დასაპატიმრებლად კარგა ხანია გაცემულია. ამბობენ, რომ რ. პ. რ.-ის ლიდერებს სრულებითაც არ აძლევთ ხელს მისი დაპატიმრება, ვინაიდან იგი ამ პარტიის ე. წ. „ოკულტური დაფინანსების“ (ფრანგების ტერმინია-ვ.ზ.) წყაროებში ყველაზე ღრმად ჩახედული ფიგურაა.

საზოგადოებრივი ქონების ბოროტად გამოყენებისა თუ გაფლანგვის, გამოძალვისა თუ ყალბი ფაქტურების ისტორიებს კიდევ ბევრი „რაინდის“ კარიერა შეეწირა. მათ შორის არის ჟერარ ლონგე (ბალადიურის მთავრობის ყოფილი მრეწველობის მინისტრი) და „ალკატელ ალსტომის“ (საფრანგეთის მესამე ინდუსტრიული ჯგუფის) პრეზიდენტი და გენერალური დირექტორი პიერ სიუარი.

ვლადიმერ ზარიძე,
„სრ“ საკ. კორ.
პარიზი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ №159.

(დასასრული იქნება)

ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის განთავსებულ იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საყურადღებოდ, რომლებიც ახორციელებენ მოსახლეობასთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებას

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 13 აპრილის №272 ბრძანების შესაბამისად საკონტროლო სალარო აპარატების დადგმა უნდა განხორციელდეს მ/წ პირველ სექტემბრამდე, რომლის შესახებ თქვენ ინფორმირებული ხართ რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მიერ და მიღებული გაქვთ ასეთი აპარატების ექსპლუატაციისათვის სახელმძღვანელო დოკუმენტთა კრებული.

სათანადო სალარო აპარატების შეძენა შეგიძლიათ შემდეგ მისამართებზე:
„ელკა" — ჯიქიას ქ. №5 ტ. 31-44-84;
„ერა" — ალექსიძის ქ. №10 ტ. 36-32-21;
„ოლიმპია", „სამსუნგი" და „შარფი" — ქარხანა ალიონი, თემქის დასახლება. ტ. 60-84-37;

სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონში კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ მ/წ პირველი სექტემბრიდან სალარო აპარატის დაუდგმელობის შემთხვევაში მეურნე სუბიექტის მიმართ გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

სახელმწიფო საგადასახო ინსპექცია მთაწმინდის რაიონში.

მონადირეთა საყურადღებოდ

ნადირობის ვადები 1996-1997 წლების სანადირო სეზონისათვის

საქართველოს სამონადირეო სავარგულებში ნადირობა ნებადართულია შაბათობით, კვირაობით და უქმე დღეებში.

გადამფრენ ფრინველებზე (მწყერი, მტრედი, ქედანი, გვრიტი, გოჭა (დუპელი), ჩიბუხა (ბეკასი), ტყის ქათამი, ღალღა, ყველა სახის იხვი, მელოტა) – 17 აგვისტოდან 1 მარტამდე.

შენიშვნა:

ა) დასავლეთ საქართველოში მწყერზე ნადირობა, როგორც გამონაკლისი ნებადართულია ყოველდღიურად.

ბ) დმანისის, წალკის, ნინოწმინდის და ახალქალაქის რაიონებში ნადირობა დაიშვება 7 სექტემბრიდან 1 მარტამდე.

მტაცებელ ნადირზე (მგელი, ტურა, გარეული კატა, მაჩვი, ენოტი, ენოტისებრი ძაღლი) – 17 აგვისტოდან 1 მარტამდე.

ერთ ნადირობაზე მონადირეს ნება ეძლევა მოიპოვოს წყალმცურავი ფრინველი საერთო რაოდენობით არა უმეტეს 10 ცალისა, მწყერი – არა უმეტეს 15 ცალისა. ტყის ქათამი – არა უმეტეს 10 ცალისა, დანარჩენი ნებადართული ფრინველები არა უმეტეს 10-10 ცალი.

კატეგორიულად აკრძალულია ნადირობა სახელმწიფო ნაკრძალებში, ალკვეთილებში და აულებელ ნათესებში.



გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო

თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი

აცხადებს

მიღებას 1996-1997 სასწავლო წლისათვის დღის, საღამოსა და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა (იურიდიული). 2. ქართული ენა და ლიტერატურა. 3. ისტორია. 4. ჟურნალისტიკა (ტელე-რადიო ჟურნალისტი). 5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა (მარკეტინგი, მენეჯმენტი, საერთაშორისო ეკონომიკური ექსპერტი). 6. საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი. 7. ფინანსები და კრედიტები. 8. საფინანსო მეურნეობის ორგანიზაცია და მართვა. 9. საბანკო საქმე. 10. აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკა და მართვა. 11. მათემატიკა. 12. უცხო ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული, არაბული და იტალიური ენები). 13. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა. 14. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა – ფსიქოლოგია.

გათვალისწინებულია მოწინავე სტუდენტების საზღვარგარეთის ქვეყნებში სტაჟირება.
სწავლა დაიწყება 2 სექტემბრიდან.
საბუთები მიიღება ყოველდღე გარდა კვირისა
10 საათიდან 17 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი – 380002, დოდო აბაშიძის
(ყოფილი მეჩნიკოვის) ქუჩა №4;
თბილისის 37-ე საშუალო სკოლა (მეტრო "მარჯანიშვილთან").

ტელეფონები: 95-27-07 17 საათამდე.
17 საათის შემდეგ – 38-00-83, 51-67-67, 62-05-07.

სააქციო საზოგადოება „ბამბის ნართის" აქციონერთა საყურადღებოდ!

მიმდინარე წლის 27 აგვისტოს 14 საათზე ს/ს „ბამბის ნართის" (სართავი ფაბრიკის) სხდომათა დარბაზში მოწვეულია ამ საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება.

მისამართი: ტრიკოტაჟის ქ. №3
აქციონერთა დასწრება სავალდებულოა.

1996 წლის 24 აგვისტო, დღის 11 საათზე, შედგება სააქციო საზოგადოებას „ზუგდიდის ფაიფურის" აქციონერთა კრება.

დღის წესრიგი:
❖1. წესდების მიღება;
❖2. მეთვალყურეთა საბჭოს არჩევნები.
აქციონერებს გთხოვთ დაესწროთ
ს/ს ზუგდიდის ფაიფურის დირექცია

მისამართი: ზუგდიდი, ახალგაზრდობის ქ. №1.

ბინები, აგარაკები

მსურს ვიქირავო ოროთახიანი ან სამოთახიანი ბინა ვაკეში ან ვერაზე. ტელ: 93-34-04 დღისით; 23-28-00 საღამოს.

იყიდება კერძო, ერთოთახიანი ბინა, რომლის ფართია 25 კვ. მ. ბინას აქვს მიშენებული რკინის კარკასი ერთი ოთახისთვის 15 კვ. ფართობით. ბინას აქვს ეზო, რომლის ფართია 1000 კვ. მეტრი. მისამართი: გურამიშვილის გამზირი, 72, ჩიხი № 10, (მე-8 საავადმყოფოს გაჩერების მოპირდაპირე მხარეს). ფასი შეთანხმებით. მოგვაკითხეთ 12-18 საათამდე შაბათ-კვირის გარდა.

ვაქირავებ ბინას ქალაქის ცენტრში, ფართი 200 კვ. მ. შვიდი ოთახით. მისამართი: გრიბოედოვის ქ. №25, მე-2 სართული. ტელ: 93-69-47 ან 93-60-23.

ვყიდი სამოსახლო მიწის ნაკვეთს მცხეთის რაიონის სოფ. ძეგვში. საერთო ფართობი 2.500 კვ. მ. 200 კვ. მ-ზეა მსხმოიარე ხეივანი, გაშენებულია ხეხილის ბაღი (90 ძირი). ნაკვეთს აქვს საკუთარი სარწყავი სისტემა, ელექტროგაყვანილობა, სამანქანო გზა მოხრეშილია. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-12-91.

იყიდება დიდ დიღომში თოთხმეტსართულიანი სახლის მეათე სართულზე ოროთახიანი ბინა, სარდაფით, ტელეფონით. ფასი — 11.000 დოლარი. მისამართი: დიდი დიღომი, იოანე პეტრიწის 12, ბინა 120. ტელ: 62-07-07 საღამოს საათებში, სამსახურის 36-88-37. იკითხეთ ნუნუკა.

ვყიდი ან ვცვლი 600 კვ. მ. სააგარაკო ხეხილიან ნაკვეთს გარემონტებული, ბელეტაჟიანი ბინით მცხეთის რაიონის სოფ. ნაფეტვარში (უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან 5 კმ-ზე), გაცვლა — ერთოთახიან ბინაზე თბილისში. ფასი — შეთანხმებით. ტელ: 51-35-04.

ვცვლი ან ვყიდი აგარაკს მამკოდაში (სოფელ გლდანიდან 4 კმ-ის დაშორებით) თბილისში ერთოთახიან ბინაზე. აგარაკი ორსართულიანია მანსარდით, ორი აივნით, ეზო 700 კვ. მ. ფასი — შეთანხმებით. ტელ:
34-23-67. ჯონი.

იყიდება სამოთახიანი, არასტანდარტული პროექტის, გარემონტებული ბინა დოლიძის ქუჩაზე — სარდაფით, საკუჭნაოთი, აქვს ტელეფონი და საკაბელო ტელევიზია. ბინა 16-სართულიანის სახლის ბელეტაჟიან პირველ სართულზეა. ფასი — 45 000 დოლარი. ტელ.
36-22-27 ან 39-43-66.

იყიდება ოროთახიანი ჩეხური პროექტის ბინა, სუფთა მდგომარეობაში, რკინის კარებით. გაკეთებული აქვს სანტექნიკა, ელექტროგაყვანილობა, გამოცვლილი აქვს კარფანჯარა. ფასი — შეთანხმებით. მისამართი: მუხიანის დასახლება, მე-3 მ.რ. მე-17 კორპ. მე-5 სადარბაზო, მე-7 სართ. ტელ. 63-70-04, გიორგი.

იყიდება ბალანჩივაძის ქ. (ხილიანზე) 4 ოთახიანი არასტანდარტული ბინა. საუკეთესო ადგილზე. მანქანის დასაყენებელი ადგილით. ფასი რეალურია. ტელ:
23-51-81, 36-74-55.

ვაქირავებ 2-ოთახიან ბინას აღმაშენებლის პროსპექტზე ოფისისათვის. საწყისი ფასი 300 დოლარი ერთ წლის თანხის წინასწარი გადახდით, ან ვყიდი 18.000 დოლარად. ბინა ყოველმხრივ კეთილმოწყობილია, ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 96-34-31, 95-09-86.

იყიდება ორსართულიანი სახლი სოფელ დიღმის ცენტრში. სახლს აქვს 300 კვ. მეტრი ხეხილიანი ბაღი, მოშორებით 1200 კვ. მეტრი ნაკვეთი. დაგვირეკეთ: 34-21-68.

იყიდება ხუთოთახიანი ბინა საბურთალოს ცენტრში, იოსებიძის ქუჩაზე 3+1+ დამთავრებული მინაშენი, მესამე სართულზე, სარემონტო, სარდაფითა და ტელეფონით, სამზარეულო 15 კვ.მ. საერთო ფართი 140 კვ. მ. ჭერი 2 მ. 75 სმ. ფასი 45.000 დოლარი ან 57.000 ლარი.
დარეკეთ ტელ: 36-34-77 ან 98-87-26, იკითხეთ თემო.

ვყიდი წყნეთში კიროვის ქუჩაზე ერთოთახიან (22 კვ. მ.) იზოლირებულ ბინას შემინული ლოჯიით (12 კვ. მ.), სამზარეულოთი, აბაზანატუალეტით, აივნით II სართულზე. ფასი 18.000 ლარი, ტელ. 22-43-28, თემური.

ვყიდი სახლს სოფელ ბურიანში (მცხეთასთან), 2000 კვ. მ. ხეხილის ბაღით, სასმელი წყალი, ელექტროენერგია მუდმივად არის. 160 კვ. მ. საცხოვრებელი ფართით, ფასი — შეთანხმებით, ტელ. 68-00-56, რომანი ან ნელი.

ვყიდი ერთოთახიან ბინას გამსახურდიას გამზირზე, მე-2 კვარტ. მე-7 კორპ. მე-8 სართ. ჭერის სიმაღლე 2 მეტრი 75 სანტიმეტრია. სამზარეულო აივანზეა გატანილი, შესასვლელში ჩაშენებულია კარადა. ბინა საჭიროებს მხოლოდ კოსმეტიკურ რემონტს. არის მანქანის ფარეხის ადგილი. ბინას აქვს მიშენების პერსპექტივა. ფასი 12.000 დოლარი. ტელ. 38-35-82

იყიდება 3-ოთახიანი კარგად გარემონტებული ბინა, ტელეფონით, კაპიტალური ავტოფარეხით და სარდაფით 8 სართულიანი სახლის მე-3 სართულზე მეტრო „ღრმაღელესთან".
ტელ. 61-52-82. იკითხეთ დევი ან მარიკა.

იყიდება ორსართულიანი, გარემონტებული სახლი ქ.წყალტუბოში. აქვს ტელეფონი, ეზო და მიწის ნაკვეთი. ტელ: 60-62-14, იკითხეთ დათო.

იყიდება ერთოთახიანი ბინა ვაკეში, ირაკლი აბაშიძის (ყოფილი ბარნოვის) ქუჩის №62-ში. ტელ:
22-22-48.

ვყიდი ოროთახიან, გარემონტებულ, იზოლირებულ ბინას, რომელსაც აქვს 20 კვადრატი მეტრი ლოჯია, ტელეფონი, სარდაფი, მანქანის სადგომი. ბინა არის მე-2 სართულზე. მისამართი: დიღმის მასივი, მე-6 კვარტალი, მე-2 კორპუსი, მე-3 სადარბაზო, ბინა 30. ფასი შეთანხმებით. ტელ: 51-07-44 ან 51-58-21. იკითხეთ ლალი, ლევანი.

ვყიდი ჩეხური პროექტის სამოთახიან ბინას, მეექვსე სართულზე. მისამართი: ვარკეთილის 3, მე-4 მიკრორაიონი, 403 კორპუსი, მე-13 სადარბაზო, ბინა 220. ტელ: 98-96-23. იკითხეთ მანანა.

ვყიდი ერთოთახიან ლოჯიან ბინას ათსართულიანი, ექსპერიმენტული სახლის მე-8 სართულზე, ღია აივნით, ტელეფონით, რკინის კარებით. ოთახი 20, ლოჯია 18, სამზარეულო 8 კვ. მ. ჭერის სიმაღლე 3 მეტრი. (მეტრო დელისთან). ტელეფონი 22-46-66. ლენა.



ვაქირავებ ოროთახიან, იზოლირებულ ბინას ავეჯის ნაწილით მეტრო ვარკეთილთან ახლოს. ფასი 50 დოლარი. ტელ: 99-53-25 ან 99-62-57. კობა, დარეკეთ სამუშაო საათებში.

ვაქირავებ საბურთალოს ქუჩაზე არსებულ ოთხსართულიანი სახლის ნახევარ სარდაფს 50 კვ. მ. ფართობით, რომელიც გამოდგება საწყობად, ოფისად, პატარა წარმოების მოსაწყობად, განსაკუთრებით სასაწყობოდ. აბსოლუტურად დაცულია გაჟურდვისაგან, მშრალია და ქუჩისპირაა. დარეკეთ ტელ. 39-49-60.

ვყიდი საბურთალოს ბაზრის უკან, გოთუას ქუჩაზე სამოთახიან არატიპიურ ბინას 8-სართულიანი სახლის მე-4 სართულზე. ბინას აქვს ორი აივანი, კედლის კარადა, სარდაფი, ტელეფონი, ავტოსადგომი. მისი საერთო ფართი 80 კვ. მ. ფასი 28 ათასი დოლარი. ტელ 98-42-79 ან 37-42-20. ნანა.

ვყიდი ოროთახიან ბინას ვაჟა-ფშაველას გამზირზე მე-3 კვ. პირველ კორპუსში, მე-5 სადარბაზოს მეხუთე სართულზე. ბინას აქვს ტელეფონი, ფასი 14 ათასი დოლარი. ბინა პრივატიზებულია. ტელ: 31-18-80. სანდრო.

ვაქირავებ ერთოთახიან ბინას დიღმის მასივში მე-2 კვ. მე-11 კორპ-ს №52-ში. დარეკეთ 34-41-74 ან 34-41-91. იკითხეთ ლია ყოჩიაშვილი.

იყიდება ხუთოთახიანი ბინა 16-სართულიანი სახლის მე-8 სართულზე. ყველა ოთახი იზოლირებულია, აქვს ორი სველი წერტილი, გარემონტებულია კარგად. აქვს ორი აივანი და სარდაფი, მუშაობს ლიფტი, ფასი შეთანხმებით. დაგვირეკეთ: ტელ. 98-83-10, ყოველდღე დილის 10 საათიდან 20 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა.

ვყიდი პრივატიზებულ არასტანდარტულ, სამოთახიან, იზოლირებულ ბინას ქალაქის ცენტრში, მერიის გვერდით, დადიანის ქუჩაზე. ფასი 32 ათასი დოლარი. დარეკეთ ტელ: 93-54-90 საღამოს 18 საათის შემდეგ.

ვყიდი სახლს წავკისში, რომელიც არის კაპიტალური, ორსართულიანი, მანსარდიანი შენობა, აქვს დიდი ეზო, ხეხილი, მდებარეობს რკინიგზის სადგურთან ახლოს. ფასი 18 ათასი დოლარი. ტელეფონი: 66-29-76 თამრიკო, საღამოს 8 საათის შემდეგ.

ვყიდი 166 კვ. მ. საერთო ფართობის მაღალჭერიან, ხუთოთახიან ბინას მეტრო დელისის ტერიტორიაზე. ბინა ნახევრადგარემონტებულია. ან გავცვლი სამოთახიან, არასტანდარტულ, გარემონტებულ ბინაზე, საბურთალოს მიდამოებში. დარეკეთ 39-51-96.

იყიდება საცხოვრებელი სახლის პირველ სართული 120 კვ. მ. ფართი ოფისისათვის ან სხვა საჭიროებისათვის, იოსებიძის ქუჩაზე. ტელ: 96-97-39 ვახტანგი, ან 96-94-08 გოგი.

იყიდება ოთხოთახიანი, არასტანდარტული, ჯუთხის ბინა 8-სართულიანი სახლის მე-2 სართულზე, სამმხრივი დიდი აივნებით, საერთო ფართი 130 კვ. მ. საცხოვრებელი კი 72 კვ. მ. ჭერის სიმაღლე 3 მეტრი და 20 სანტიმეტრია. აქვს აბაზანა და ტუალეტი ცალ-ცალკე, სარდაფი და ავტოფარეხი. მისამართი: სიმონ ჩიქოვანის ქ. 16, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული. საწყისი ფასი 80 ათასი დოლარის შესატყვისი ლარი. დამირეკეთ დღისით 17 საათამდე 39-55-86, სხვა დროს 36-47-78.

იყიდება 300 კვ. მ. მიწის ნაკვეთი ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის, პროექტით, კახეთის გზატკეცილზე, ლილოს გადასახვევთან ახლოს. საწყისი ფასი 1500 დოლარი, ტელ: 73-78-24. იკითხეთ თამაზი.

იყიდება ხუთოთახიანი, არასტადარტული პროექტის ახალაშენებული ბინა ატენის ქუჩაზე, ვაკეში (დერჩენილია სამღებრო სამუშაოები) თვრამეტსართულიანი სახლის მეცხრე სართულზე, 220 კმ.მ. საერთო ფართით, ავტოფარეხის ადგილით. საწყისი ფასი 150 000 დოლარი. ტ: 99-72-18 ან 34-16-07. იკითხეთ ბიჭიკო.

იყიდება ახმეტის რაიონში სოფ. ზემო ხოდაშენში ორსართულიანი სახლი ნაკვეთით და ხეხილის ბაღით. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ თელავში, ბახტრიონის ქ.№46. ტელ: 3-15-30. ლენა.

ვაქირავებ 4 ოთახიან იზოლირებულ ბინას 150 კვ. მ. საცხოვრებელი ფართით, ძველი რემონტით, ორი შესასვლელით სადარბაზოდან და ეზოდან, მანქანის გასაჩერებელი ადგილით, 100 კვ. მ. სარდაფით, ბიზნესისათვის. ეზო იკეტება. საწყისი ფასი 1000 დოლარი. ტელ: 96-34-31, 95-09-86.

იყიდება აგარაკი სოფელ გლდანის თავზე, თბილისიდან 10 კმ. დაშორებით, 60 კვ. მ. ეზოთი, მსხმოიარე ხეხილის ბაღით. სახლი ეზოდან ორსართულიანია, ქუჩიდან ბელეტაჟი. წყალი, სინათლე მუდმივადაა, ეზოში აუზია, საწყისი ფასი 15 000 დოლარი, დარეკეთ 51-60-19. გულიკო.

შუა წყნეთში იყიდება ორსართულიანი კორპუსის პირველ სართულზე ოთახნახევრიანი პრივატიზებული, იზოლირებული, ნათელი კუთხის ბინა მიშენების პერსპექტივით. ბინის საერთო ფართია 45 კვ.მ. ბინას აქვს სარდაფის პერსპექტივა იგივე ფართით, ტელეფონით, საბოსტნე და ავტოსადგომის ადგილებით. ფასი 14 ათასი დოლარი. ტელ: 29-86-55 ან 73-78-90.

იყიდება ერთი ოთახი 15 კვ. მ. ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე. აქვს საკუთარი სამზარეულო და აბაზანა. მისამართი ბოჭორიძის ქ. 34 ტელ: 93-34-44, იკითხეთ ციცო. დარეკეთ 11 საათიდან 17 საათამდე შაბათ-კვირის გარდა.

იყიდება კერძო ბინა მთაწმინდაზე ერთი ოთახი 18 კვ. მ. მისამართი კოტე მესხის აღმართი №1, ფასი 6 ათასი დოლარი ან შესაბამისი კურსის ლარი. არის ავტოფარეხის მისაშენებელი ადგილი. ტელ: 98-55-26. იკითხეთ ია.

ვაქირავებ ორსართულიან ბინას ნაძალადევის რაიონში. პირველ სართულზე დამხმარე სათავსოებია. მეორე სართულზე ორი ოთახი და შუშაბანდია ტელეფონით, ეზოთი და კაპიტალური ავტოგარაჟით. ფასი 100 ლარი. ტელ: 66-15-79, 66-36-37, გოგი ან ნინო.

ვყიდი ორსართულიანი სახლის სამოთახიან არასტანდარტულ, კუთხის ბინას აკაკი წერეთლის გამზირზე, მეტრო წერეთლის წინ. ოთახების ფართი 49 კვ. მ. სამზარეულო 15 კვ. მ. აქვს აბაზანა, ორი შემოსასვლელი, ორი სარდაფი და სხვა სათავსოები, ტელეფონი. ფასი 30 ათასი დოლარი. დარეკეთ 6 დან 8 საათამდე. ტელ:34-43-63.

იყიდება სასწრაფოდ ორი სამოთახიანი ბინა ერთმანეთის გვერდით, მარჯანიშვილის თეატრის უკან, უზნაძის № 48-ი. საერთო ფართი 250 კვ. მ. მაღალჭერიანია. აქვს ტელეფონები. ეზოში ორი მანქანის სადგომია. შეიძლება ბინების ცალ-ცალკე გაყიდვაც. ფასი შეთანხმებით. ტელ: 96-00-41.

ვაქირავებ სარდაფს ფურნით. მისამართი: დავით აღმაშენებლის გ. №107. 95-93-47. იკითხეთ ომარ ხარაძე.

იყიდება ფალიაშვილის ქუჩაზე ოროთახიანი ბინა ლოჯით ორსართულიანი სახლის მაღალ ბელეტაჟზე. აქვს ტელეფონი, პატარა ეზო, გაზიც, სარდაფი. ბინის საერთო ფართი 140 კვ. მ. ფასი 85 ათასი ლარია. დარეკეთ ტელ: 22-03-68

იყიდება 400 კვ. მ. ფართის კერძო საცხოვრებელი სახლი ნაძალადევში, გადასასვლელ ხიდთან. ბინას აქვს გარაჟი, ეზო საკუთარი ხიდით თბილისზე. იგი სამეწარმეოდ დასამთავრებელია. დაგვირეკეთ: 96-58-68, ირა ან დოდო.

იყიდება სანზილის ქუჩაზე, ელიავას დასაწყისში ძველი თბილისის ეზოში, ერთსართულიანი სახლში ერთოთახიანი, იზოლირებული ბინა ორი სარდაფით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 71-38-79, მაია.

ვყიდი ან ვცვლი ქუთაისიდან თბილისში, სუფთა ბინას 2-ე სართულზე, ტელეფონით და რკინის კარებით. ტელ: 34-22-59. თამრიკო.

იყიდება სასწრაფოდ აგარაკი, თბილისიდან 17 კილომეტრის დაშორებით (წყნეთში), სახლი კაპიტალურია, 1200 კვ.მ. ეზო ხეხილის ბაღით. წყალი გამოყვანილი ღია აივანზე. ფასი 7 500 ლარი. ტელ: 99-85-14

იყიდება ოროთახიანი ბინა ნუცუბიძის IV-მ/რ დასაწყისში, მეტრო დელისიდან 20 წუთის სავალზე. თუხარელის პროექტი, IX სართულიანი სახლის IX სართული. მანსარდის დაშენების პერსპექტივით, კუთხის, ნათელი ბინა, რკინის კარებით, ტელეფონით. საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს. ფასი 13 ათასი ლარი. ტელ: 29-38-88 გოგი.

ვყიდი ერთოთახიან იზოლირებულ ბინას ხუთსართულიანი სახლის მე-4 სართულზე, აივნით, ტელეფონით, ბინა მდებარეობს დიღმის მასივში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 51-09-50.

იყიდება ორსართულიანი საკუთარი სახლი საერთო ფართი 320 კვ.მ. ეზო 300 კვ.მ. კაპიტალური ავტოფარეხით, ტელეფონით, ეზოში არის მსხმოიარე ვაზი, მარანი.ლოჩინის დასახლება (მუსიკალურ სკოლასთან). ტელ: 34-43-83

ვყიდი ერთოთახიან ბინას, ხუთ სართულიან სახლში V სართულზე. მომატებული ფართი გამოვის სამოთახიანი. მომატებული ფართია საპროექტო ფართის 80 პროცენტი. მისამართი: ნუცუბიძის 74 (31 ატეკის გვერდით). ფასი შეთანხმებით. ტელ: 31-14-17 ზალიკო

იყიდება სოლოლაკში, ლერმონტოვის ქუჩაზე სამსართულიანი კაპიტალურ სახლი, 2 სართულზე, ოროთახიანი 34 კვ.მ. ბინა. 6 კვ.მ. ლოჯიით. ქუჩაში გამავალი ფანჯრებით, პარკეტით. ტელეფონით. ჭერის სიმაღლე 4 მეტრ ნახევარია, ცალკე აქვს სამზარეულო 10 კვ.მ. ვანა-ტუალეტი. ოთახების ქვეშ პირველ სართულზე აქვს 24 კვ.მ. სარდაფი. რკინის კარებით გამავალი ქუჩაში, რომელიც გამოიყენება მაღაზიისათვის, ბარისა და ოფისისათვის. ფასი 25 000 დოლარი. ტელ: 98-95-02 იკითხეთ ლია.

იყიდება ორსართულიანი, ოთხოთახიანი, 120 კვ. მ. საერთო ფართის ბინა, აქვს ეზო (100 კვ. მ.) ტელეფონი, გათბობის სისტემა, წყალი ორივე სართულზე, სხვა აუცილებელი მოწყობილობა. ბინა მდებარეობს მეტრო „ვაგზლის მოედანთან", ცოტნე დადიანის ქუჩის (ყოფ. ოქტომბრის) მხარეს. ფასი 35 000 დოლარი. ტელეფონი 96-79-11.

ვაქირავებ ერთოთახიან, იზოლირებულ ბინას დიღმის მასივში, მეტროსთან ახლოს. გამოდგება ოფისისათვისაც. ფასი თვეში 60 დოლარი. მისამართი: დიღმის მასივი, I კვ. VII კორპ. II სად. ბ. 16. ტელ. 51-25-01.

იყიდება ოროთახიანი ბინა კოსტავას ქუჩის №75-ში, მეხუთე სართულის მე-2 სადარბაზოში. ბინა მაღალჭერიანია და აქვს 24 კვ. მ. ლოჯია. ფასი 27 ათასი დოლარი. ტელეფონი 37-55-14

იყიდება პრივატიზებული, ერთოთახიანი ბინა ანნისხატის უბანში. ცნობისთვის დარეკეთ 98-50-44. იკითხეთ მიმოზა.

იყიდება ერთოთახიანი ბინა გადაკეთებული ერთნახევარ ოთახად. ბინა მე-5 სართულზეა. მისამართი დიღმის მასივი, პირველი კვარტალი, 3 ა კორპუსი, მე-2 სადარბაზო, ბინა 38. აქვს ტელეფონი, რკინის კარები, მოპირკეთებულია კაფელით. დარეკეთ 51-72-23. იკითხეთ მარო, დათო.

იყიდება ოროთახიანი ბინა ორსართულიან სახლის მე-2 სართულზე, ვაკეში, ფალიაშვილის ქ. №64-ში. ოთახები არის 20X20, აქვს 18 კვ. მ. ლოჯია. მოაკითხეთ 22-11-96, იკითხეთ შურიკო.

იყიდება სოფელ გლდანში ორსართულიანი, თეთრი აგურით აშენებული ბინა, რომელიც 170 კვ. მ. საცხოვრებელი ფართით არის. აქვს 900 კვ. მ. მიწის ნაკვეთი, ხეხილით და ბაღით, გარაჟით. ეზოში აქვს ჭაბურღილი მინი ფერმა 2000 ქათმისათვის. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი 72-41-18 ან 51-29-30. იკითხეთ მურაზი საღამოს საათებში.

იყიდება მეტრო სამედიცინო ინსტიტუტთან ოროთახიანი, სარემონტო, სუფთა ბინა. მისამართი ქავშკენტის ქუჩა, მე-4 სართული. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი 37-30-92. იკითხეთ ცისია.

ვყიდი 3 ოთახიან იზოლირებულ ბინას დაშენების პერსპექტივით, მესამე სართულზე, თოიძის ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ ტელ. 94-23-43.

იყიდება თუხარელის პროექტის ოთხოთახიანი ბინა ნუცუბიძის მეორე მიკრორაიონის ბოლოში, მე-10 სართული. ბინას აქვს სარდაფი და მანქანის დასაყენებელი ადგილი. ფასი 17 ათასი დოლარი. ტელეფონი 30-12-34 ან 31-23-23.

იყიდება სახლი ეზოთი მარტვილის ცენტრში. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39-47-96.

ავტომანქანები



ვყიდი ამწეს და თვითმცლელ სატვირთო ავტომანქანას, ორივე სამუშაო მდგომარეობაშია. ფასი — შეთანხმებით. ტელ: 61-35-45

იყიდება ექსპლუატაციაში მყოფი ტექნიკურად გამართული, გაზ-51 მარკის სატვირთო ავტომანქანა. გთხოვთ დარეკოთ ტელ. 22-46-20. 17.00 — 22. 00-მდე.

ვყიდი ავტომანქანა „ვაზ-06", 011 ძრავით, გამოშვებულია 1986 წელს. გავლილი აქვს 75.000 კმ. თეთრი ფერის, კარგად შენახული. ფასი 3.500 ლარი. დარეკეთ 99-03-73. 9.00-დან 18.00-მდე

ვყიდი ავტომანქანას „БМВ — 518". გამოშვებულია 1979 წელს, შესაკეთებელი ძრავა. ფასი 1000 დოლარი.
ტელ: 62-77-32 ხვიჩა.

იყიდება ავტომანქანა „მერსედეს-200", დიზელი, 1976 წლის გამოშვება, ფასი — 800 ლარი. ტელეფონი 22-16-31.

ქირავდება შემდგომში გამოსყიდვის უფლებით ავტომანქანა „ვაზ-24" დიზელის ძრავით. 100 კილომეტრზე ხარჯავს 6 ლიტრ საწვავს. დარეკეთ 78-32-00

იყიდება 1980 წელს გამოშვებული ავტომანქანა „ვაზ 24"" ვოლგა ძალიან კარგ მდგომარეობაში. მანქანას გავლილი აქვს 47 000 კმ. აქვს სრულიად ახალი დიზელის გერმანული ექსპერიმენტალური ძრავი, წვავს 6 ლიტრ დიზელის საწვავს 100 კმზე. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ: 78-32-00.

იყიდება მსუბუქი ავტომანქანა „ზიმ" ასაწყობ მდგომარეობაში თავისი ყველა ნაწილით. ფასი 700 დოლარი. ტელ: 34-43-83

სხვადასხვა

ვყიდი ახალ ელექტრო-კარადას. ტელ: 51-09-50 იკითხეთ რობინზონი.

ახალი ბენზოგენერატორი, 100-კილოვატიანი, ახლადგარემონტებული ამერიკული ძრავით. საათში წვავს 12 ლიტრ ბენზინს. ფასი 4.750 ლარი.

ვყიდი ანტიკვარულ სალონურ როიალს. სპეციალისტთა შეფასებით, აქვს გამორჩეულად მდიდრი ხმა. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ: 74-50-27(საღამოს); 93-43- 91(დილით). კოტე.

იყიდება ახალი ველოტრენაჟორი „ზღორჯეი". ფასი 200 ლარი. ასევე იყიდება ახალი კონდიციონერი (გაუხსნელი) ბბ-2000, ფასი — 200 ლარი. ტელ. 38-62-29 ან 29-29-19.

იყიდება კარგად შენახული სადილი „რეგინი", სამზარეულოს რუმინული „ბერგში", ორივეს ფასი 3000 დოლარი.მისამართი: დიდი დიღომი, იოანე პეტრიწის 12, ბინა 120. ტელ. 62-07-07 საღამოს საათებში; სამსახური 36-88-37. იკითხეთ ნუნუ.

იყიდება სწექტროლიანი 89-მილიმეტრიანი გაზის მილები 60 ტონის ოდენობით. გვაქვს აგრეთვე 104-მილიმეტრიანი გაზის მილები 15 ტონის ოდენობით. ტონის ფასი 250 დოლარი ან შესაბამისი ლარი. დაგვირეკეთ 22-30-06. აკო.

ვასწავლი სალაპარაკო ენას რუსულს და ინგლისურში, გამზადებ მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს ინგლისურ ენაში. ფასი შეთანხმებით. ტელ. 96-28-94, იკითხეთ ლული.

მოვუვლი მოხუცს ან ბავშვს 6 წლამდე ან 6 წლის შემდეგ. ტელ. 96-28-94, იკითხეთ რობა.

ვყიდი „ბკ—1500" სისტემის კონდენციონერს კარგ მდგომარეობაში. ფასი 100 ლარი. ტელ: 31-80-71 ან 31-94-31. იკითხეთ ზვიადი ან ირაკლი.

ვარჩენ I, II, III ა — ხარისხის დამწვრობას, სწრაფად და, რაც მთავარია, უკვალოდ. თუ ყველა დონე იხმარეთ და შედეგი ვერ მიიღეთ, მობრძანდით. თქვენი იმედები გამართლდება.ტელ.: 74-54-21. მისამართი: ბახტრიონის ქუჩა №12, I სართული. ოთახი №7. 10.00-დან 15.00-მდე.

ორ ცალ ახალ უნივერსალურ 10-არხიან ორმხრივ რადიოკავშირს ცალ-ცალკე [illegible] ან [illegible] დამტენით გაახნია ორი [illegible] ტელ. 37-18-06 ან 74-54-21 [illegible]

იყიდება სავაჭრო-ტექნოლოგიური მოწყობილობები: მაცივარი „კამერა", ექსპრესიანი ელექტროქურა, სასაჭმლო სასწორი და საჭმლის მოსახარში ქვაბი (ფასი შეთანხმებით). ტელ. 93-29-63. იკითხეთ გოგა.

იყიდება ძვირფასი ანტიკვარული დესკი, რომლის ფასია ექვსი ათასი ლარი, იყიდება აგრეთვე ვიტრინა, რომლის ფასია 2 500 ლარი. ტელ: 37-55-93.

იყიდება კერძო ღვინის მცირე ქარხანა სოფელ კაჭრეთში. ცნობისათვის დარეკეთ 30-45-85. იკითხეთ მიშა ბერეჟანი.

ვყიდი სარეცხ მანქანას „ოკა 7". ფასი შეთანხმებით. დაგვირეკეთ 98-29-11. იკითხეთ ეკა.

ვყიდი იაპონურ ავტომანქანა „მაზდა-626" ევროპული სტანდარტით. გამოშვებულია 1988 წელს. ფასი შეთანხმებით. ტელ: 38-55-78 დათო ან მადონა.

ვყიდი ახალ „პეტროვის" სისტემის პიანინოს 1000 დოლარად. ტელ: 38-15-02.

იყიდება რკინის კარები ჩარჩოთი ზომა-9"V230, ფასი 450 ლარი; სპილენძის მავთული შიდა ელექტროგაყვანილობისათვის; კვეთი 2,5 კვადრატი, 200 მეტრი, ფასი 1 მ. 80 თეთრი; ორკარიანი სეიფი-200 ლარი. ტელ: 37-29-85.

იყიდება 500 კგ. თეთრი პრიალა ქაღალდი, რომელიც გამოდგება: ბროშურების თავფურცლად, ეტიკეტებად, კონვერტებად, ნაყინისათვის პარკებად.ფასი შეთანხმებით. ტელ: 39-47-96.

ვყიდი რუსეთის გამოშვების მოტო-ბლოკს. დარეკეთ ტელეფონზე 37-65-02 ან 51-54-37.

იყიდება ოთახის ხის კარები. ზომები 90X215 4 ცალი, ორფრთიანი 138X215 2 ცალი.
ტელ: 34-40-37.

იყიდება როკოკოს სტილის ანტიკვარული სასტუმრო ფასი 5 ათასი დოლარი. იყიდება აგრეთვე როკოკოს სტილის კედელზე ჩამოსაკიდი ოვალური ფორმის ანტიკვარული სარკე ფასი. 400 დოლარი, გერმანული კარადა „გორკა", ფასი 800 დოლარი. ტელ: 22-31-30.

იყიდება ანტიკვარული, კარგად შენახული სასადილო „ნუვებლინი", ბუფეტი, სერვანტი, მაგიდა, ექვსი სკამი. საწყისი ფასი 12 ათასი დოლარი. შეიძლება გაიყიდოს ნაწილ-ნაწილ. ტელ: 95-43-94, საღამოს 6 საათის შემდეგ.

იყიდება სამშენებლო არმატურა, პერიოდული პროფილის № 18. ერთი ტონა 350 ლარი. ტელ: 98-56-10 11 დან 16 საათამდე; 23-38-34 20 საათის შემდეგ.

ვყიდი შეიღებილიან ალუმინის შიშველ მავთულს, ერთი წვერი 10 კვადრატია, სულ არის 1500 გრძივი მეტრი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 61-50-73 ან 61-64-43. დემური ან შალვა.

იყიდება: მომინანქრებული ფურცლოვანი ფოლადი, 0,6 მილიმეტრი სისქის ზომით 1X2, 125 ცალი. ფასი 1.250 ლარი. შეღებვას არ საჭიროებს;

იყიდება წიგნების კარადა — სერვანტი, ფასი 300 ლარი, „სეკრეტერი" — დასახური საწერი მაგიდა თაროებით — 300 ლარი, წიფლის „ცსპ"-საგან დამზადებული მასიური კამოდი ზომებით 2X1, ფასი 250 ლარი, საკერავი მანქანა „ზინგერი" — 150 ლარი, ანტიკვარული თუჯის ორიანი ჟურნალების მაგიდა — 159 ლარი. დაგვიკავშირდით 36-10-52 ან 98-39-46.

ვისაც სურს საბუთების ბუღალტრული დამუშავება, ბალანსის გაკეთება, დარეკეთ 98-50-44. მიმოზა.

ვყიდი ფრანგულ მამაკაცის ყავისფერ დუბლიონკას 52-54 ზომა და 1994 წელს გამოშვებულ ავტომობილ „ზაპოროჟეცს". ფასი შეთანხმებით. ტელ. 94-23-43.

ფირმა „დედა" დაგიმზადებთ ლითონის ნებისმიერ ნაკეთობას. მათ შორის კარადებს, სეიფებს, ორიგინალური ფორმის კარებსა და ფანჯრებს, აგრეთვე ოფისის და სახლისათვის, ავტოსადგომისა და სხვა.
მოგვმართეთ და კმაყოფილი დარჩებით!
ჩვენი მისამართია: თვალჭრელიძის ჩიხი. 1 („თბილგიძუსთან").
ტელეფონი: 73-40-41 ან 37-18-17 (საღამოს).

ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, გაქირავების შესახებ განცხადებების გამოქვეყნების მსურველებმა დაგვირეკეთ:

ანატოლი სობჩაკი

თბილისის ჭამტეხილი,
ანუ 1989 წლის სისხლიანი კვირა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" №158, 159.

თბილისის ამბების გამო

როგორც უკვე ვიუწყებოდით, თბილისში, მთავრობის სახლის შენობასთან, უკანასკნელი დღეების მანძილზე მიმდინარეობდა მიტინგები, რომლებიც ექსტრემისტთა ჯგუფებმა გამოიყენეს ქალაქსა და რესპუბლიკაში არაჯანსაღი განწყობილების გასაღვივებლად. 8 აპრილს ღამით, 21 საათის შემდეგ, პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცველი ორგანოების მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, ვითარება მიტინგზე მკვეთრად გართულდა და კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა. მომიტინგენი რესპუბლიკის მოსახლეობას მოუწოდებდნენ მოეწყოთ გაფიცვა, გამოეცხადებინათ სამოქალაქო ურჩობა. წამოაყენეს ნაციონალისტური, ანტისაბჭოთა ხასიათის ლოზუნგები, რომლებიც აღვივებდნენ ეროვნებათაშორის შუღლს, შეიცავდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციის, რესპუბლიკის დროებითი მთავრობის შექმნისა და სსრ კავშირის შემადგენლობიდან გასვლის მოთხოვნებს.

აგრეთ წოდებული „საქართველოს ეროვნულგანმათავისუფლებელი მოძრაობის" ლიდერები კითხულობდნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდების გეგმებს, ხალხში გაისმოდა მუქარა, რომ გაუსწორდებოდნენ კომუნისტებს და ხელისუფლების წარმომადგენლებს.

რესპუბლიკის ხელმძღვანელების, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლების არაერთგზის მიმართვას — გამოეჩინათ კეთილგონიერება და დაშლილიყვნენ, მომიტინგეები არ გამოეხმაურნენ, ხოლო მიტინგის ორგანიზატორები განაგრძობდნენ ვნებათაღელვის გამწვავებას. მათ არ იღეს ყურად არც შეკრებილთა წინაშე გამოსული საქართველოს კათალიკოსის ილია მეორის მოწოდება. გამოიჩინეს მის მიმართ უხეშობა და უპატივცემულობა.

ასეთ სიტუაციაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და განუჭვრეტელი შედეგების თავიდან აცილების მიზნით რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება — შეეწყვიტა ანტისაბჭოური, ანტისაზოგადოებრივი თავყრილობა, გაეწმინდა მთავრობის სახლის წინამდებარე მოედანი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს და ჯარების ქვეგანაყოფები განუხრელად ასრულებდნენ ინსტრუქციებს იარაღის გამოუყენებლობის, სიფრთხილის ზომების შესახებ, განსაკუთრებით ქალებისა და მოზარდების მიმართ. მაგრამ ქვებით, ჯოხებით, ლითონის საგნებით შეიარაღებული ექსტრემისტების ცალკეულმა ჯგუფებმა მათ გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს. ექსტრემისტთა მოქმედებამ გამოიწვია ზედახორა, რის შედეგადაც 16 ადამიანი დაიღუპა. რამდენიმე ათეულმა კაცმა სხვადასხვა ხარისხის ტრავმა მიიღო. დაშავდა აგრეთვე 75 სამხედრო მოსამსახურე და მილიციის თანამშრომელი. დაშავებულებს სასწრაფო სამედიცინო დახმარება გაეწიათ.

აღნიშნული მოვლენების ტრაგიკული მიზეზების გამოსაძიებლად შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელსაც სათავეში უდგას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ.ა.ჩხეიძე. ამჟამად მთავრობის სახლის წინამდებარე მოედანი მომიტინგეებისაგან გათავისუფლებულია და მას კონტროლი დაუწესეს ჯარის ქვეგანაყოფებმა. არეულობის რამდენიმე [illegible] უკვე დაკავებულია. მიმდინარეობს გამოძიება. ხორციელდება ღონისძიებანი ახალი ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების თავიდან ასაცილებლად. რესპუბლიკური ორგანოების გადაწყვეტილებით ქალაქში შემოღებულია კომენდანტის საათი. რესპუბლიკის მუშათა კლასი, გლეხობა, ინტელიგენცია, შრომითი კოლექტივები გმობენ ექსტრემისტთა პროვოკაციულ მოქმედებას, რომელმაც მძიმე შედეგები გამოიწვია, და მოითხოვენ ხელისუფალთაგან უზრუნველყონ ცხოვრების ნორმალიზაცია, უსაფრთხოება, სიმშვიდე და წესრიგი.

(„პრავდა" – 10.04.89 წ.)

თუ უკუვაგდებთ ჩვენი იმდროინდელი ოფიციალური პრესისათვის დამახასიათებელ შეფასებითს მსჯელობას, საჭირო იყო დაგვედგინა, ნამდვილად მოხდა თბილისში ლამის სახელმწიფო გადატრიალების, ხელისუფლების ძალმომრეობის გზით ხელში ჩაგდების მცდელობა, თუ მიმდინარეობდა მშვიდობიანი, მაგრამ ანტისამთავრობო ლოზუნგებით მოწყობილი მიტინგი.

ჩვენს საზოგადოებაში, რომელიც ჯერ მხოლოდ ახლა იშორებს ტოტალიტარიზმის ხუნდებს, უაღრესი გაჭირვებით მკვიდრდება ის ცხადზე ცხადესი აზრი, რომ ლოზუნგებისა და დემონსტრაციების გულისთვის, მაშინაც კი, თუ ისინი მიმართულია მთავრობის წინააღმდეგ, არსებული წესების წინააღმდეგ, არ შეიძლება დახოცო ხალხი, ისევე როგორც არ შეიძლება გამოიყვანო არმია საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

როდესაც კომისია ისმენდა ტრაგედიის მოწმეთა და მონაწილეთა ჩვენებებს, ჩვენთვის დღითიდღე სულ უფრო გასაგები ხდებოდა მომხდარი ამბის მიზეზები. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დაპირისპირება, უფრო ზუსტად, მოწყვეტა მასებისაგან, უუნარობა და უნდობლობა გაეგოთ ხალხის საჭიროებანი და მოთხოვნები, პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ელიტური არსებობა — აი, ჭეშმარიტი მიზეზები ადამიანთა აღშფოთებისა, მათი გამოსვლისა სისტემის და იმათ წინააღმდეგ, ვინც სისტემას განასახიერებს.

ჩვენ გაგვაოცა, რომ ათობით და ასობით ადამიანთაგან, რომლებსაც თბილისში შევხვდით, ერთსაც არ დასცდენია კეთილი სიტყვა რესპუბლიკის ხელმძღვანელებზე, სამაგიეროდ ბევრი რამ ითქვა მექრთამეობაზე, კორუფციაზე, ხელისუფლების მაფიოზურ ორგანიზაციაზე...

დამახსოვრდა ერთი ასეთი შტრიხიც, რომელიც საქართველოს ხელმძღვანელებს ახასიათებს: მიტინგის დარბევის დროს ისინი მთავრობის სახლის სარკმლებიდან უყურებდნენ, როგორ უსწორდებოდნენ მათს საკუთარ ხალხს, და არავინ არც კი ცდილა ჩარეულიყო და შეეჩერებინა მოვლენათა ტრაგიკული განვითარება.

არადა, ჯერ კიდევ 8 აპრილს დღისით სახლთან, რომელშიც ჯ.პატიაშვილი ცხოვრობდა, თითქოს გული უბედურებას უგრძნობდათო, შეიკრიბა ქალების დიდი ჯგუფი, რომლებმაც მიმართეს მოწოდებით არ დაეშვათ ძალადობა მათი ქმრებისა და ვაჟების წინააღმდეგ. მაგრამ ქალების ხმა არავინ შეისმინა. მათთან არცკი გამოსულა ვინმე. მაშინ ქალები მოედანზე მივიდნენ და მომიტინგეებს შეუერთდნენ.

თბილისში დაძაბული მუშაობის კვირა მთავრდებოდა. ჩვენ უკვე შევასრულეთ დასახული, მოვუსმინეთ იმათ, ვისი მოსმენაც გვსურდა, აგრეთვე იმათ, ვინც თვითონ მოვიდა ჩვენთან. გამოვედით ტელევიზიით, შევხვდით სტუდენტებს, ოფიცრების ცოლებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კლუბში, ვიყავით ჯარის ნაწილებში. დღითიდღე მომხდარი ამბების სურათი სულ უფრო ცხადად გვეხატებოდა თვალწინ.

ამასთანავე გვიგროვდებოდა სულ უფრო მეტი კითხვა, რომელთა პასუხს მხოლოდ მოსკოვში თუ მივიღებდით. იქ კი ამ დროს უკვე დაწყებულიყო ყრილობის მიერ არჩეული უზენაესი საბჭოს სხდომები. ბევრ ჩვენგანს — ახალი უზენაესი საბჭოს წევრებს — მოსკოვში გვეჩქარებოდა, სადაც ახალი მთავრობის შემადგენლობის განხილვა და დამტკიცება მიმდინარეობდა.

წარმოიშვა პაუზა და მუშაობის გასაგრძელებლად კომისია მხოლოდ ივლისის დამლევს შეიკრიბა. იმ დროისათვის ჩვენ გამოგვიყვეს მუდმივი შენობა მანეჟის შესახვევში, კუტაფის კოშკის გვერდით. ეს მოსახერხებელი იყო; თუ უზენაეს საბჭოში ცოტა ხნით მოვიცლიდი, ხუთი წუთის შემდეგ უკვე შემეძლო კომისიის საქმეებზე მემუშავა.

მოსკოვის ეტაპი ჩვენ დავიწყეთ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში, სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, მინისტრთა საბჭოში, თავდაცვის სამინიტროსა და შინაგან საქმეთა სამინტროში დოკუმენტების შესწავლით.

დოკუმენტების გაცნობას არავინ გვიშლის. სამინიტროების, ცენტრალური კომიტეტისა და უშკომის მუშაკები პუნქტუალურად მოდიან მოსმენაზე კომისიაში. მაგრამ რა ვუყოთ პოლიტბიუროს წევრებს? და რაც მთავარია, ლიგაჩოვსა და ჩებრიკოვს, რომლებიც ცენტრალურ კომიტეტში ატარებდნენ თათბირებს თბილისთან დაკავშირებით ტრაგედიის წინ?

ვცდილობ, სხვადასხვა არხით დავუკავშირდე მათ: ხან ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების მეშვეობით, ხან მათი პირადი მდივნების მეშვეობით... ამაოდ. მივმართავ რაზუმოვსკის, ცენტრალური კომიტეტის მდივანს საორგანიზაციო საკითხებში, — ეფექტი იგივეა. დრო მიდის, და ჩემი ყველა ცდა — დავუკავშირდე პოლიტბიუროს წევრებს, — უნაყოფოდ მთავრდება.

მაშინ მახსენდება, რომ ჩვეულებრივ ყველაზე ეფექტიანია ყველაზე უბრალო სვლები და გადაწყვეტები. ვჯდები და ვწერ ბარათს გორბაჩოვის სახელზე:

„პატივცემულო მიხეილ სერგის ძევ!

სახალხო დეპუტატთა ყრილობის თბილისის ამბების გამომძიებელმა კომისიამ თავისი სამუშაო დაასრულა. ჩვენ გავეცანით ყველა დოკუმენტს და მოვუსმინეთ ყველა დაინტერესებულ პირს, პოლიტბიუროს წევრებისა და პარტიისა და სახელმწიფოს იმ ხელმძღვანელების გარდა, რომლებიც მონაწილეობდნენ ცენტრალურ კომიტეტში 7 აპრილს გამართულ თათბირში, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თბილისში ჯარების გაგზავნის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ უახლოესი ორი დღის მანძილზე აღნიშნული პირნი არ წარსდგებიან კომისიის წინაშე, ჩვენ იძულებული ვიქნებით შევწყვიტოთ მუშაობა, დავამთავროთ იგი და ჩავწეროთ ჩვენს დასკვნაში, რომ ამ პირებმა კომისიისათვის ახსნა-განმარტების მოსაცემად გამოცხადებაზე უარი თქვეს და მათ დაეკისრებათ ამასთან დაკავშირებული მთელი პოლიტიკური პასუხისმგებლობა".

სწორედ ეს ბარათი გადავეცი ივლისის დამლევს გორბაჩოვს ხელიდან ხელში უზენაესი საბჭოს სხდომაზე.

მეორე დღეს დილაადრიან ტელეფონი რეკავს: „გამარჯობათ, ანატოლი ალექსანდრეს ძევ! გელაპარაკებათ ჩებრიკოვის თანაშემწე". თურმე, მის შეფს ნდომებია ჩემთან საუბარი და შეუძლია ახლავე აიღოს ყურმილი.

ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ, ამიტომ ჩებრიკოვი ჯერ მეცნობა, მეუბნება, რომ მოხარულია ჩვენი გაცნობისა, გაიგო, რომ კომისიას მასთან შეხვედრა სურს, ისიც მზად არის... აქვე შევთანხმდით, რომ იგი კომისიაში მოვა სამი საათის შემდეგ, თერთმეტისათვის.

ვდებ ყურმილს, თხუთმეტი წუთის შემდეგ კვლავ მესმის ზარი. ამჯერად ხაზზე ლიგაჩოვია. სიტყვასიტყვით იგივე დაშაქრული მიმართვები. ვთავაზობ, მოვიდეს ორისთვის ან უმჯობესია, სამის ნახევრისთვის. უფრო ადრე რატომ არა? იმიტომ, რომ ჩებრიკოვს დანიშნული აქვს თერთმეტისთვის, და საუბარი, ალბათ, ხანგრძლივი გვექნება. ყურმილი დაახლოებით ერთ წუთს სდუმს. ეტყობა, ჩემი თანამოსაუბრე არ იყო მზად საიმისოდ, რომ სადეპუტატო კომისიასთან საუბარმა შეიძლება ამდენ ხანს გასტანოს. რას იზამ! იგი ყაბულს არის სამის ნახევარზეც. სიტყვამ მოიტანა, და იმ დღეს ცოტა არ იყოს ლოდინმა მოუწია: ჩებრიკოვს კომისია უფრო მეტ ხანს ესაუბრებოდა, ვიდრე მე ვვარაუდობდი. ერთთანაც და მეორესთანაც საუბარმა სამ საათზე მეტ ხანს გასტანა.

თუმცა, საპარლამენტო კომისიასთან ჩებრიკოვისა და ლიგაჩოვის დიალოგები ესოდენ ხანგრძლივი სულაც არ იყო ჩვენი მიზეზით. ორივენი ხან იძლეოდნენ არცთუ მკაფიო პასუხებს; ხან დიდხანს და დაწვრილებით მსჯელობდნენ ზოგადპოლიტიკურ თემებზე და ამჯობინებდნენ თავი აერიდებინათ მწვავე შეკითხვებისათვის.

ლიგაჩოვმა თქვა, რომ 7 აპრილს მან ცენტრალურ კომიტეტში გამართა ჩვეულებრივი საქმიანი შეხვედრა; „უბრალოდ აზრთა გაზიარება", რომ ოქმები არ შეუვსიათ, და ყველა ამგვარი თათბირის შესახებ პრესას რომ აცნობონ ხოლმე, მაშინ გაზეთებს ქაღალდი არ ეყოფათ. ბოლოს გვაცნობა, რომ უშუალოდ თათბირის დამთავრებისთანავე შვებულებაში წავიდა და შემდეგ რაც მოხდა, გაზეთებიდან გაიგო.

აქ ალბათ, უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ნ.პ. მილიუკოვის ცნობილი წამოძახილი სათათბიროში: „რა არის ეს — ღალატი თუ უარესი — სიბრიყვე?"

იმ საუბრიდან მეხსიერებაში ჩამრჩა ეგორ კოზმას ძის ორი ფრაზა: „დარწმუნებული ვარ, ჩვენ ერთპარტიული სისტემა გვექნება და „ჩვენ ბოლოს და ბოლოს მივალთ იქამდე, რომ სადღაც მოგვიწევს ერთეულების, ათეულების — ისინი კი მეტნი არც არიან — აუცილებელი იზოლირება, იმისათვის, რომ ადამიანებს შევუქმნათ მშვიდი, ნორმალური ცხოვრება" %ციტატა მომყავს ისევ და ისევ სტენოგრამის მიხედვით — ა.ს.).

მე მგონი, მეორე ფრაზა გვაძლევს გასაღებს ლიგაჩოვის ტიპის პოლიტიკურ მოღვაწეთა პოზიციის გასაგებად. მათ თავი უმაღლესი სიმართლის მატარებლად მოაქვთ. ხოლო ამის მისაღწევად ნებისმიერი საშუალება გამოდგება. მათთვის სულაც არ არის პრობლემა საკუთარი სიმშვიდის გულისათვის ერთეულების, ათობით თუ ათასობით „ექსტრემისტის იზოლირება". აბა, როგორ არ ეფარისევლა იმისათვის, რომ მოეახლოებინა „ტურფა მომავალი". და განა გასაკვირია, რომ „აზრთა გაზიარების" შედეგად თბილისში ჯარების გადმოსროლა დაიწყეს?

მეხსიერებაში ჩამებეჭდა ჩებრიკოვის ნათქვამი რამდენიმე ფრაზაც: „ჩვენ გავგზავნეთ გარკვეული ძალა, რათა მას შეძლებოდა ადგილზე გადაეწყვიტა, რა ექნა".

ალბათ, უფრო ზუსტად ვერც ჩამოვაყალიბებ იმ კოლექტიური პასუხიმგებლობის იდეას, რომელსაც პარტიულ ფუნქციონერთა ენაზე „გადაწყვეტილებათა მიღების კოლეგიურობა" ეწოდება. ასე იბადება ყბადაღებული „კოლექტიური აზრი", სისტემის კოლექტიური, ჯგროებრივი აზროვნება, რომელიც უფრო ცხოველურ ინსტიქტებს მოგვაგონებს. და მე არ გამოვრიცხავ, რომ თბილისის ტრაგედია სისტემის თვითშენარჩუნების სწორედ ასეთი გაუცნობიერებული ინსტინქტის შედეგია. თავისი პოლიტიკური კრახის წინ, მაგრამ უკვე მას შემდეგ, რაც ტოტალიტარიზმმა დამარცხება განიცადა სახალხო დეპუტატთა არჩევნებში, 9 აპრილის ამბების კრუნჩხვა წინასწარ იყო განსაზღვრული. სისტემა მოფიქრებულად (თუმცა ვუშვებ, რომ არც მთლად განზრახ) შეეცადა პროვოკაციულად გამოეწვია მოვლენათა ისეთი გამწვავება, რომ მას მოჰყოლოდა გარდაქმნის შეჩერება რომელსაც მაშინ ჯერ კიდევ არ განევლო რეჟიმის უბრალო ლიბერალიზაციის ეტაპი, და, რაც მთავარია, გამოეწვია ლიდერის შეცვლა, ან უკიდურეს შემთხვევაში, მისი მოწყვეტა ხალხის მასებისაგან. როგორც შემდგომმა მოვლენებმა ცხადყვეს, გორბაჩოვმა შეიმაგრა თავი უნაგირზე, მაგრამ დემოკრატიის ფართო ფრონტსა და მას შორის უნდობლობის ატმოსფერო მაინც წარმოიშვა.

პერსონალური პასუხიმგებლობის არარსებობის პირობებში „კოლექტიური პასუხიმგებლობა" წარმოშობდა იმ მექანიზმს, რომლის დროსაც შეიძლება ფონს გახვიდე აშკარა შეთქმულების მოუწყობლად, დაუფარავი, სადავიდარაბო და სარეალიზაციოდ საშიში სასახლის გადატრიალების მოუხდენლად. ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი საოცარი დამთხვევა: ყბადაღებული ბრძანებულება ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებისათვის პასუხიმგებლობის გაძლიერების შესახებ მისი მე-11 მუხლითურთ (რომელიც, სხვათა შორის, შემდეგ პირველმა ყრილობამ გააუქმა) გაჩნდა 1989 წლის 8 აპრილს. აი, დამთხვევა, რომელიც უნებლიედ დაგვაფიქრებს!

მოსკოვის მოსმენების დროს ჩვენ უცილობლად დავადგინეთ, რომ თბილისში ჯარების გაგზავნის გადაწყვეტილების მიღებაში საკვანძო როლი შეასრულა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში 7 აპრილს ეგორ ლიგაჩოვის თავმჯდომარეობით გამართულმა თათბირმა, რომელშიც მონაწილეობდნენ პოლიტბიუროსა და მთავრობის მთელი რიგი ცნობილი წევრები, მათ შორის ლუკიანოვი, კრიუჩკოვი, ლიგაჩოვი, იაზოვი... გეცნობათ ეს გვარები, არა? და არა მარტო თბილისის ამბების კონტექსტით?... ჩვენ შევეცადეთ მოგვეძებნა ამ თათბირის, ისევე როგორც მომდევნო, 8 აპრილს გამართული თათბირის ოქმი, ანდა რაიმე სხვა დოკუმენტური ცნობები თათბირებისა და მათი მონაწილეების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. ამაოდ!

მაინც რატომ არ შედგა ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის 7 აპრილის თათბირის ოქმი? ჩვენ საბოლოოდ ვერ ვეღირსეთ ამ კითხვის პასუხს ვერც ლიგაჩოვის და ვერც სხვა მაღალი თანამდებობის მოხელეებისაგან. ესმოდათ მათ, რაოდენ დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებდნენ? დარწმუნებული ვარ, ესმოდათ. ვფიქრობ, სწორედ ამიტომ შეეცადნენ არ დაეტოვებინათ არავითარი დოკუმენტი, სწორედ ამიტომ არ ეწეოდნენ არავითარ ჩანაწერებს. უპასუხიმგებლობის ურთიერთთავდებობა იმის გარანტიაა, რომ როგორც უნდა განვითარდეს მოვლენები ბიუროკრატიული სისტემა წარმატებას მაინც მოიპოვებს.

ამრიგად, გადაწყვეტილება არსად არ არის და ფიქსირებული, ხოლო იმ თათბირის ორი მონაწილე (შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ტრუშინი და თავდაცვის მინისტრი იაზოვი) დაუყონებლივ მიეშურებიან ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად. ამასთან, ფრიად ენერგიულად მოქმედებენ. ამავე საღამოს თბილისში უკვე იწყებენ ჩასვლას შინაგანი ჯარებისა და სპეცდანიშნულების — „სპეცნაზის" პირველი ქვეგანაყოფები, ხოლო 8 აპრილს დილით მედესანტეებიც ჩამოვლენ. დიახ, გორბაჩოვი მოსკოვში არ ყოფილა, მაგრამ თათბირის მონაწილენი არ ჩათვლიან საჭიროდ რაიმე შეატყობინონ თუნდაც მთავრობის მეთაურს რიჟკოვს. ხოლო როდესაც ჩვენი კომისია ერთსულოვნად სახტად დარჩება, როგორ შეიძლებოდა, ასეთი რამ მომხდარიყოო, ჩვენ განგვიმარტავენ, რომ წყდებოდა პოლიტიკური საკითხი, ხოლო მთავრობის მეთაური პასუხს აგებს სამეურნეო საკითხებისათვის. ვინაიდან იგია ქვეყნის მთავარი მეურნე და არამცდაარამც — პოლიტიკოსი. თან, პოლიტბიუროში მიღებული მოვალეობათა განაწილების ნუსხის მიხედვით ასეთი საკითხები არ შედის მთავრობის მეთაურის განმგებლობაში. მაშინ რაღა მთავრობის მეთაურია, თუ უმისოდაც შეიძლება გადაწყვიტო და განახორციელო ასეთი რამ? ჩვენ ვერც ამ კითხვაზე მივიღეთ პასუხი.

ჩვენი კომისია შეხვდა ედუარდ შევარდნაძესაც. მან თქვა, თბილისის ამბები ჩემი პირადი ტრაგედია გახდაო. გვიამბო, როგორ ჩაფრინდა თბილისში 9 აპრილს და შეუდგა მომწამვლელ ნივთიერებათა გამოყენების გარემოებათა დადგენას. სამხედროები დიდხანს არ ტყდებოდნენ, რომ ისინი გამოიყენეს, და მხოლოდ მაშინ, როდესაც ექიმებმა დაამტკიცეს: მოედანზე ნამყოფ ადამიანებს აშკარად ეტყობოდათ ძლიერმოქმედი ქიმიური ნივთიერებებით მოწამვლის აშკარა ნიშნები, სამხედროებმა აღიარეს, რომ უხმარიათ ჯერ სხვადასხვა მოდიფიკაციის „ჩერიომუხა" შემდეგ კი „სი-ეს"გაზიც.

რატომ იყო, რომ შევარდნაძემ საკუთარ ტრაგედიად აღიქვა თბილისის უბედურება? არა მგონია, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ქართველია და თბილისელი. შევარდნაძე 7 აპრილს მოსკოვში რომ ყოფილიყო, და არა ლონდონში, და 7 აპრილს ღამით საქართველოში რომ ჩამოფრენილიყო, როგორც გორბაჩოვმა შესთავაზა, ალბათ მთავრობის სახლთან სისხლიანი რბევის თავიდან აცილება მოხერხდებოდა. მაგრამ ნიკოლსკის მიერ მომზადებული შიფროგრამა, რომელსაც პატიაშვილი აწერდა ხელს, და 8 აპრილით იყო დათარიღებული, საქმეს ისე წარმოსახავდა, თითქოს მდგომარეობა კალაპოტში ჩადგა და მოედანზე ვნებათაღელვა უკვე ცხრებაო. ამასობაში კი უკვე იშლებოდა სამხედრო ოპერაციის ზამბარა, და გენერალი როდიონოვი, თავდაცვის მინისტრის გამოთქმას თუ ვიხმართ, „ღამის თეთრად გასათენებლად"ემზადებოდა.

ჩვენ შევხვდით ლუკიანოვსაც.

მერე კი კვლავ მომიხდა, დამეწერა ბარათი გორბაჩოვის სახელზე:

„პატივცემულო მიხეილ სერგის ძევ!

თბილისის ამბების გამომძიებელმა კომისიამ დაასრულა თავისი მუშაობა, მოუსმინა ყველა დაინტერესებულ პირსა და ამ ამბების მონაწილე პირებს, გაეცნო ყველა დოკუმენტს. ჩვენ გამოვიტანეთ გარკვეული დასკვნები, მოვამზადეთ კომისიის დასკვნაც, მაგრამ გვინდოდა ერთხელ კიდევ შეგხვედროდით, რათა მერე ჩვენს კომისიას არ უსაყვედურონ, რომ მან ვერ გაბედა თქვენთვის მოეთხოვა შესაბამისი ახსნა-განმარტება, არ გისაყვედურონ თქვენც, რომ არ მიეცით კომისიას შესაძლებლობა მიეღო სათანადო განმარტება..."

გორბაჩოვი დაგვეთანხმდა, და ჩვენი შეხვედრაც გაიმართა. ეს სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის მუშაობის დღეებში მოხდა.

დაახლოებით ერთ საათს ვისაუბრეთ.ჩვენ ვთხოვეთ განემარტა, რატომ დაასახელა პირველ ყრილობაზე ინგლისიდან დაბრუნების თარიღი არასწორად, როდის და როგორ მიაწოდეს ინფორმაცია თბილისში შექმნილი ვითარების შესახებ...

გორბაჩოვმა გვითხრა, ყრილობაზე უბრალოდ შემეშალა, პოლიტბიურო თბილისის საკითხის გამო არ შეკრებილაო. ეს იყო მხოლოდ ჩვეულებრივი შეხვედრა აეროპორტის მიღებათა დარბაზში. ამასთან ისიც კი ვერ გაიხსენა, სახელდობრ ვინ მიაწოდა ინფორმაცია საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ („არ ვიცი, ჩებრიკოვი იყო, არ ვიცი, ლიგაჩოვიო")

აქვე შეუტყვია, რომ ყოველი შემთხვევისათვის მიღებულია გადაწყვეტილება დაახმარონ საქართველოს ჯარები და დაცვა დაუწესონ სტრატეგიულ ობიექტებსა და სამთავრობო შენობებს. გორბაჩოვმა მაშინვე შესთავაზა შევარდნაძესა და რაზუმოვსკის თბილისში გაფრენილიყვნენ, და თვითმფრინავიც კი გაამზადებინა. მაგრამ შევარდნაძემ თბილისში პატიაშვილს დაურეკა , და ამ უკანასკნელმა დაარწმუნა: სასწრაფო არაფერია, ვითარება თანდათან განიმუხტებაო.

შედარებისათვის მოვიყვანთ სტენოგრამის სტრიქონებს:

„იაზოვი. დაახლოებით 23.30-ზე მიხეილ სერგის ძე ჩამოფრინდა ინგლისიდან. ყველანი ვხვდებოდით. ჯერ მიხეილ სერგის ძემ მოკლედ გვაცნობა, როგორ ჩაიარა ვიზიტმა კუბასა და ინგლისში, მერე კი მაშინვე გვკითხა, აქ რა ამბებიაო. თბილისში შექმნილი მდგომარეობის ამბავი ზოგადად იცოდა; ამხანაგმა ლიგაჩოვმა უთხრა: აი, დღეს ამხანაგ პატიაშვილისაგან ასეთი დაშიფრული დეპეშა მივიღეო; როგორი იქნება გადაწყვეტილება? გადაწყდა, თბილისში გაგვეგზავნა ამხანაგები შევარდნაძე და რაზუმოვსკი, რათა ადგილზე გადაეჭრათ ყველა პრობლემა. და იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა იქ კომენდანტის საათს შემოიღებდნენ, კვლავ მიგვეღო გადაწყვეტილება გაგვეგზავნა საჰაეროსადესანტო დივიზიის ერთი პოლკი და ზოგიერთი სხვა ნაწილი საზოგადოებრივი ობიექტების დასაცავად"

ყურადღებით გადავიკითხოთ ეს სტრიქონები: „...კვლავ მიგვეღო გადაწყვეტილება..."ცხადია, დამხედურთ ხმა არ ამოუღიათ იმაზე, რომ შინაგანი ჯარები უკვე გადასროლილია თბილისში, ხოლო მედესანტეებს მიეცათ ბრძანება, და რამდენიმე საათის შემდეგ ისინი თბილისში იქნებიან. გორბაჩოვი დათანხმდა ჯარების გადასროლას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შევარდნაძე და რაზუმოვსკი ადგილებზე მიიღებენ გადაწყვეტილებას კომენდანტის საათის შესახებ. სიტყვით ყველა კვერს უკრავს, მაგრამ იაზოვს „ავიწყდება" გააუქმოს უკვე გაცემული ბრძანება. პირიქით, ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ დააჩქარონ ოპერაციის სამზადისი და არ დაუშვან საქართველოში შევარდნაძე. ასეთი გახლავთ ფაქტები, და მკითხველს თავად შეუძლია გამოიტანოს აქედან დასკვნები.

სტენოგრამიდან:

„ჩებრიკოვი. აეროდრომზე გაიმართა საუბარი, რა ღონისძიებები ხორციელდებოდა . გორბაჩოვმა ასეთი რჩევა მოგვცა: დაე, ამხანაგი შევარდნაძე და ამხანაგი რაზუმოვსკი თბილისში გაფრინდნენო, მაგრამ ასე ქენით: აწონ-დაწონეთ, მოიფიქრეთ, როდის აჯობებს გაფრენა. მე თანახმა ვარ ახლავე გაგიშვათ. მაგრამ ეს ხომ ისეთი საქმეა... ღამით მოლაპარაკება მიმდინარეობდა... ჩვენ კიდევ ერთხელ შევიკრიბენით. ეს იყო უკვე მეორე დღეს, შაბათს %ანუ 8 აპრილს -ა.ს. ამ თათბირს მე ვუძღვებოდი . დიდხანს ვბჭობდით ამხანაგების ჯგუფთან ერთად. ყველაფერი ავწონ-დავწონეთ. ვთხოვეთ, ერთხელ კიდევ დაერეკათ. კვლავ გვეუბნებიან, არაფერი არ არის საჭირო, თვითმფრინავი აეროპორტში დგას, ყველაფერი ნორმალურად არისო... და ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, ამხანაგი შევარდნაძე და ამხანაგი რაზუმოვსკი აღარ გაფრინდნენ. გადაავდეთ..."

მაშ ასე, გორბაჩოვი აგარაკზე მიემგზავრება დასასვენებლად კუბისა და ინგლისის ვიზიტის შემდეგ, ლიგაჩოვი სასწრაფოდ გადის შვებულებაში, ხოლო წინასწარ მოჭიმული ზამბარა უკვე აშვებულია, და ახლა მას ველარავითარი ძალა ვერ გააჩერებს.

ახლოვდებოდა ჩვენი კომისიის ანგარიშის დღეები. დადგა დრო, დაგვეწერა დასკვნა და ჩავჯდომოდი საყრილობო მოხსენების მზადებას. შეგახსენებთ, ჩვენი კომისია ერთობ ნაირგვარი შემადგენლობისა იყო, მასში შედიოდნენ როგორც პოლიტიკური მისწრაფებებითა და სოციალური მდგომარეობისა და მომზადების, კომპეტენტურობის დონის მიხედვით ერთობ განსხვავებული ადამიანები. ერთი მხრივ, მწერლები, ჟურნალისტები, გენერლები, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები, მეორე მხრივ — ავღანეთის ომის ვეტერანები, ახალგაზრდა, ხალასი და ამგვარ საქმეებში სრულიად გამოუცდელი ადამიანები. იმათ, ვინც თავდაპირველად იბნეოდა და ჩუმად იჯდა, შემდეგ უდიდესი დახმარება გაგვიწიეს, როდესაც მედესანტეებთან უნდა მივსულიყავით და გვეთხოვა, ეთქვათ სიმართლე 9 აპრილის შესახებ. მათვე მოიყვანეს კომისიის სხდომაზე თბილისში მცხოვრებ „ავღანელთა" დიდი ჯგუფი, რომლებმაც უაღრესად საგულისხმო ჩვენებები მოგვცეს იმ ტრაგიკული კვირა დილის შესახებ.

როდესაც ჩვენ ის-ის იყო მუშაობას ვიწყებდით, გვეგონა, რომ რაღაც ერთიანი აზრის მიღწევა უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა, და მაინც, ჩვენი კომისია გახდა ერთადერთი ყრილობის ყველა კომისიათაგან, რომლის დასკვნასაც ხელი მოაწერა მისმა ყველა წევრმა.

პატიოსანი მუშაობა, რომელსაც მთელი არსებით ეძლევი, არ გიტოვებს დროს ამბიციებისათვის. აბა, რა საერთო უნდა ჰქონდეთ გენერალსა და სახალხო ფრონტის არაფორმალ წარმომადგენელს? მაგრამ თუ ორივე ჭეშმარიტების დასადგენად ილვწის, თუ ორივე თანაბრად იზიარებს პასუხისმგებლობას თავისი შრომის შედეგებისათვის, მაშინ უკვე აღარ არიან აქეთ გენერლები, და იქით რიგითები. ისინი ორივენი ერთი გუნდის წევრები, მიზნისაკენ მიმავალი ერთი ხომალდის მეზღვაურები არიან.

თარგმნა
არჩილ მანჯგალაძემ.

(გაგრძელება იქნება)



ქ. თბილისი 1989 წლის 8 აპრილი



ხელოვნება

ყველაფერი „ადამ და ევადან“ იწყება...

ძველ პლეხანოვზე, ძველ კინოსტუდიაში

შეცვლილა აქაურობა... ვეება პავილიონიდან რკინის ხვეული კიბეებით უწინ გრძელ დერეფანში მოხვდებოდით, სადაც მთელ სიგრძეზე კინოჯგუფების სამუშაო ოთახები იყო ჩარიგებული...

სადღაა ის დერეფანი... კიბიდან პირდაპირ მივადექი დამოუკიდებელი კინოსტუდია „ადამ და ევას“ თავკაცების კაბინეტს. ორნი აქ არიან — კინორეჟისორები თემურ ბაბლუანი და ბუბა ხოტივარი. ნანა ჯორჯაძეც სადაა უნდა გამოჩნდეს. მე მას ველოდები... დათქმული გვაქვს — ახალი ფილმის თაობაზე უნდა ვისაუბროთ.

„ადამ და ევა“ ამ რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა. შეიკრიბნენ თანამოაზრენი, ნაღდი მეგობრები, მაღალნიჭიერი კინორეჟისორები, რომელთა ნაწარმოებებს უკვე იცნობდნენ არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც, შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს სახელმწიფო დოტაციის გარეშე ეცადათ ფილმის გადაღება.

„ცდა“ იმით დამთავრდა, რომ ახალფეხადგმულ სტუდიაში გოდერძი ჩოხელმა ბრწყინვალე ფილმი „ვოლვის შვილები“ გადაიღო, თემურ ბაბლუანმა კი კინოშედევრი „უძინართა მზე“ შექმნა (მოგვიანებით იგი ამ ფილმისათვის რუსთაველის პრემიით დაჯილდოვდა), ხოლო ნანა ჯორჯაძემ ახლახან დაამთავრა „შეყვარებული კულინარის ათას ერთი რეცეპტი“. ამ ფილმის შესახებ საკმაოდ ითქვა და დაიწერა. ინტერესს უპირველესად აღძრავდა პოპულარული ფრანგი კინომსახიობი პიერ რიშარი, რომელიც ფილმში მთავარ როლზე მიიწვია ნანა ჯორჯაძემ.

— უკვე ბევრი ქვეყანა დაინტერესდა ნანას ფილმით, — ამბობს თემურ ბაბლუანი, — ბევრგან იწვევენ..

— კიდევ რა გაქვთ წარმოებაში? — ვეკითხები მე.

— ფრანგულ-რუსულ-ქართული ერთობლივი ფილმი „მელა ალისა“... ევგენი ლონგინი იღებს... გეგმაში გვაქვს აგრეთვე ქართულ-გერმანული ფილმი „დავითის შურისძიება...“

საუბარში ბუბა ხოტივარი ერთვება:

— ამ ფილმს საფუძვლად უდევს გერმანელი მწერლის ჰანს ვერნერ კეტებახის ქართველ კაცზე შექმნილი რომანი... ძალზე საინტერესოა... ფილმის რეჟისორი გერმანელი იქნება, მსახიობები — მთლიანად ქართველები.

— ჯერჯერობით, მაინც უცხოელი ინვესტორების, პროდიუსერების იმედით ვართ, ვნახოთ, მალე ალბათ მთლიანად „ქართულ“ ფილმსაც გადავიღებთ, — ცოტა სხვა მდინარებას აძლევს საუბარს თემურ ბაბლუანი.

— ჰო... თემურ, საინტერესოა ინვესტორების მოწვევის საკითხი...

— კი ბატონო.... აქ ცოტა თავის ქება მოგვიწევს, მაგრამ, რა ვქნათ... ფაქტია, ინვესტორთან, უპირველესად, უნდა გქონდეს იმიჯი, ავტორიტეტი, ხელს უნდა აძლევდეს შენთან მუშაობა, უნდა წინასწარ „გაითვალოს“ რას მისცემს შენი პროდუქცია... ერთი სიტყვით, ყველაფერი პროდიუსერთან ურთიერთობაში წესდება. ესეც არის: არც მაინცდამაინც იცნობენ საქართველოს, ბევრი უფრთხის ჩამოსვლას. ამ მხრივაც ათასგზის დარწმუნება უნდა. რამდენჯერმე ძალიან შეგვიწყო ხელი ბატონ ედუარდ შევარდნაძის ავტორიტეტმა, ამის დამალვა უმადურობა იქნება.

ორივეს ვეკითხები:

— თქვენ თვითონ რას აპირებთ... თუ მუშაობთ ახალ ფილმზე?...

— ალბათ, მომავალ წელს დავიწყებთ, — ერთნაირად მპასუხობენ.

აი, ნანა ჯორჯაძეც შემოდის. დაგვიანებისთვის რამდენჯერმე იბოდიშებს. ვულოცავ ფილმის წარმატებას და ვთხოვ გვიამბოს, როგორ მოხვდა იგი კანის კინოფესტივალზე.

— ფილმს კონკურსში უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ გაგზავნა დაგვიგვიანდა, ასლი ვერ მივიღეთ თავის დროზე... სამაგიეროდ, ძალზე პრესტიჟულ პროგრამაში ჩართეს, ამ პროგრამას, როგორც წესი, ელიტარული საზოგადოება ეცნობა და ფილმებზე „მონადირენიც“ ამ ფაქტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ...

— იქნებ, ამიტომაც დაინტერესდა თქვენი ფილმით სხვადასხვა ქვეყანა?..

— შეიძლება... ფაქტია, რომ ფილმი მონაწილეობას მიიღებს ტოკიოს, რიო-დე-ჟანეიროს, სტოკჰოლმის, ტორონტოს, სან-სებასტიანის და კიდევ სხვა რამდენიმე ქვეყნის კინოფესტივალებში.

— ქართველ მაყურებელს კი ჯერჯერობით არ უნახავს...

— ოქტომბერში აუცილებლად გამოვა ეკრანებზე. აქვე გეტყვით, რომ კანის კინოფესტივალამდე ჩვენი ფილმი კარლოვი-ვარის კინოფორუმში მონაწილეობდა და კინოკრიტიკოსთა პრიზიც დაიმსახურა, ხოლო პიერ რიშარმა მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის მიიღო პრიზი (გამოირკვა, თურმე საერთოდ პირველად მიუღია პრიზი).

— პიერ რიშარზე კიდევ გვითხარით ერთი-ორი სიტყვა...

— საოცარი პიროვნებაა, უნიჭიერესი კაცია... ამას, რა თქმა უნდა, თვითონ ნახავს ქართველი მაყურებელი... იგი სრულიად ახალი კუთხით „გაიხსნა“ ჩვენს ფილმში, რასაც თვითონვე აღნიშნავდა: „თქვენთან ახალ მსახიობად დავიბადეო.“ კანის კინოფესტივალზე ხუმრობდა თავისებურად: ორმოცი წელიწადია მსახიობი ვარ და, ნუთუ, ქართულ ფილმში უნდა მეთამაშა, რომ ამ კინოფესტივალზე მოვხვედრილიყავიო...

— დაუჯერებელია... უცხოეთის ქვეყნები რომ შეისყიდიან ფილმს, ქართულ მხარეს, ანუ თქვენ, შემოსავლის რა პროცენტი გერგებათ ხოლმე?...

— 20 პროცენტია ჩვენი... ერთ-ერთმა კინოკომპანიამ თავის თავზე აიღო ფილმის „გასაღება“ და, ჯერჯერობით, საყვედური არ გვეთქმის... სხვათა შორის, ძალიან გვინდა აღინიშნოს „საქართველოს რესპუბლიკაში“, რომ ჩვენი სტუდია კინოსცენარების დახურულ კონკურსს აცხადებს და გამარჯვებული სცენარი 3000 დოლარით დაჯილდოვდება, მომავალ წელს კი მას უკვე წარმოებაში ჩავუშვებთ... ასეა, ჩვენ ჩვენი თავის იმედით ვართ... შევიძინეთ საუკეთესო, ევროპული დონის აპარატურა, კინოტექნიკა... დღეს სხვაგვარად არაფერი გამოვა.

— ასეა, ძნელია, მაგრამ სასიამოვნოა დამოუკიდებლობა!...

ვილენ მარდალეიშვილი.

• • •



სურათებზე: კადრები ფილმიდან: „შეყვარებული კულინარის ათას ერთი რეცეპტი“.

ბრალი [illegible]

ავტომატის ნაცვლად დანა — ტრიალებს

5 აგვისტოს, ღამის 2 საათზე ჭავჭავაძის გამზირზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის სკვერში დაუდგენელმა პირებმა გულმკერდსა და მუცელში დაჭრეს 28 და 26 წლის ძმები შალვა და ბესარიონ შიოშვილები. შალვა მე-9 საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა, ბესარიონი რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოათავსეს.

დანის მუქარით წაართვა 18 წლის სერგო დანელიანმა სასტუმრო „ივერიასთან“ არმენ აღოიანს 43 ლარი.

ვისთვის რა „ტრანსპორტი“ სჯობს

საგარეჯოს პოლიციამ დააკავა 18 და 14 წლის ნინოწმინდელი ძმები — იოსებ და ალექსი კაკუტაშვილები, რომლებმაც გარეჯელ ვლადიმერ მათიაშვილს ცხენი მოპარეს.

ოთხი წლის წინათ გატაცებული

საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ტექნიკური ზედამხედველობის ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა მიხეილ ვაგაზაშვილის ბინაში იპოვეს 1992 წელს თბილისის სასწრაფო დახმარების ბაზიდან გატაცებული ავტომანქანა „რაფ-22031“.

დედის მკვლელი

ჯერ აბაზანაში დაახრჩო 76 წლის დედა რუსთაველმა 56 წლის ნატალია ჩერემიხინამ და მერე პოლიციის პირველ ქვეგანყოფილებაში გამოცხადდა აღიარებით: დედა მოვკალიო.

ავკაცები

შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს აგარელი 46 წლის ოლეგ ბრეგვაძე, თბილისელი 45 წლის ზურაბ მეტრეველი და [illegible] 60 წლის [illegible]კაშიანი, რომლებმაც 1991 წლის 1 მარტს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით სახლიდან გაიტაცეს ხაშურელი [illegible]რი კვინიკაძე, ჯერ სცემეს და მერე გადასცეს არაერთი მკვლელობის, ყაჩაღობისა და ადამიანის გატაცებისათვის ამჟამად დაკავებულ ზაურ ლაზარაშვილს, რომელმაც მოკლა იგი.

იყო დრო, ჩალის ფასიც არ ღირდა სიცოცხლე.

კაცია და გუნება...

დიდუბის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ზუგდიდის სპეცკომენდატურის მსჯავრდებული 27 წლის გიორგი ოქრომჭედლიძე, რომელმაც 2 აგვისტოს თერჯოლის რაიონის სოფელ თუზნის მცხოვრებ ნოდარ კასტიუმს [illegible] ივნისს გატაცებულ ავტომანქანაში 400 ამერიკული დოლარი გამოსძალა. ფული მიიღო, მანქანა კი მაინც არ დაუბრუნა.

კაცია და გუნება.

კანაფი, თესე!

შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიის და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ბიუროს და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარი სამმართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების თანამშრომლებმა მესტიის რაიონის ტერიტორიაზე მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებიდან ამოძირკვეს და გაანადგურეს 2759 ძირი კანაფი.

ექსპერტიზის დასკვნით დასახელებული რაოდენობის მცენარიდან დამზადდებოდა 55 კილოგრამი და 180 გრამი მარიხუანა.

24 პირის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც იკვლევს საგამოძიებო დეპარტამენტის მესტიის განყოფილება.

შსს პრესცენტრის მასალების მიხედვით.

ამინდი

8 აგვისტოს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ხანმოკლე წვიმა ელჭექით, იქროლებს წამში 5-10 მეტრი სიჩქარის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 17-22, დღისით 25-30.

აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში იქნება ხანმოკლე წვიმა ელჭექით, შესაძლებელია სეტყვა, იქროლებს წამში 10-15 მეტრი სიჩქარის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 18-23, დღისით 30-35.

თბილისში ცვალებადი მოღრუბლულობაა მოსალოდნელი, იქროლებს წამში 10-15 მეტრი სიჩქარის ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა — ღამით 21-23, დღისით 33-35 გრადუსი სითბო.

გვწერენ

„ვიღაც რაღაცას ამბობს“...

განმარტავს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თეიმურაზ კოპალეიშვილი:

გაზეთ „დრონში“ (№ 54, 16-19 ივლისი) გამოქვეყნდა სააგენტო „ბი-ჯი-აი“-ს კორესპონდენტის ინგა დადიანის წერილი **„სიორიძე ხელმოწერებს აგროვებს“**, რომელიც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ ეროვნული ბანკის საქმიანობის შესახებ მომზადებული დასკვნის და საკომიტეტო მოსმენის თაობაზე ატეხილი აჟიოტაჟის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. როგორც ჩანს, ვნებათაღელვა ჯერ კიდევ არ დამცხრალა და, პროფესიონალებისაგან განსხვავებით, ჟურნალისტები დასკვნებსა და შეფასებებს ძველებურად, „დამკვრელური“ წესით აკეთებენ. წერილში მოყვანილი არცერთი ფაქტი არ შეესაბამება სიმართლეს. უფრო მეტიც, ფაქტები შეგნებულად არის გაყალბებული, ხოლო ზოგიერთი მათგანის ინტერპრეტაცია ელემენტარული უცოდინარობით და პარლამენტში დოკუმენტების მომზადების თუ მიღების პროცედურის არცოდნით შეიძლება აიხსნას. დამოუკიდებელ გაზეთ „დრონში“ პუბლიკაციის შემდეგ ვესაუბრე ავტორს და შევთანხმდით, რომ ჩემი პოზიცია ზემოთ მოყვანილი წერილის თაობაზე აუცილებლად დაფიქსირდებოდა იმავე გაზეთში. სამწუხაროდ, ისევე როგორც წერილში, კორესპონდენტმა ამჯერადაც იცრუა და ჩემი კომენტარი არ დაბეჭდილა!

არადა, საქმის ვითარება გაცილებით მარტივია. წერილში მოყვანილი პირველივე ფრაზა, პრეზიდენტის მაგიდაზე მოთავსებული დასკვნის შესახებ, რომელსაც თითქოსდა მხოლოდ ორი ხელმოწერა აქვს, მკითხველის შეცდომაში შეყვანის მცდელობაა. აქ ფაქტი გაყალბებულია.

საკომიტეტო მოსმენის შესახებ დასკვნას პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარე აწერს ხელს. ეს უფლება მას პარლამენტისაგან აქვს მინიჭებული და კომიტეტის წევრები პრეზიდენტისადმი წარდგენილ დასკვნას ხელს არ აწერენ.

სამწუხაროდ, მეორე წინადადებაც შეგნებული თუ შეუგნებელი სიცრუით იწყება — „დოკუმენტი პრეზიდენტის მაგიდაზე 35-ის ნაცვლად მხოლოდ 2 ხელმოწერით დევს“. კორესპონდენტს, სამწუხაროდ, არ ჰყოფნის პროფესიონალიზმი სასურველის რეალობად გადაქცევის დასაბუთებისათვის.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში 34 წევრია. კომიტეტის სხდომა უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს იმ შემთხვევაში, თუ მას ესწრება კომიტეტის 18 წევრი მაინც. აქედან გამომდინარე, კომიტეტის გადაწყვეტილება ლეგიტიმურია, თუ მას ქვორუმის ნახევარზე მეტი პარლამენტარი დაუჭერს მხარს. ეროვნული ბანკის საქმიანობის შესახებ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის საკომიტეტო მოსმენის დასკვნის მომზადების პერიოდში ზოგიერთმა დეპუტატმა (ორმა პარლამენტარმა, კომიტეტის წევრმა) გამოთქვა აზრი, რომ არ ეთანხმებოდა კომიტეტის გადაწყვეტილებას. კომიტეტის თავმჯდომარის წინადადებით, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, კომიტეტის წევრებს შევთავაზეთ დაეფიქსირებინათ თავისი პოზიცია გადაწყვეტილების მიმართ. უმრავლესობის გადაწყვეტილებით, დასკვნა მიიღეს და ეროვნული ბანკის შემოწმება კონტროლის პალატას ეთხოვა, რომელიც, როგორც საზოგადოება ინფორმირებულია, უკვე შეუდგა კიდეც ეროვნული ბანკის შემოწმებას.

ჩემთვის გაუგებარია კორესპონდენტის პოზიცია, როცა აცხადებს, რომ „დოკუმენტში მოყვანილი არცერთი სიტყვა არ შეესაბამება სინამდვილეს“. პირად საუბარში კორესპონდენტმა განაცხადა, რომ ასეთი „რაღაც ვიღაცამ თქვა“, მაგრამ თავი შეიკავა ინკოგნიტოს დასახელებისაგან. ბევრი „ვიღაც“ „რაღაცას“ ამბობს, მაგრამ ნუთუ თვითონ არ დაინტერესდა, რატომ ამბობდა ეს „ვიღაც“ ამ „რაღაცას?“ პარადოქსული კალამბურია, საქმე პარლამენტის კომიტეტის დასკვნას რომ არ ეხებოდეს და, სამზარეულოში ნაჭორავებ-ნაქირქილევზე რომ საუბრობდეს ვინმე.

უფრო საინტერესო და კურიოზულია კორესპონდენტის განცხადება: დასკვნაში მოყვანილი „ბრალდებები ფაქტებთან შეჯახებისას ჩალის ქოხივით დაიშალაო“.

პირველ რიგში, საოცარია, რომ კორესპონდენტი ვერ არჩევს პროკურატურისა და პარლამენტის უფლებამოსილების გამიჯვნას, და, მეორეც, არ ასახელებს „ფაქტებისა“ და „ბრალდებების“ დაპირისპირების ადგილს, სადაც მისივე განმარტებით „ბრალდებები“ „ჩალის ქოხივით დაიშალა“.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის გადაწყვეტილება ჭორებსა და შეთხზულ-მოგონილ ამბებს არ ემყარება. იგი პროფესიონალების მიერაა მიღებული და თუ რაიმე საკამათო, ან გაურკვეველია, შესაბამისი განმარტებების მიცემაც არ გვიჭირს.

სამწუხაროა, რომ გაზეთმა „დრონმა“, რომელსაც, სენსაციურობას გამოდევნებული სხვა გაზეთებისაგან განსხვავებით, მე პატივს ვცემ, პირველ ყოვლისა, მიუკერძოებლობისა და ობიექტურობისათვის, ასეთი წერილის გამოქვეყნებისას ერთ წყაროსთან მაინც არ გადაამოწმა ინფორმაცია.

როგორც გიჭირდეს, ისე... გიღირდეს

ჩვენი ჯანმრთელობა

საქართველოში უპრეცედენტოდ გავრცელდა ვენერიული სნეულებანი.

ცივილიზებული სამყაროს უდიდესი ძალისხმევის მიუხედავად, ამ უძველესი სენის შეჩერება, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ დაავადებულთა რაოდენობა 2000 წლისთვის 3-4-ჯერ და მეტად გაიზრდება. დღეისათვის დაავადების სამკურნალო რადიკალური საშუალებები არსებობს, მაგრამ პრობლემა კვლავაც გადაუჭრელი რჩება.

საქართველოში, კერძოდ, თბილისში, საკმაოდ გვაქვს ვენერიულ სნეულებათა შესწავლის, დადგენის, მკურნალობის ცენტრები, გვყავს გამოცდილი, კვალიფიციური სპეციალისტებიც, მაგრამ მდგომარეობა ძალზე რთულია.

სწორედ ამ საკითხებზე ვესაუბრებით ქალაქის კლინიკური ვენერიული დისპანსერის მთავარ ექიმს, ქალაქის მთავარ დერმატო-ვენეროლოგს გოგი ქერქაძეს.

— თქვენი დისპანსერი ერთ-ერთი უძველესი სამედიცინო დაწესებულებაა საქართველოში, და, თქვენც აქ მუშაობის საკმაო სტაჟი გქონიათ...

— ადრე დისპანსერს არ აკლდა სამკურნალო პრეპარატები, დღეს ამას ველარ ვიტყვით, ძირითადად, ჰუმანური დახმარების ამარა დავრჩით, რაც, სამწუხაროდ ყოველთვის როდია სტაბილური. ადრე სისხლის სეროლოგიური გამოკვლევა ათაშანგზე სავალდებულო იყო და ამ პროცესს სახელმწიფო აფინანსებდა, დღეს კი ასეთი მხოლოდ ერთი ინექცია შემორჩა. აუცილებელია გამოინახოს თანხები, რათა ჩამოვაყალიბოთ ისეთი მოდელი, როგორიც საზღვარგარეთ არსებობს. ალბათ, საჭიროა შეიქმნას ზნეობის პოლიცია, რომელიც ითანამშრომლებს ჩვენს სამსახურთან. იმედის მომცემია ის ფაქტიც, რომ 1995 წლის 3 მაისს № 144 ბრძანებულებით საქართველოს პრეზიდენტმა ჩვენი სამსახური გაათავისუფლა ყველა ადგილობრივი გადასახადისაგან.

— ცნობილია, რომ მთელ მსოფლიოში დროდადრო ხდება ხოლმე ვენერიული „აფეთქებანი“, როგორც წესი, ეს ეპიდემია უკავშირდება ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას...

— ვენერიულ დაავადებას ახასიათებს ტალღისებური დინამიკა — 5-8 წელიწადში აღწევს პიკს. ბოლო ეპიდემია საქართველოში 1986 წელს აღინიშნა. ამ ბოლო დროს კი ვერც ვახერხებთ სტატისტიკურ აღრიცხვას, თუ გვსურს, რომ დაავადებასთან ბრძოლას სერიოზული შედეგები მოჰყვეს, აქ მონაცემების შედგენა და ანალიზი აუცილებელია.

— თქვენი აზრით, რამ გამოიწვია სენის „გაახალგაზრდავება“ თუ წინათ 20-30 წლის ახალგაზრდებში იყო გავრცელებული, დღეს ის 10, 11, 12 წლის ასაკის ბავშვებსაც სჭირთ.

— ეს გამოიწვია პირველ რიგში სოციალურმა პირობებმა — ძალიან ხშირად უმეთვალყუროდ და უსახსროდ დარჩენილი მოზარდები თავის რჩენის მიზნით ეწევიან პროსტიტუციას. ალბათ, ბევრს სცოდავენ კინო და ტელევიზია, სადაც ბევრი რამ არის ჩვენი ცხოვრების წესისა და ტრადიციებისთვის მიუღებელი, და სადაც ხშირად თავაშვებულობას თავისუფლად ასაღებენ. ბევრს სცოდავენ ოჯახებში, სკოლებსა თუ სხვა დაწესებულებებში, სადაც მოზარდების ყოფის, ქცევის მიმართ კონტროლი ძლიერ მოიკოჭლებს. ერთ დროს სრულიად უპატრონოდ იყვნენ მიტოვებული მოზარდები, რომლებმაც გასართობი და დროსტარებელი ადგილები — ბარები, რესტორნები — ღამის დაიჭირეს, კიდევ კარგი, ამ ბოლო პერიოდში შეიქმნა პოლიციის სპეციალური სამსახური, რომელიც უკვე გარკვეულწილად აკონტროლებს ასეთ ადგილებს.

— ვთქვათ, გამოვლინდა ავადმყოფი, რომელიც თქვენამდე მოვიდა, ამ დროს კი მას სამკურნალო თანხა არ გააჩნია...

— ხშირად ავადმყოფები უსახსრობის გამო მართლაც გამოუვალ მდგომარეობაშივარდებიან. არადა, მკურნალობის სურვილი აქვთ, ასეთ გაჭირვებულებს უსასყიდლოდ ვეხმარებით. მაგრამ ძალიან ხშირია რომ ადამიანები, რომლებიც არ უჩივიან და დროსტარებისათვის თანხებს არ ზოგავენ, თავს არ იწუხებენ დროული გამოკვლევების ჩასატარებლად. ამიტომაც არის, რომ ხშირად დაავადება მთელ ოჯახზე ვრცელდება.



— თუ გაქვთ სტატისტიკური მონაცემები რესპუბლიკაში ვენერიულ სნეულებათა გავრცელების შესახებ?

— დღესდღეობით სტატისტიკური მონაცემები არა გვაქვს, რადგან ჩვენთან თითქმის მოშლილია მოქალაქეთა აღრიცხვა — აღარ არსებობს საპასპორტო რეჟიმი.

— პრესიდან შევიტყვეთ, რომ თბილისში, ერთ-ერთ უნივერსიტეტში, თურქებს გაუხსნიათ ღამის ბარი, სადაც „სასიყვარულო შეხვედრები“ ეწყობა. არსებობს კი ჩამოსული უცხოელებისაგან ვენერიული დაავადების გავრცელების დამცავი ბარიერი? მოგეხსენებათ, ასეთმა „დროსტარების ადგილმა“ შეიძლება ჩვენთან XX საუკუნის შავი ჭირის — შიდსის მასობრივ გავრცელებასაც შეუწყოს ხელი.

— უცხოელებისაგან დაავადების გავრცელების თავიდან აცილების მექანიზმი, სამწუხაროდ, არა გვაქვს, რაც ალბათ უყურადღებოდ არ დარჩებათ საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებს.

— რა ღირს მკურნალობა და, საერთოდ, რა მიგაჩნიათ ასეთ პირობებში ვენერიული სენის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიან საშუალებად?

— ათაშანგზე გვაქვს დაფინანსება და ერთ ინექციას ავადმყოფს უფასოდ ვუკეთებთ, მთლიანად კი მკურნალობის ფასი 60-90 ლარს შეადგენს. მაგრამ რა თანხით გაიზომება ის უბედურება, რომელიც ვენერიულ სენს შეიძლება მოჰყვეს მთელი ოჯახისათვის?

ვფიქრობ, საჭიროა გამოვლენილ ავადმყოფთა იძულებითი მკურნალობა. ადრე არსებობდა სანიტარული განათლება, დღესაც უნდა აღვადგინოთ იგი. საჭიროა საზოგადოებაში სექსუალური ურთიერთობის კულტურის დონის ამაღლება. ვენერიულ დაავადებებს უამრავი გამოვლინება გააჩნია, ერთ-ერთი გახლავთ დერმატო-ვენეროლოგიური დაავადების ფორმა, თბილისში ძალიან არის გავრცელებული მუნი, სოკოვანი დაავადებები, ამიტომაც უკვე სერიოზულად დგება საკითხი საცურაო აუზების, საუნების, აბანოების სისტემატური შემოწმებების შესახებ. ქრონიკული ე. წ. შორს წასული, დაავადება იწვევს უშვილობას, დროულად პროფილაქტიკური ღონისძიებები კი აღკვეთს ამ საფრთხეს. სანამ პაციენტები ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტს მიაკითხავდნენ, ჩვენთან უნდა ჩაიტარონ გამოკვლევები და, თუ საჭირო გახდება — სტაციონარული ან ამბულატორიული მკურნალობა. ჩვენს სტაციონარში 200 ადგილია, მაგრამ ერთი ავადმყოფიც არა გვყავს, რადგან მკურნალობა ფასიანია. ფასიანი სამსახური ხშირად აფრთხობს ავადმყოფებს და აქ, ვფიქრობ, მეტი ყურადღება და დახმარება უნდა აღმოგვიჩინოს ხელისუფლებამ.

ესაუბრა

ნანა სულავა.

ხსოვნა

აბესალომ მაისურაძე

გარდაიცვალა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ დამდგმელი ოპერატორი **აბესალომ მაისურაძე.**

კაცი ზრდილი და პატიოსანი, მოკრძალებულობით გამორჩეული მოაკლდება კოლეგებს, ოჯახს, მეგობრებს.

ამ რთულ დროში ტკივილი და სიმძიმე არავის დაკლებია... არც ბატონმა აბესალომმა იცხოვრა მშვიდი ცხოვრებით, თუმცა გარეგნულად იგი არასოდეს იმჩნევდა არც ჩვეულებრივი ყოფითი სირთულეებით გამოწვეულ სიმძიმეს და არც იმ დიდ და გაუსაძლის ტკივილს, რომელიც ბედმა არგუნა.

აბესალომ (აბიკო) მაისურაძე 1954 წლიდან დღემდე მუშაობდა „ქართულ ფილმში“ ოპერატორის ასისტენტად, ოპერატორად, დამდგმელ ოპერატორად.

მან, როგორც დამდგმელმა ოპერატორმა გადაიღო ფილმები: „გიორგობისთვე“, „იყო შაშვი მგალობელი“, „პასტორალი“, „მოლოდინი“, „მუსიკოსები“, „მალე გაზაფხული მოვა“, „ნერგები“, „გაზაფხული გადის“, „ესკულაპეს მოწაფე“, „წინაპართა მიწა“, „სკაპენის ოინები“, „მეშუქურე“, „ზღვის მაშვრალნი“, „ფესვები“ და სხვა.

ამჟამად მუშაობდა დამდგმელ ოპერატორად ფილმზე — „ანთიმოზ ივერიელი“.

მის მიერ გადაღებული ფილმები, სხვადასხვა დროს პრიზებით დაჯილდოვდა საკავშირო თუ საერთაშორისო კინოფორუმებზე. აბესალომ მაისურაძე ფილმ „გაზაფხული გადის“ საუკეთესო ოპერატიული ნამუშევრისათვის საკავშირო კონკურსის ლაურეატი გახდა.

დაჯილდოებულია სსრკ სახკინოსა და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ საპატიო სიგელებით და საპატიო ნიშნით — „კინემატოგრაფიის წარჩინებული“.

პატიოსანი, მოკრძალებული, უხინჯო ცხოვრებით აბესალომ მაისურაძემ დაიმკვიდრა ის ნათელი ხსოვნა, რომელიც ამიერიდან გაჰყვება მის სახელს.

სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმი“; საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი.



ტარიელ მჭედლური

1996 წლის 5 აგვისტოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამხედრო ნაწილის ოფიცერი, უფროსი ლეიტენანტი, ტარიელ ლუკას ძე მჭედლური.

დაიბადა ქ. ახმეტაში 1963 წელს, 1992 წელს დაამთავრა საქართველოს რესპუბლიკის შსს მილიციის უმაღლესი სკოლა. მსახურობდა გენერალ-მაიორ გ. გულუას სახელობის სადესანტო-მოიერიშე ბრიგადაში, 1996 წლის იანვრიდან იყო ს/ნ № 01527 ზურგის უფროსის მოადგილე — სამეურნეო დარგში.

სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში, ტარიელ ლუკას ძე მჭედლური ხასიათდებოდა, როგორც კეთილსინდისიერი, ტაქტიანი, პრინციპული, ერუდირებული ოფიცერი.

საქართველოს უშიშროების სამინისტრო მწუხარებით იუწყება ტარიელ ლუკას ძე მჭედლურის გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

საქართველოს უშიშროების სამინისტრო.

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო, კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭო და სს „ელექტროკავშირის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქ. თბილისის სატელეფონო ქსელის ყოფილი უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი

შოთა ვიქტორის ძე ჭეჭია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის სატელეფონო ქსელის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თბილისის სატელეფონო ქსელის ყოფილი უფროსი

შოთა ვიქტორის ძე ჭეჭია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ტრანსპორტის პროკურატურის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს მედეა მანჯგალაძეს დედის

ოლია ხუციძის

გარდაცვალების გამო.

[illegible]

გამომცემელი-შპს „პრესა“
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66434. ტელ.: 99-73-24.
სარედაქციო კოლეგია.